პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№051 (12 121)
3 მარტი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



## ეს ბიჭი ხელიდან გასაშვები არ არისო

ინტერვიუ გოგიტა გოგუასთან 5



## შალკე: ზედიზედ მეორე საშინაო მარცხი

ლომაიასა და აშვეთიასაც ცუდი დღე ჰქონდათ 5





## ბოლო ტურნირი ბელგრადის წინ

ძიუდო 11

საქართველოს ჩემპიონატი

# დაუჯერებელი დანაკარგები

საქართველოს ჩემპიონატის მორიგმა ტურმა რამდენიმე შედეგებით გაგვაკვირვა. "ამერმა" საკუთარ მოედანზე "ბათუმის" დამარცხება ვერ შეძლო (0:0). ეტყობა, თბილისის "დინამოსთან" მომავალი მატჩების (ერთი თასზე) წინ, გლდანელებს შედარებით სუსტ მეტოქესთან მობილიზება გაუჭირდათ...

შინ დაკარგა ქულები "ზესტაფონმაც". იმერლებმა "მერანს" ვერ აჯობეს (1:1). ჩემპიონობის კიდევ ერთი მაძიებელი კი, "ვიტ ჯორჯია", სულაც დამარცხდა (ბოლნისში, 0:1). ამ ამბებმა დიდი კმაყოფილება მოჰგვარა თბილისის "დინამოს", რომელმაც მოკრძალებული ანგარიშით (2:1) სძლია "დილას" და მონაგარი 3 ქულით შეავსო, თან ერთი საფეხურით მაღლაც აიწია. რაც შეეხება მარათონის ერთპიროვნულ ლიდერს, თელავში სტუმრად მყოფმა "ოლიმპმა" მასპინძელს 5 უპასუხო გოლი მიართვა და მდევრებთან ჰანდიკაპი გააორმაგა...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 15 | 12 | 2 | 1 | 40-5 | 38 |
| 2. ამერი | 15 | 10 | 4 | 1 | 30-8 | 34 |
| 3. ზესტაფონი | 15 | 10 | 4 | 1 | 27-5 | 34 |
| 4. დინამო | 15 | 11 | 0 | 4 | 28-12 | 33 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 15 | 9 | 4 | 2 | 30-17 | 31 |
| 6. ტორპედო | 15 | 8 | 4 | 3 | 18-8 | 28 |
| 7. სიონი | 15 | 8 | 2 | 5 | 20-13 | 26 |
| 8. ლოკომოტივი | 15 | 4 | 3 | 8 | 11-21 | 15 |
| 9. მერანი | 15 | 4 | 3 | 8 | 13-28 | 15 |
| 10. ბათუმი | 15 | 3 | 4 | 8 | 12-15 | 13 |
| 11. ბორჯომი | 15 | 3 | 4 | 8 | 15-27 | 13 |
| 12. ჩიხურა | 15 | 2 | 4 | 9 | 10-26 | 10 |
| 13. დილა | 15 | 0 | 3 | 12 | 8-42 | 3 |
| 14. კახეთი | 15 | 0 | 1 | 14 | 10-45 | 1 |

XV ტურის მიმოხილვა 2-4



გუშინ, ბოლნისში: ვიტჯორჯიელი პავლე დათუნაიშვილი (მარცხნივ) და ბოლნისელი ბაჩანა ცხადაძე ბურთის დევნაში

19-წლამდელთა ნაკრები. საერთაშორისო ტურნირი

# გამარჯვება პორტუგალიასთან

## ხუმარაშვილი არ ხუმრობს



პორტუგალია-საქართველო. დაუშვილი (6) და ხუმარაშვილი (3) მეტოქის წინააღმდეგ

**პორტუგალია-საქართველო 0:1**

0:1 ხუმარაშვილი (39)

საქართველო: მაკარიძე, ბენაშვილი (კაპ.), ხუმარაშვილი, სანაია, სალარიძე (24. ლვინიაშვილი/86. ჯანელიძე), დაუშვილი, ჩარგეიშვილი (13. წულაძე), თარგამაძე, მჭედლიძე, ყენია, ფანცხავა.

პორტუგალიაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეორე ტურში პირველისგან განსხვავებით ჩვენმა ჭაბუკებმა წარმატებით ითამაშეს. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდმა ირლანდიასთან მატჩში დაშვებული შეცდომები არ გაიმეორა და შედეგიც მოიმკა. როგორც ირკვევა, მატჩის პირველი ნახევარი მთლიანად ჩვენი გუნდის კარნახით მიმდინარეობდა. მასპინძლებს **გიორგი მაკარიძის** კართან ხიფათიც კი არ შეუქმნიათ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისის "დინამოს" მეკარემ თითქმის უშეცდომოდ ითამაშა და **კლაუს ტოპმიოლერის** ქებაც დაიმსახურა. მეტიც, სამწვრთნელო შტაბის საერთო მოსაზრებით, საქართველოს იმედისმომცემი მეკარე ეზრდება. ასევე აღსანიშნავია **ლევან ყენიას** კარგი თამაში. დაცვის ცენტრში კი საიმედო იყო **ამირან სანაია**, ჩინებულად ჩაატარა შეხვედრა ფორვარდმა **ვახტანგ ფანცხავამაც**. სხვათა შორის, ირლანდიასთან მატჩში დაშავებული **ალექსი ბენაშვილის** ტრავმა, საბედნიეროდ, სერიოზული არ აღმოჩნდა და ჩვენს გუნდს გუშინაც მან უკაპიტნა.

რაც შეეხება მატჩის ერთადერთ გოლს, ის 39-ე წუთზე ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა - **ხუმარაშვილის** თავური პორტუგალიელი მეკარისთვის აულებელი აღმოჩნდა, 0:1. სხვათა შორის, კიდევ გვქონდა ანგარიშის გაზრდის შანსი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. გოლის გატანა შეეძლოთ მასპინძლებსაც. მათ მიერ ქართველთა კართან შექმნილი ხიფათი ჩვენების მოდუნებას მოჰყვა. თუმცა რამდენიმე "რიკოშეტის" შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა.

პარალელურად ირლანდია-ბელგიის მატჩი გაიმართა, რომელიც ფრედ 2:2 დასრულდა. შესაბამისად, პორტუგალიასთან გამარჯვებით ჩვენმა გუნდმა ტურნირზე პირველი ადგილის დაკავების შანსი შეინარჩუნა. დასკვნითი ტური ხვალ, 4 მარტს გაიმართება. საქართველო ბელგიას დაუპირისპირდება, პორტუგალია კი ირლანდიას უმასპინძლებს.

*"გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა ზუსტად შეასრულეს ჩემი დავალება. მათ ზედმიწევნით ყურადღებით ითამაშეს და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა გუნდმა ტაქტიკურად საკმაოდ გამართულად ითამაშა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიჭებმა ფიზიკურად ძლიერ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს, მეორე სართულზე კი ყველა ორთაბრძოლა მოიგეს. ტურნირის მოგების კარგი შანსი გაგვიჩნდა და ყველანაირად ვეცდებით, კვირას ბელგია დავამარცხოთ"*, - აღნიშნა მატჩის შემდეგ ჰაინც ტოპმიოლერმა.

**დავით ცაბაძე**

მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 2. პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 3. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XV ტური

**სიონი-ვიტ ჯორჯია**

**1:0**

02.02. ბოლნისი. თ. სტეფანია
300 მაყურებელი

1:0 დარასელია (28. სანიკიძის პასით)

სიონი: მამალაძე – ექონია, ორბელაძე, ბოიომო, რაქვიაშვილი – სანიკიძე, სილაგაძე, ბაბუნაშვილი (67. ალავიძე), კორლალიძე – დარასელია (46. ცხადაძე)- ჩასემი (89. ოქროპირიძე)

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, სვანიძე, უგრეხელიძე, ევოჩე*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი – პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე – გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კვალინიძე (55. ლუჭაშვილი)– სახოკია (65. კიკნაძე), გელაშვილი (65. ბერიაშვილი), მელქაძე

*სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, ადამაძე, კლიმიაშვილი, ბეჭვაია*

გაფრთხილება: გ. დათუნაიშვილი (31), რაზმაძე (40), დარასელია (40), ორბელაძე (85)

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

## ესეც სიონი!

მეორე წრის პირველი ტურისგან განსხვავებით, როცა "სიონში" არაერთი ახალი ფეხბურთელი ვიხილეთ, გუშინ ბოლნისელთა რიგებში კიდევ სამი ახალწვეული გამოჩნდა – **ვიტალი დარასელია, ლევან სილაგაძე** და **სერგი ორბელაძე**. ეს უკანასკნელი **კახა ცხადაძემ** კამერუნელ **ბოიომოს** შეუწყვილა დაცვის ცენტრში და თითქოს ამით დაცვის ცენტრში პრობლემა უნდა მოხსნილიყო, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდმა გამოაჩინა, რომ საამისოდ დროა საჭირო. საწყის ხუთ წუთში ბოიომომ ორჯერ დაუშვა შეცდომა. პირველ შემთხვევაში ამას კინაღამ გოლი მოჰყვა – მეკარესთან პირისპირ გასულმა **გელაშვილმა** ვერ ივარგა. ამას **ჯაფარიძე-პავლე დათუნაიშვილი-სახოკიას** ასევე უშედეგო კომბინაცია მოჰყვა. მასპინძლები ამის მერელა ათამაშდნენ და პირველი ტაიმის დარჩენილ დროში სრულ უპირატესობას დაეუფლნენ. "სიონს" განსაკუთრებით სილაგაძისა და დარასელიას გამოჩენამ არგო. პირველი მათგანი მეტოქის შეტევებს შლიდა, თავისი გუნდისას იწყებდა, ერთიორჯერ კი ვეტერინართა საჯარიმოშიც ალმოჩნდა და სახიფათოდაც დაემუქრა მათ კარს. რაც შეეხება დარასელიას, ლამის ყველა შეტევის გამგრძელებელი ის იყო. დიდწილად მასზე იყო დამოკიდებული შეხვედრის ბედი და ვიტალიმაც გაამართლა. სანამ გოლს გაიტანდა, მანამდე **კორლალიძეს** შეუქმნა საგოლე მომენტი – მარცხენა ფრთაზე ყველა მოატყუა და საჯარიმოში შევარდნილ კორლალიძეს გადააწოდა, მაგრამ მისი ახლოდან დარტყმული **ბედიაშვილს** მოხვდა და კუთხურზე გავიდა. იქიდან მოწოდებული ბურთის კარში გადაგზავნას კი უკვე სილაგაძე ცდილობდა. ორ წუთში დარასელიამ უკვე მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა, მაგრამ ბოლო პასი არ გამოუვიდა ზუსტი. საბოლოოდ მან თავისი მაინც გააკეთა - სილაგაძის დაწყებული შეტევა **სანიკიძემ** გააგრძელა და დარასელიამ კი დაასრულა საგოლე დარტყმით. თანაც არა ჩვეულად, ცაციათი, არამედ მარჯვენათი.

აქამდე არ გვიხსენებია კიდევ ერთი კამერუნელი **ჩასემი**, რომელიც გუშინ ერთ-ერთ საუკეთესოდ გვეჩვენა მოედანზე. თითქმის ყველა პირველი ბურთი მოიგო, პასსაც არ უგვიანებდა თანაგუნდელებს, თუმცა, საბოლოო ჯამში, ცხადაძე მისი თამაშით უკმაყოფილო დარჩა. მთავარი მიზეზი ალბათ ისაა, რომ ერთ ეპიზოდში ჩასემი მეკარესთან პირისპირ ალმოჩნდა, მაგრამ უცნაურად დაარტყა და ააცილა. მომენტი მეორე ტაიმის მიწურულს შეიქმნა და კამერუნელს რომ გაეტანა, თამაშიც დაწყნარდებოდა. ისე კი დარჩენილი დრო სტუმრებმა შეტევაში გაატარეს და მასპინძლებიც და გულშემატკივრებიც ანერვიულეს.

შესვენების შემდეგ სტუმრები პირველ ტაიმთან შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ. ამაში მათ მასპინძლებმაც შეუწყვეს ხელი, ტერიტორიული უპირატესობა დათმეს და თამაში კონტრშეტევებზე ააწყვეს. ამის მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ პირველი ტაიმის მიწურულს ტრავმამიღებულმა დარასელიამ შეხვედრის გაგრძელება ვერ შესძლო - "სიონს" შეტევების სულისჩამდგმელი, ბურთის დამჭერი მოაკლდა. მიუხედავად ამისა ბოლნისელებმა რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს. ჩასემის გამოუყენებლ მომენტზე უკვე ვთქვით. მანამდე კამერუნელმა **ბაჩანა ცხადაძეს** გაუკეთა გადაცემა საჯარიმოში, მაგრამ ფორვარდს მცველმა დაასწრო. ერთი სახიფათო მომენტი კი ბურთის მცველის ხელზე მოხვედრამ განმუხტა. ამ ეპიზოდში მასპინძლები უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის მეტოქის გაძევებასაც ითხოვდნენ, მაგრამ მსაჯმა მხოლოდ ჯარიმა დანიშნა. ერთხელაც ბოიომოს თავური ასცდა მიზანს.

ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად ვეტერინარებს განსაკუთრებული ხიფათი მასპინძელთა კართან არ შეუქმნიათ, თუმცა ლიდერების ნასვლის მიუხედავად, ეს გუნდი მაინც ანგარიშგასაწევია ყველასთვის. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი ვფიქრობთ "ვიტ ჯორჯია" უკეთაც ათამაშდება.

### მატჩის შემდეგ

**ნესტორ მუმლაძე** (ვიტ ჯორჯია): "მძიმე მატჩი იყო. რთული მოწინააღმდეგე გვყავდა. თამაში კარგად დავიწყეთ, სახიფათო მომენტიც შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მერე კი აქეთ მივიღეთ გოლი. მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ, უპირატესობაც მოვიპოვეთ, მაგრამ ანგარიშში ვერ ავსახეთ".

**კახა ცხადაძე** (სიონი): "რთული თამაში იყო. ბოლო წლებია, "ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთი საუკეთესო ქართული კლუბია. ჩვენ ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს და შესათამაშებლად დროა საჭირო. ამ შეუთამაშებლობამ განსაკუთრებით დაცვაში იჩინა თავი მატჩის დასაწყისში. მერე ავთამაშდით და მოთამაშეთა ინდივიდუალურმა ოსტატობამ შედეგი მოგვიტანა. მეორე ტაიმში შეგნებულად დავთმეთ ცენტრი, თამაში კონტრშეტევებზე ავაწყეთ და რამდენჯერმე მწვავედაც შევუტიეთ. იმ ეპიზოდში კი, ვფიქრობ, მსაჯს მოწინააღმდეგისთვის ხელით თამაშისთვის წითელი ბარათი უნდა ეჩვენებინა. ეს იყო ბოლო იმედის ჯარიმა, თანაც ისიც გასარკვევია მეტოქემ ხელით საჯარიმოს გარეთ ითამაშა თუ შიგნით. ორი თამაშია უკვე უკმაყოფილო ვარ ჩასემით. იცით, რომ თამაშების წინ ჩვენ შეკრებაზე არ ვართ ხოლმე. ყველა თავისუფალია და თავიანთ თავს უნდა მიხედონ. თუ პროფესიონალები არიან, მიხედავენ, არადა თავიანთ თავს დააბრალონ უთამაშებლობა. ჩვენთან ამჟამად არაერთი კარგი მოთამაშე და შესაბამისად დიდი კონკურენციაა. ასევე უკმაყოფილო ვარ ალავიძის თამაშით."

**პაატა თოთაძე**



ეს ესაა დარასელიამ (13) გამარჯვების გოლი გაიტანა

**ამერი-დინამო**

**0:0**

02.03. თბილისი. ამერი
800 მაყურებელი

ამერი: ქვაჩახია - დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე - ჯელაძე, მესხი, გაბისკირია (46. ტატანაშვილი), დობროვოლსკი - დავითაშვილი, ჩიმაკაძე (80. სილაგავა)

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, ფირანიშვილი, გვაძაბია, ნიკოლაიშვილი, კაკაშვილი*

ბათუმი: სომხიშვილი - ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, დუმბაძე - შალამბერიძე, ნერგაძე, თურმანიძე (65. ცანავა), დარჩიძე (82. კუნჭულია), ბეჟანიძე (28. ხოხონიშვილი) - კვარაცხელია

*სათადარიგოები: ბექთაშევი, ა. ბაჯელიძე, ფარტენაძე, კერესელიძე*

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

## დინამომ ამერს ქულა აართვა

ჩემპიონობისთვის მებრძოლმა "ამერმა" მოულოდნელად მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. ბათუმის "დინამოს" უმაღლესში დარჩენა გარანტირებული არ აქვს და გასაგებიც იყო, რა მოტივებიც ამოძრავებდა "ამერის" წინააღმდეგ.

**ამირან გოგიტიძის** სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან უმძიმეს პირობებში მოახერხა ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც არავის არაფერს უთმობს. მთავარია ყველასთან ასეთი მობილიზება მოახერხოს.

ბათუმის "დინამომ" "ამერთან" დაუგეგმავი ქულები აილოო – განაცხადა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ და ასეც იყო. "ამერმა" და ამერელებმა სტუმრებს მოულოდნელ სიხარულში ხელი შეუწყვეს. იგრძნობოდა, მოედანზე იმდენად თავდაჯერებულები გავიდნენ, თითქოს სამი ქულა გარანტირებული ჰქონდათ. ამასთანავე, გუნდის ლიდერები ყვითლების სიმრავლის გამო ვერ თამაშობდნენ, მოედანზე გასულებს კი მეტად მობილიზებული მეტოქე დაუხვდათ. "დინამომ" დაცვითი სათამაშო სქემა გამოიყენა, თავდასხმაში ერთადერთი კვარაცხელია თამაშობდა.

ამერელები ნელ-ნელა მოვიდნენ გონს, მაგრამ პირველ ტაიმში საჯარიმოში შეღწევა და მით უფრო, სახიფათო მომენტის შექმნა ძალიან გაუჭირდათ. თუმცა მეკარე ორჯერ მაინც შეაწუხეს. მე-5 წუთზე **ჩიმაკაძეს** შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ახლო მანძილიდან მეკარემ აჯობა. 27-ე წუთზე იმავე ჩიმაკაძემ უკვე შორიდან ცადა ბედი და ისევ წარუმატებლად.

ამის საპასუხოდ "ამერის" კართან ორი სახიფათო მომენტი ვეტერანმა **თურმანიძემ** შექმნა. 43-ე წუთზე მისი უძლიერესი დარტყმისგან მასპინძლები **ქვაჩახიამ** იხსნა, 44-ე წუთზე კი თურმანიძემ შორეული გადაცემით სახიფათო პოზიციაზე გაიყვანა **შალამბერიძე**, მაგრამ მისი დარტყმა არაზუსტი ალმოჩნდა.

მეორე ტაიმში "ამერი" აშკარად გამოცოცხლდა, **ჯელაძემ** უძლიერესი დარტყმით ძელიც კი შეაზანზარა. და თითქოს, ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დამდგარიყო, თუმცა ესეც ილუზია ალმოჩნდა. ბათუმელები დაცვაში ძალზე მჭიდროდ თამაშობდნენ, ლამის მთელი გუნდი საჯარიმოს მიეჯაჭვა, ასეთის დამარცხება კი "ამერისთვის" შეუძლებელი ალმოჩნდა.

მასპინძლებს ვერც შეტევის გაძლიერებამ უშველა, ვერც სათამაშო სქემის გარდაქმნამ და ვერც მეორე ტაიმში მოწყობილმა შტურმმა. მსაჯის დამატებული ხუთი წუთი ბათუმელებისთვის უზომოდ გაიწელა, მაგრამ მათმა მონდომებამ შედეგი მოიტანა - "დინამომ" თბილისში სასურველი ერთი ქულა მოიპოვა.

### მატჩის შემდეგ

**ამირან გოგიტიძე** (ბათუმი): *"ბედნიერი ვარ, რომ ლიდერს ქულა წავართვით. კონტრშეტევებზე ვითამაშეთ და ამან შედეგი მოგვიტანა. ეს დაუგეგმავი ქულა იყო. ჩვენი მიზანი მხოლოდ ქულების მოპოვებაა. სამწუხაროდ, მოთამაშეების დავალიანება გაგვაჩნია. ქალაქის მერია გვპატრონობს, მათი იმედი გვაქვს. სტადიონის შერემონტებასაც გვპირდებიან და იმედია, ესეც მოხერხდება."*

**გიორგი ჩიხრაძე** (ამერი): *"პირველ ტაიმში ზედმეტად ინერტულები და თავდაჯერებულები ვიყავით. ხალხის ნაკლებობის გამო, ასეთი მიდგომის უფლება არ გვქონდა. ბათუმის "დინამომ" კი ბრძოლით დაიმსახურა ქულა. მეორე წრე ჯერ კიდევ წინაა და არაფერია დაკარგული."*

**მერაბ მამულაშვილი**

## პლატინის თბილისური საათები

**7 მარტს, თბილისს უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი ეწვევა. უკვე ცნობილია მისი ვიზიტის დეტალები, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გამოაქვეყნა:**

**7 მარტი**

14:30 მიშელ პლატინისა და უეფას დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში.
15:00 დაბინავება სასტუმრო "თბილისი მარიოტში".
15:30 შეხვედრა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილთან და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურთან.
16:00 გაგზავრება საგურამოში და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მშენებარე ტექნიკური ცენტრის მონახულება.
17:15 ლანჩი მცხეთაში.
18:30 საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასას" მონახულება.
19:30 მინი-ფეხბურთში ქალთა ტურნირის საზეიმო გახსნა თბილისში, სპორტკომპლექს "ირაოში".
20:00 შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან.
21:45 ვიზიტი ტელეკომპანია "რუსთავი 2-ში".
23:00 ვახშამი.

**8 მარტი**

09:30 ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის მონახულება.
10:00 პრესკონფერენცია ეროვნულ სტადიონზე.
11:00 გამგზავრება აეროპორტში.
12:00 ათენში გაფრენა.

***ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, შესაძლოა, პროგრამაში მცირედი ცვლილებები მოხდეს.***

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# სრული თანაფარდობა

**ლოკომოტივი-ბორჯომი**

**0:0**

02.03. თბილისი. მ. მესხი
300 მაყურებელი

ლოკომოტივი: გვარამაძე – თუთბერიძე, ებრალიძე, გუშარაშვილი, კირკიტაძე (46. გულორდავა) – მალიჩავა, სამხარაძე, ჩომახიძე, გოჩაშვილი – სოსელია (61. ელიზბარაშვილი), ჟღენტი (71. ბარბაქაძე)
*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, ბუდაღაშვილი, კუპრეიშვილი*
ბორჯომი: კოდალაევი – ქარქოზაშვილი, ლ. მერებაშვილი, ნადირაშვილი, მემარნიშვილი - თ. ლონლაძე, გრიგალაშვილი (90. საყვარელიძე), ავალიანი, კოშკაძე, შ. ჯიქია (62. კაკალაძე) - კაიდარაშვილი (57. კვერნაძე)
*სათადარიგოები: შეყრილაძე, გოგიჩაიშვილი, თედიაშვილი, ლომიძე*
გაფრთხილება: ჩომახიძე (26), გრიგალაშვილი (54), სამხარაძე (66), ავალიანი (73)
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი


ტაში ტაშიიი...
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თავიდანვე ვთქვათ, რომ გუშინ ვაკეში დაფიქსირებული ანგარიში სავსებით ლოგიკური იყო. მატჩი არცთუ სანახაობრივი გამოდგა, თამაშის მსვლელობისას გამარჯვების გოლის გატანის შანსი ორივე გუნდს კი მიეცა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრის ყველაზე სამართლიანი შედეგი ფრე იქნებოდა.

"ლოკომოტივმაც" და "ბორჯომმაც" სატრანსფერო პერიოდში რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი დაიმატეს. მეორე წრის პირველ ტურში ორივემ ძლიერ მეტოქესთან განიცადა მარცხი, ამიტომაც მათი რეალური ძალა ურთიერთშეხვედრას უნდა ეჩვენებინა. როგორც გამოჩნდა, დღესდღეობით, რკინიგზელებსა და სამცხელებს დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები ჰყავთ, რომელთაც სავარაუდოდ, უმაღლესი ლიგიდან დაქვეითების საფრთხე არ უნდა დაემუქროთ.

მატჩის საწყის წუთებში უფრო ყოჩაღად სტუმრები გამოიყურებოდნენ. ამ პერიოდშიც და საერთოდაც, მთელი შეხვედრის განმავლობაში, მათ რიგებში **გრიგალაშვილი** და ფეხბურთში რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული **კაიდარაშვილი** გამოირჩეოდნენ. შეხვედრა რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როცა გრიგალაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მსაჯი სიტუაციაში კარგად ვერ გაერკვა და იმის ნაცვლად, რომ ფეხბურთელისთვის მომენტის გაგრძელების საშუალება მიეცა, თამაში შეაჩერა და მანამდე მომხდარი დარღვევისთვის "ბორჯომის" სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა.

თბილისელებმა თამაში პირველი ტაიმის შუაწელში გაათანაბრეს, "ლოკომოტივის" შეტევებს ძირითადად **ჩომახიძე** ხელმძღვანელობდა. "ბორჯომი" ერთი შეხედვით გარდაუვალ გოლსაც გადაურჩა. **გოჩაშვილი** მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმულ ბურთს **კოდალაევი** დაუხვდა.

მეორე ტაიმი უფრო სწრაფ ტემპში წარიმართა, მაგრამ სტუმართა ერთ მომენტს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ანგარიშის შეცვლის რეალური წინაპირობა არ ყოფილა. გოლის გატანა გრიგალაშვილს შეეძლო, მაგრამ კარში დროულად დარტყმის ნაცვლად, მოწინაალმდეგის მოტყუება განიზრახა და ეს შანსიც დაიკარგა.

მეტოქეებს თავი არც ამის შემდეგ დაუზოგავთ, საკმაოდ ხისტი თამაში წავიდა, იყო ბრძოლა მოედნის თითოეული გოჯისთვის, მაგრამ მატჩის დარჩენილ დროში ბურთი ძირითადად ცენტრში ტრიალებდა, საგოლე შესაძლებლობა აღარც მასპინძლებს მისცემიათ და აღარც სტუმრებს.

ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი ქულა შენაძენია და არა დანაკარგი. საერთო ჯამში, ფრე ორივე გუნდისთვის მისაღებ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. "ლოკომოტივსა" და "ბორჯომს" ციდან ვარსკვლავები ნამდვილად არ მოუწყვეტიათ, მაგრამ ურიგო დონეც არ უჩვენებიათ, აშკარაა, რომ მათი დამარცხება ნებისმიერ მეტოქეს გაუჭირდება. ამ გუნდების მთავარ მიზანს რაც შეეხება, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მათ პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე არ უნდა დაემუქროთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბრაზილიურმა ნახევარდაცვამ მერანი ვერ გააჭენა

**ზესტაფონი-მერანი**

**1:1**

02.03. ზესტაფონი. ცენტრალური
6 000 მაყურებელი

1:0 ფიფია (21. სანტოსის პასით), 1:1 ლონლაძე (23-საკ. კარში)
ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ლონლაძე, ონიანი, კ. ჩხეტიანი, სანტოსი (58. კვასხვაძე), ტორესი, ჭელიძე, ვიეირა, ფიფია, იონანიძე (71. გ. ჩხეტიანი).
*სათადარიგოები: ჯალალონია, ნოზაძე, ხიდეშელი, ძარია, დოლონაძე.*
მერანი: სეფიაშვილი, კედელაშვილი, გრიგალაშვილი, აბშილავა, ოსტიაშვილი, კობერიძე, ქემაშვილი, ბესარაშვილი, ფურცელაძე, ჩივაძე (70. სიხარულიძე/79. თურქია), დეისაძე (53. ნაკანი).
*სათადარიგოები: გლუნჩაძე, ჩაჩიბაია, სახვაძე.*
გაფრთხილება: ქემაშვილი (23), აბშილავა (35), კობერიძე (51), ვიეირა (62), თურქია (87).
გაძევება: კედელაშვილი (74).
არბიტრი: დ. სანაია

სამრეწველო ქალაქი მოუთმენლად ელოდა საკუთარი გუნდის ხილვასა და სეზონის განახლებას. განწყობაც საზეიმო სუფევდა გულშემატკივრებში, თუმცა შედეგმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ისინი, რომ ფეხბურთი ხშირად ალოგიკურიცაა. თითქმის პირთამდე სავსე ტრიბუნები, თბილი ამინდი, მშვენიერი მინდორი... ერთი სიტყვით, ყველა პირობა იყო შექმნილი ფეხბურთელთათვის, სანახაობრივი მატჩის სათამაშოდ. შეხვედრამ გაამართლა, კარგი მატჩი მართლაც შედგა, მაგრამ მასპინძლისთვის მინორულ ნოტაზე დამთავრდა, რამაც, შეიძლება, სეზონის ბოლოს "მოჰკვეთოს კბილი". თუმცა, სჯობს, თავიდან მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

ზესტაფონელებმა ტრადიციულ განლაგებას მიმართეს. **თემურ მახარაძემ** ნახევარდაცვაში ბრაზილიური ტრიო დააყენა. ცენტრში - **ტორესი** და **სანტოსი**, ფლანგზე კი **ოლივეირა**, ხოლო მის საპირისპირო ფრთას **ჭელიძე** ამაგრებდა. სწორედ ამ კვარტეტს დაევალა, ასე ვთქვათ, ძრავის როლის შესრულება. რაც შეეხება "მერანს", მათ 4-5-1 აირჩიეს. სტუმრები უფრო დაცვაზე იყვნენ ორიენტირებულნი. მაღალი და ათლეტური ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა "მერანმა" (ყველა ფეხბურთელი 180 სმ-ზე მაღალია), ყველასთვის მოულოდნელად, მასპინძლებს პრესინგი შესთავაზა და სივრცე შეუზღუდა. შედეგად, "ზესტაფონმა" დებიუტში ვერაფერი შექმნა, პირიქით, პირველი სახიფათო მომენტი (მე-9 წუთი) "მერანისა" იყო. **დეისაძემ** თავით სახიფათოდ დაარტყა და მიზანს ოდნავ ააცილა. სტუმრები ამას არ დასჯერდნენ. რამდენიმე წუთში **ჩივაძე** ოსტატურად გასცდა ორ მეურვეს და დასარტყმელ პოზიციაზე გასულ **ქემაშვილს** გადააწოდა. მასპინძლები მეკარემ აარიდა ხიფათს და ბურთი მოიგერია.

"ზესტაფონი" მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდა და უფრო სერიოზულად მოეკიდა საქმეს. მე-18 წუთზე **ფიფიამ** დასცხო ძლიერად, მაგრამ ბურთი მეკარის ნადავლად იქცა. მომატებულ ტემპსა და ინტენსიურ გადაადგილებებს მალე შედეგიც მოჰყვა: 21-ე წუთზე, ზესტაფონელთა ახალწვეულმა **როინ ონიანმა** გვერდითი ხაზიდან ბურთი პირდაპირ პენალტის ნიშნულთან ჩაჰკიდა, სადაც სანტოსმა თავით დაუგდო მეკარის წინ წამით მარტო დარჩენილ **ფიფიას**, დანარჩენი კი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო: გოგამ აუღელვებლად გამოიყენა შანსი - 1:0.

მაგრამ ზესტაფონელებს სიხარული დიდხანს არ აცალეს. გოლის შემდეგ სტუმრებმა ბურთი ცენტრში გაითამაშეს, გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე და იქვე, ჯარიმის უფლებაც მოიპოვეს. **გრიგალაშვილმა** საჯარიმოში ჩააწოდა და და... ყველასთვის მოულოდნელად, მასპინძელთა მცველმა **ლონლაძემ** ბურთი საკუთარ კარში გაგზავნა. სტატუს-კვო აღდგა - 1:1.

ცოტა არ იყოს, "ზესტაფონი" დაიბნა, "მერანს" კი, პირიქით, ფრთები შეესხა. სტუმრები კვლავ ხისტად თამაშობდნენ. მახარაძის შეგირდებს მერანელთა მარწუხებიდან თავის დაღწევა სულ უფრო უჭირდათ... მაგრამ აი, ტაიმის ბოლოს ფიფიას კვლავ მიეცა შანსი, ახლო მანძილიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი ზემოდან გადასცდა კარს.

მეორე ტაიმიც დაახლოებით იმავე სცენარით წარიმართა. სტუმრები კარს თავგანწირვით იცავდნენ, მასპინძლები კი უტევდნენ, თუმც კი არაორგანიზებულად. მაგალითად, ბრაზილიელი საყრდენები (გარდა **ვიეირასი**) აშკარად აგვიანებდნენ შეტევაში ბურთის გადატანას, რაც იერიშებს მონოტონურ ხასიათს აძლევდა. იერიშების სწრაფ განვითარებასა და, მით უფრო - დაგვირგვინებას, ვერც **ფიფია** და **იონანიძე** ახერხებდნენ, რაც მთლიანობაში ზესტაფონელთათვის არასახარბიელო სურათს ქმნიდა.

მე-60 წუთიდან ყვირილისპირელთა მარცხენა ფრთა გააქტიურდა. ინიციატივა თავის თავზე აიღო კაპიტანმა **კახა ჩხეტიანმა**, რომელსაც მხარი კარგად აუბა ლეგიონერთაგან გამორჩეულმა **ვიეირამ.** ამ უკანასკნელს თავურით მიეცა მეორე გოლის გატანის შანსი, მაგრამ მეკარემ ივარგა, დამატებაზე კი იონანიძის დარტყმულს მცველები გადაელობნენ და ბურთი საჯარიმოდან გამოიტანეს.

კარგად ჩაერთო თამაშში ახლადშემოსული **კვასხვაძე**. 67-ე წუთზე, ფიფიამ მას კარგად შეუგდო მკერდით და მეკარესთან პირისპირაც დატოვა, მაგრამ ბურთი მარჯვენა კუთხეს მცირედით ასცდა. რამდენიმე წუთში, კვასხვაძე ისევ იმ ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და თითქმის ერთი-ერთზე აღმოჩნდა სტუმართა კიპერთან, თუმცა ისევ უშედეგოდ. მატჩის ბოლოსკენ ამას ორი, მეტად სახიფათო მომენტიც მოჰყვა. ჯერ **გაგა ჩხეტიანის** თავური ასცდა მიზანს, 88-ე წუთზე კი ვიეირამ ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა მეტოქეები და მძლავრადაც დაარტყა, მაგრამ ვაშა მეკარე **სეფიაშვილს**, რომელმაც "ცხრიანისკენ" წასული ბურთი აკრობატულ ნახტომში მოიგერია. თამაშის ბოლო წუთზე კი მასპინძლებს კონტრშეტევა გაეპარათ და კინალამ მწარედაც დაისაჯნენ: **ქემაშვილი** ერთ მცველზე გავიდა, გვერდით კი ორი თავისიანი მისდევდა... მან თავად სცადა გამწვავება - იჩქარა და დაარტყა... და მშვენიერი მომენტი ქარს გაატანა...

საფინალო სასტვენმა სტუმრებს დიდი სიხარული მოჰგვარა, მასპინძლები კი უზომოდ დაამწუხრა. ზემოთაც ვთქვით - ვინ იცის, რა ქულები გაანიავა "ზესტაფონმა"?

## მატჩის შემდეგ

**სერგო კუტივაძე** (მერანი): - ჩვენი გუნდი ახლა ყალიბდება, ბიჭებს თანდათან ვაჩვევ ბრძოლას. გვინდა, უმაღლესში დავრჩეთ და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფეხბურთელებმა თავი არ დაზოგეს და მოხარული ვართ, რომ ამ ძლიერ გუნდს ქულა ავართვით. მასპინძლებს კი მინდა მომავალი წარმატებები ვუსურვო.

**თემურ მახარაძე** (ზესტაფონი): - დასანანი ქულები დავკარგეთ. ბიჭები ფსიქოლოგიურად ვერ განეწყვნენ ამ თამაშისთვის და ამიტომ, თავიდან გაგვიჭირდა. უამრავი მომენტი გავუშვით ხელიდან, რაც ნამდვილად არ გვეპატიება. ფიფია და იონანიძე არ არიან ფორმაში, რის გამოც წინაც ვერ ვთამაშობთ მძლავრად. ვნახოთ, მომავალი წინაა.

**მერაბ ბრძელიძე**
ზესტაფონიდან



ყაზბეგი

www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

**დილა-დინამო**

**1:2**

02.03. თბილისი. შევარდენი
300 მაყურებელი

0:1 კობახიძე (30. ფეიქრიშვილის პასით), 0:2 ფეიქრიშვილი (44. დილმელაშვილის პასით), 1:2 სულთანიშვილი (55. კ. ხანიშვილის პასით).

დილა: თევდორაძე, კობახიძე, ბალიაშვილი (52. კ. ხანიშვილი), ყველაშვილი, ბალაშვილი, სადალაშვილი (44. აბრამიშვილი), ნ. ნოზაძე, დ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, სულთანიშვილი (73. ტლაშაძე), სამადაშვილი.

*სათადარიგოები:* *კეჩხუაშვილი, სავანელი, კურტანიძე, თაყაძე.*

დინამო: ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე (64. ლ. ნოზაძე), მერებაშვილი, ფეიქრიშვილი (72. ოდიკაძე), კობახიძე (80. სპასოევიჩი), იაშვილი.

*სათადარიგოები:* *გრიშიკაშვილი, გ. კაშია, თომაშვილი, ხუციშვილი.*

გაფრთხილება: ტლაშაძე (76).

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი.

# კონკურენტებმა დინამოს წისქვილი დაუსველეს

ეს შეხვედრა გორში უნდა გამართულიყო, მაგრამ რაკი იქაურ სტადიონზე რეკონსტრუქცია ჯერ არ დასრულებულა, "დილამ" მეტოქეს "შევარდენზე" უმასპინძლა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე-15 ტური "დინამოსი" იყო. ბუნებრივია, "დილასთან" **დუშან უჰრინის** გუნდის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მათი უშუალო კონკურენტების, "ზესტაფონისა" და "ამერის" საშინაო ფრეებმა, პლუს ამას, "ვიტ ჯორჯიის" ბოლნისურმა მარცხმა, სწორედ "დინამოს" წისქვილზე დაასხა წყალი. შედეგად, უჰრინის ამქარმა ვეტერინარებს ცხრილში ადგილი გაუცვალა.

ახლა, რაც შეეხება უშუალოდ მატჩს. ის, ვისაც თამაში არ უნახავს, შედეგიდან გამომდინარე ივარაუდებდა: ერთი, რომ "დილამ" მასზე გაცილებით ძლიერ მეტოქესთან ბოლომდე იბრძოლა და ტოლი თითქმის არაფერში დაუდო, ან მეორე - დინამოელებმა მეტოქე პირწმინდად კი დაჯაბნეს, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, გოლები გაიტანეს. სწორედ რომ მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. თბილისელებს ბარე ოთხი-ხუთი გოლის გატანაც მართებდათ, მაგრამ...

დინამოელებმა დებიუტშივე მოიპოვეს უპირატესობა და სწრაფ გოლზე იწყეს ზრუნვა, თუმცა დაუგვიანდათ. ისიც ვთქვათ, რომ კარგად ირჯებოდა გორელთა მეკარე **თევდორაძეც**. ამ უკანასკნელისა და სხვა გარემოებათა გამო, **ხმალაძის, დილმელაშვილის, ფეიქრიშვილისა** და **იაშვილის** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. და აი, 30-ე წუთიც დადგა. შეტევაში ჩართულმა **ზელიჩმა** გრძელი პასით მოძებნა ფეიქრიშვილი, რომელმაც **კობახიძეს** საჯარიმოში გააწოდა და ანგარიშიც გაიხსნა - 0:1.

დინამოელები მინიმალურ ფორას არ დასჯერდნენ. ისე, არც "მასპინძლები" ისხდნენ გულხელდაკრეფილნი, თუმცა გორელთა შეტევები არათუ სახიფათო მომენტით, კარში უბრალო დარტყმითაც კი ვერ სრულდებოდა. ტაიმის ბოლოს ისევ "დინამომ" იძალა. დილმელაშვილმა, რომელიც უნარიანად აკონტროლებდა მოედნის ცენტრს, მარჯვენა ფლანგზე ფეიქრიშვილი მონახა და ამანაც, ოსტატური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში "დილა" ერთგვარად სახეცვლილიც კი გვეჩვენა. გარკვეულწილად, ეს დინამოელთა მცირედი მოდუნებითაც იყო გამოწვეული. გორელებმა თბილისელთა კარში პირველად 54-ე წუთზე დაარტყეს, ზუსტად ერთ წუთში კი გოლიც შეაგდეს. **კობა ხანიშვილმა ლორიასთან** პირისპირ დატოვა **სულთანიშვილი** და "დინამოს" მეკარე უძლური აღმოჩნდა - 1:2.

საპასუხო გოლმა დინამოელებზე სტიმულივით იმოქმედა. კობახიძისა და **მერებაშვილის** დარტყმები კარს მცირე მანძილით ასცდა, მერე იაშვილსაც უმტყუნა მიზანმა, 76-ე წუთზე კი **ოდიკაძის** ჯარიმას ძელი მოჰყვა. მერე, კიდევ ერთი შანსი მიეცა მერებაშვილს, რომლის დარტყმა კვლავ უზუსტო გამოდგა. მიუხედავად მყიფე ანგარიშისა, "დინამომ" მაინც მშვიდად მიიყვანა თამაში გამარჯვებამდე.

## მატჩის შემდეგ

**დუშან უჰრინი** (დინამო): - მატჩი საინტერესო გამოდგა. პირველ ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და მეტის გატანაც შეიძლებოდა, მაგრამ მეტოქის მეკარემ კარგად ითამაშა. მეორე ნახევარში, 20-25 წუთის განმავლობაში, "დილამ" უფრო უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და გოლიც გაგვიტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოედნის საფარი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და ბურთის კონტროლი ჭირდა. "ამერთან" სათასო მატჩის შანსები? ვფიქრობ, შანსები თანაბარია.

**მამუკა ვარდოსანიძე** (დილა): - რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა... ვეთანხმები კოლეგას, მოედანი მართლაც საშინელ მდგომარეობაში იყო. მეორე ტაიმში კი გავიბრძოლეთ, მაგრამ "დინამომ" კლასისა და გამოცდილების ხარჯზე მოგვიგო. რაც შეეხება სტადიონს, იქ ისევ რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, ინდივიდუალურ სკამებს ამონტაჟებენ... ერთი სიტყვით, სამუშაოები უკვე დასასრულს უახლოვდება და მალე ყველა საშინაო მატჩს გორში ჩავატარებთ.

**დავით ცაბაძე**



ტორპედოელმა იმედაძემ (მარჯვნივ) დუბლი შეასრულა

**ტორპედო-ჩიხურა**

**2:0**

02.03. ქუთაისი. ცენტრალური
2000 მაყურებელი

1:0 იმედაძე (15. პენალტით), 2:0 იმედაძე (40. კირკიტაძის პასით)

ტორპედო: ქვილითაია – კილასონია, გურული, ფარულავა, ბარაბაძე — ლალაძე, ზივზივაძე, კვეტენაძე (46. ნადირაძე), კირკიტაძე — ჭედია (62. ქუთათელაძე), იმედაძე (58. წიქარიშვილი)

*სათადარიგოები: ხურცილავა, დანელია, ზ.ჩხეტიანი, ოდიშარია*

ჩიხურა: სტურუა – თავბერიძე, ქემოკლიძე, ბარამიძე (46. გ. ზამბახიძე), ქუხილავა (31. ვ. ზამბახიძე) — ბუცხრიკიძე, ვაშაკიძე, სტეფანიშვილი, ქუცურუა (77. მ. მიქაძე) — გ.მიქაძე, დვალი

*სათადარიგოები: დოლაძე, გვეტაძე*

გაფრთხილება: ქუცურუა (44), გ. მიქაძე (64), ვაშაკიძე (64), ლალაძე (88), კირკიტაძე(90)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# ქუთაისში ფეხბურთი დერბით და იმედით დაბრუნდა

სეზონის განახლებამდე „ტორპედოში“ უამრავი ცვლილება მოხდა, რასაც ბევრი სკეპტიკურად უყურებდა. ქუთაისელი გულშემატკივრები შიშობდნენ, რომ „ტორპედოს“ მეორე წრეში ძალიან გაუჭირდებოდა, თუმცა ჯერჯერობით მათ შეშფოთების საბაბი არ აქვთ. პირიქით, **გიორგი კიკნაძის** ფორმაციის „ტორპედო“ საკმაოდ კარგ ფეხბურთს აჩვენებს და ახალგაზრდული გუნდის კვალობაზე ჩემპიონატიც კარგად განაახლა. „ვიტ ჯორჯიასთან“ მიღწეული ფრის შემდეგ ქუთაისელები ცნობილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ, მაგრამ შეუთამაშებელ „ჩიხურასთან“ გამარჯვებას გეგმავდნენ და ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი.

იმერული დერბი მასპინძლების უპირატესობით დაიწყო და ასევე წარიმართა. საწყის წუთებში ქუთაისელთა შეტევების სულისჩამდგმელი ვეტერანი **კახა კვეტენაძე** იყო. მე-5 წუთზე მის მიერ შესრულებულ საჯარიმოს **ფარულავას** თავური მოჰყვა, მაგრამ დარტყმა სუსტი და უზუსტო გამოუვიდა. მე-8 წუთზე კვეტენაძემ საჯარიმოში შეჭრილი **ჭედია** მოძებნა, რომელსაც **ქუცურუა** მეურვეობდა, ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ ამ უკანასკნელმა ბურთი ხელით გააჩერა, ქუთათურები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ არბიტრმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა. საბოლოოდ „ჩიხურა“ პენალტს მაინც ვერ გადაურჩა. მე-14 წუთზე **გურულმა** მარცხენა ფლანგიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც საჩხერელი მცველების გარემოცვაში **იმედაძე** და ჭედია იმყოფებოდნენ. სრულიად უწყინარი სიტუაცია იყო, მაგრამ სტუმართა უკანახაზელებმა შეუთანხმებლად ითამაშეს და ბურთი ჯერ იმედაძეს, შემდეგ კი ჭედიას ჩააბარეს. ეს უკანასკნელი ახლო მანძილიდან კარში დატყმას აპირებდა, მაგრამ საჩხერლებმა წესების დარღვევით შეაჩერეს. პენალტის დარტყმა „ტორპედოში“ ახლახან დაბრუნებულმა გრიგოლ იმედაძემ ითავა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. გოლის შემდეგ კვლავ „ტორპედო“ აქტიურობდა. ჯერ კვეტენაძემ ააცილა საჯარიმო დარტყმა, 30-ე წუთზე კი **ლალაძის** გამჭოლი გადაცემის შემდეგ ჭედიას მიეცა კარის აღების შანსი, მაგრამ მახვილი კუთხიდან მცირედით ააცილა. იქვე სტუმრებმა განახორციელეს მწვავე შეტევა - **დვალმა** ქუცურუას მიაწოდა, ამან საჯარიმოში ორი მცველი ჩამოიცილა და სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. 38-ე წუთზე საჩხერელებს ისევ მიეცათ გოლის გატანის შანსი - **მიქაძემ** დაახლოებით 15 მეტრიდან კარში ძლიერად დაარტყა, მაგრამ **ქვილითაიამ** ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა და „ტორპედო“ გაშვებული გოლისგან იხსნა. ტაიმის ბოლოს კვლავ მასპინძლები გააქტიურდნენ და მეორედაც იხეირეს: მე-40 წუთზე ქუთაისელთა ახალგაზრდა ნახევარმცველმა **ლევან კირკიტაძემ** ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, იქ ყველაზე მაღლა იმედაძე ახტა და ზუსტი თავურით ბურთი **სტურუას** კარის ბადეში მოათავსა - 2:0.

მეორე ნახევარში „ტორპედომ“ ტემპი დააგდო, მაინცდამაინც არც „ჩიხურა“ აქტიურობდა და შეხვედრაც მოსაწყენი გახდა. მხოლოდ ბოლოს შეიქმნა ორი დასამახსოვრებელი მომენტი: 89-ე წუთზე ჯაბა დვალმა ჯარიმიდან სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ააცილა. ბოლო წუთზე კი შეცვლაზე შესულ **ქუთათელაძეს** მიეცა ანგარიშის გაზრდის შანსი, მაგრამ მისი დარტყმაც ასცდა მიზანს.

ქუთაისელებმა წლეულს შინ პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარეს და პირველი გამარჯვება მოიპოვეს. „ჩიხურა“ კი უკვე ზედიზედ მეორედ დამარცხდა და თუ თამაშის ხარისხი არ გამოასწორა, ლიგაში ადგილის შენარჩუნება საკმაოდ გაუჭირდება.

## მატჩის შემდეგ

**ვახტანგ თურმანიძე** (ჩიხურა): „ყოველ ექვს თვეში გვიხდება გუნდის ახლიდან დაკომპლექტება, მიუხედავად ამისა იმედი გვქონდა, რომ ფეხბურთელები დავალებას შეასრულებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ძალიან სუსტად ითამაშეს, 3-4 კაცის გარდა ყველამ ჩააგდო თამაში. დანაკლისიც გვქონდა - კახა მახარაძე დისკვალიფიკაციის გამო გვაკლდა, ჩარგეიშვილი კი 19-წლამდელთა ნაკრებში იყო გამოძახებული. მათ არყოფნაში მოედნის ცენტრი დავთმეთ და მარცხი ამანაც განაპირობა. ჩვენი მიზანია უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. იმედი მაქვს თამაშს თანდათან გამოვასწორებთ და ქულების დაგროვებასაც მალე დავიწყებთ".

**გიორგი კიკნაძე** (ტორპედო): „წლეულს ჩვენთვის ეს პირველი საშინაო თამაში იყო და ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით. გახარებული ვარ რომ სამი ქულა ავიღეთ. ბიჭებისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის. სხვა თამაშებიც ჩვენთვის მისაღები ანგარიშებით დამთავრდა. გუნდს ამბიცია ყოველთვის უნდა ჰქონდეს და გამონაკლისი ჩვენც არ ვართ. თუ ეს შემადგენლობა შევინარჩუნეთ და რაიმემ ხელი არ შეგვიშალა, სამეულისთვის ვიბრძოლებთ. რა გამოვა აქედან ამას მომავალი გვიჩვენებს".

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

**კახეთი-ოლიმპი**

**0:5**

02.03. თელავი. გ. ჩოხელი
500 მაყურებელი

0:1 აფციაური (4), 0:2 გოცირიძე (12), 0:3 ძამსაშვილი (45), 0:4 დვალიშვილი (56), 0:5 დვალიშვილი (90)

კახეთი: იაშვილი, კვირკველია, კობაიძე, გერგიშვილი, მურველაშვილი, ბიძინაშვილი (46. ძამუკაშვილი), კუპრაშვილი, დავითაშვილი, ჩუთლაშვილი (66. ბარბაქაძე), ამირანიძე (57. მედოევი), გ. ხიდეშელი.

*სათადარიგოები: ჩახუტაშვილი, გ. ხიდეშელი, მაჩაიძე, ბურნაძე.*

ოლიმპი: მერლანი, ნავალოვსკი, გოცირიძე, სეთურიძე (53. ხუბუა), დვალიშვილი, ონიანი, ქებაძე (57. ჩხარტიშვილი), მახვილაძე (64. ბერუაშვილი), აფციაური, ძაესაშვილი, ჭიჭვეიშვილი.

*სათადარიგოები: ალავიძე, მაჭავარიანი.*

გაფრთხილება: გ. ხიდეშელი (28)

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი.

# ოლიმპმა კახეთს ოლიმპიდან გადმოხედა

გუშინდელივით მახსოვს წინა ჩემპიონატის გახსნა თელავში: გულშემატკივრებით დატვირთული გივი ჩოხელის სტადიონი და იმედი: აწი, ვიხალისებთ დიდი ფეხბურთითო... იყო სიხარულიც და იმედგაცრუებაც, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილება: "კახეთი" ათეულში მოხვდა და, რაც მთავარია, კახეთში საფეხბურთოდ გამოიდარა...

დღევანდელი ვითარება კი ასეთია: "კახეთის" აქტივში ერთი ქულა და უმაღლესში დარჩენის არარეალური შანსია. ყველაფერი საბაზრო ეკონომიკის პრინციპს ემორჩილება - ფული გაქვს?.. ადგილობრივი ხელისუფლების მაქსიმალური მხარდაჭერა საკმარისი არაა, სპონსორი კი არადა არ ჩანს. ეს ყველაფერი ადვილად გასაგები, მაგრამ ძნელად შეგუებადია - ამხელა რეგიონი ნომერ პირველი სპორტის გარეშე?

"კახეთი" მთლიანობაში ახალგაზრდული გუნდია, ორ-სამ წელიწადში,კი, ალბათ, კვლავ უმაღლესში დაბრუნების სურვილისა და შესაძლებლობის მქონე...

დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ სწრაფი, ტექნიკური და კომბინაციური სტილით მოთამაშე "ოლიმპს" მასპინძელთა შემართება დიდხანს ვერ გაუძლებდა. დებიუტშივე აიკლეს კახელთა დაცვის მარჯვენა ფლანგი და სტუმარმა, პირველ შვიდ წუთში, ოთხი (!) საგოლე მომენტი შექმნა. განსაკუთრებით **ნავალოვსკი** და **აფციაური** გამოირჩეოდნენ და სწორედ მათი კომბინაციის შედეგი გახლდათ პირველი გოლი - აფციაურის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და ბადეში შეგორდა, უკვე მე-4 წუთზე. სხვათა შორის, აფციაური ფლანგებს ხშირად იცვლიდა და სადაც იყო, ყველგან კორიანტელს აყენებდა...

აი, მეორე გოლიც. მე-12 წუთზე, **გოცირიძემ,** პენალტის ნიშნულიდან მოქნილი მოძრაობით დაჰკრა და ანგარიში ორამდე გაზარდა. პირველი ტაიმის მიწურულს კი **ძამსაშვილმა** საჯარიმოდან უკუგდებული ბურთი 20 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით უკან მიაბრუნა - 0:3 და შეხვედრის ბედიც აქ გადაწყდა. და მაინც, ეს სამი გოლიც ნათლად ვერ ასახავდა იმ ტექნიკურ-ტაქტიკურ თუ სათამაშო უპირატესობას, რაც "ოლიმპს" ჰქონდა.

კახელთა მონადინება, შესვენებამდე, ორჯერ **გერგიშვილისა** და **დავითაშვილის** შორეულ დარტყმებში და ერთხელაც, საგოლე პოზიციაზე **ამირანიძის** გასვლით გამოიხატა. ეს იყო და ეს.

მეორე ტაიმში სტუმარ-მასპინძელმა შეცვლათა ლიმიტი მაქსიმალურად აითვისა, მაგრამ სცენარი უცვლელი დარჩა. რამდენიმე ეპიზოდზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას. 49-ე წუთზე, **დვალიშვილის** შორეული გასროლა "ცხრიანს" ოდნავ გასცდა. მერე იყო **ქებაძის** პასი იმავე დვალიშვილისკენ, რომელიც მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და "ოლიმპი" მეოთხედ აზეიმა. აქედან ბევრი არ იყო გასული, რომ ყველგანმყოფი აფციაურის ძლიერი დარტყმა მასპინძელთა კარის დარაჯმა **იაშვილმა** ზედ ხაზზე შეაკავა. 69-ე წუთზე, **დვალიშვილი-გოცირიძის** სხარტი კომბინაციის დასასრული თავგანწირულ იაშვილს ლამის ტრავმად დაუჯდა. ოთხ წუთში, **ძამსაშვილი-აფციაური-ნავალოვსკი-გოცირიძის** გააზრებულ იერიშს აუცილებელი გოლი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ... მაგრამ მაინც მოჰყვა, ოღონდ ორკაციანი-კომბინაციის შედეგად: 90-ე წუთი, **აფციაური-დვალიშვილი** - 5:0 და "ოლიმპის" მხრიდან "ხუთიანზე" ჩატარებული მატჩი.

**ნიკო ვაყელიშვილი**
თელავიდან

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერის შემდეგ. ინტერვიუ გოგიტა გოგუასთან

# ეს ბიჭი ხელიდან გასაშვები არ არისო...


გოგიტა გოგუა სატურნის ვარჯიშზე

**გოგიტა გოგუას უზომო ბედნიერება ხმაზე ეტყობოდა. რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო დებიუტანტი, წესით და რიგით, ახლა უკვე ცნობილ და ტიტულოვან კლუბში უნდა თამაშობდეს, მაგრამ ვაი-მენეჯერ-პატრონ ალექსანდრ ჩერვიჩენკომ ტრანსფერები ჩაუშალა. არა, ორი აზრიც არაა, გაციმბირებასა და ტომსკის "ტომში" თამაშს, რამენსკოეს "სატურნთან" კონტრაქტი სჯობდა. გინდა-არ გინდა, მედიის ყურადღება, ჩვენშიც და რუსეთშიც, ცენტრშია თავმოყრილი. გოგიტას კონტრაქტის გაფორმების შემდეგ დავუკავშირდით. ემოციები მის თითოეულ პასუხში იგრძნობოდა.**

**- გოგიტა, თავდაპირველად, "სატურნი" ჩერვიჩენკოს ერთწლიან არენდაზე ელაპარაკებოდა. საბოლოოდ კი კლუბმა გამოგისყიდა. რა შეიცვალა ბოლო მომენტში?**

- კი, თავიდან არენდაზე იყო საუბარი, მაგრამ მწვრთნელმა "სატურნის" პრეზიდენტს ბოლოს სთხოვა, თუ საშუალება გვაქვს, მაშინ ეს ბიჭი შევიძინოთ. ბოლოს ჩერვიჩენკოს მოელაპარაკნენ და ამიერიდან, სამი წლით "სატურნს" ვეკუთვნი.

**- ჩერვიჩენკო საბოლოოდ ჩამოგშორდა?**

- დიახ, ახლა მთლიანად კლუბის საკუთრებაში ვარ.

**- ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორი ბედნიერი იქნები: სამთვიანი ფიქრი, ეჭვები, განცდები... ეს ყველაფერი უკვე წარსულია... ამოისუნთქე?**

- ამოვისუნთქე რომელია... ძნელია უგუნდოდ ყოფნა.

**- თან, სიმართლე ითქვას, ციმბირში თამაშს "სატურნთან" კონტრაქტი სჯობია. ასე არ არის?**

- მართალია, ბევრად სჯობია. "სატურნის" მხრიდან დაინტერესებაზე რომ მითხრეს, ძალიან გამიხარდა.

**- 77-ნომრიანი მაისურა აგილია. ამ ნომრით თამაშობდი "თბილისშიც". ეს უბრალო დამთხვევა არ იქნება...**

- ნამდვილად არაა დამთხვევა, თავად ვითხოვე ეს ნომერი.

**- რატომ?**

- აკი თავად ახსენეთ "თბილისი". ამ ნაბიჯით, მის მიმართ სიყვარული და მადლიერება მსურს, გამოვხატო. დიდ ფეხბურთში სწორედ "თბილისმა" დამაბრუნა და გზა გამიხსნა. არც ჯემალ ჩიმაკაძის თანადგომა მავიწყდება, არც ვაჟა ჟვანიასი, ნიკო დოლიძის, თემურ უგულავასი, გიორგი დევდარიანისა და მამუკა გუგეშაშვილის. გთხოვთ, ეს დაწეროთ! ეს ხალხი მარტო გაჭირვების დროს არ მახსოვს, გახარებული რომ ვარ, მათი დამსახურებაცაა. საერთოდ, "შვიდიანი" ისედაც მიყვარს, ნალჩიკის "სპარტაკშიც" ამ ნომრით ვთამაშობდი. იმედია, ეს ციფრი "სატურნშიც" კარგად დამებედება.

**- "სატურნი" ამბიციური გუნდია. საინტერესო კია, ზამთარში მოსამზადებელი შეკრება არ გაგივლია და რუსული კლუბებისთვის დამახასიათებელ ფიზიკურ დატვირთვებს ასე მოუმზადებელი როგორ ეგუები?**

- ღმერთის წყალობით, არანაირი სირთულე არ მიგრძვნია, პირიქით, მწვრთნელს ძალიანაც მოვეწონე.

**- მართალია, ვლადიმირ ვაისმა შვილივით მიიღოო?**

- მართალია, ძალიან თბილად მექცევა. ორი თამაში ჩავატარე, საგოლე გადაცემა გავაკეთე და მერე მითხრა - შენს შესაძლებლობებში ეჭვიც არ მეპარებოდა და იცოდე, გასასინჯად არ მომიწვევიხარ, კარგი ფეხბურთელი ხარ და ამიტომაც ხარ ჩვენთანო. ბოლოს ისიც მითხრა: შენს ადგილს ძირითად შემადგენლობაში ვხედავ და აბა, შენ იციო... თუმცა ძირითადის გარანტიას ვერავინ მომცემს, ეს თამაშით უნდა დავიმსახურო, საამისოდ კი არაფერს დავიშურებ. მთავარია, კონტრაქტი უკვე გავაფორმე.

**- საკონტროლო მატჩებზე უნდა გკითხო. თავად ახსენე და ჩვენც გავიგეთ, რომ ითამაშე, მაგრამ კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შემადგენლობაში შენი გვარი არ ეწერა...**

- სხვათა შორის, ეს მეც გამიკვირდა, არადა, ვითამაშე. ხომ გითხარით, საგოლე პასიც გავაკეთე. შეიძლება, ვიდრე ტრანსფერის საკითხი გადაწყვეტილი არ იყო, ჩემი გვარის დაფიქსირება არ სურდათ... არ ვიცი, მიჭირს მიზეზის პოვნა... მაგრამ ეს ახლა მეორეხარისხოვანია... ვაისმა რომ თავისი აზრი მითხრა, მეც არ დამიმალავს, რომ ამ გუნდში და ასეთ პირობებში თამაში ჩემთვისაც ბედნიერება იქნება. "სატურნში" ძალიან ძლიერი მოთამაშეები შეიკრიბნენ და ამ გუნდით უმაღლესი ადგილებისთვის ბრძოლაც შეიძლება.

**მერაბ მამულაშვილი**

საფეხბურთო აკადემია "ოლიმპი" და საფეხბურთო კლუბი რუსთავის "ოლიმპი" თანაუგრძნობენ აკადემიის სპორტკომპლექსის დირექტორს, გელა გუჯაბიძეს, დედის გარდაცვალების გამო.

# SOS

თემა განსჯისთვის

## ბავშვთა ფეხბურთი კვდება

გამოხმაურება

## ასე თუ გაგრძელდა, არც დიდ ფეხბურთს უწერია გრძელი დღე

"ლელოს" ბოლო ორ ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს, ბავშვთა ფეხბურთში სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ვისაც გული შესტკივა ქართულ სპორტზე ზოგადად და, კერძოდ, ფეხბურთზე, გულგრილად ვერ წაიკითხავდა. მართალია, წარმოუდგენელი რამ მოხდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: თბილისის მერიის 2006 წლის 25 დეკემბრის განკარგულებით, დაფინანსება შეუწყდათ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს, მათ შორის, ცხადია, ფეხბურთისასაც. პირველმა, საგანგაშო ზარს შემოჰკრა "ლელოს" ჟურნალისტმა მერაბ მამულაშვილმა და ცხადად დაგვანახა, თუ რა ხდება და რა მოგველის, ანუ რა მოელის ბავშვთა ფეხბურთს, ქართული ფეხბურთის ხვალინდელ დღეს.

ამ წერილს ასე ოპერატიულად თუ გწერთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ხმა მინდა შევუერთო ყველას, ვისაც აწუხებს ჩვენი მოზარდების ბედი და ათვითცნობიერებს ქართული ფეხბურთის აღსასრულის მოახლოების საშინელებას. დიახ, აღსასრულისას, რადგან თუ მოკვდა ბავშვთა ფეხბურთი, ასეთ შემთხვევაში, არც დიდ ფეხბურთს და ტრადიციებს უწერია გრძელი დღე.

შემოვდივარ წინადადებით: "ლელოს" არაერთ სასიკეთო საქმეში გამოუჩენია ინიციატივა და ერთიც ითავეთ: შექმენით, პირობითად ვამბობ, "ბავშვთა სპორტზე ზრუნვის საზოგადოებრივი საკრებულო". ვიმსჯელოთ არა მხოლოდ ფეხბურთის, არამედ სპორტის სხვა სახეობების ხვალინდელ დღეზე, იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც დღეს შეიქმნა ბავშვთა სპორტში. ვფიქრობ, დროულია, თუ უკვე არ დაგვიანდა.

**გრიგოლ ლომთაძე,**
*ქართული სპორტის ქომაგი და ფეხბურთის გულშემატკივარი 1959 წლიდან, თბილისი*

**რედაქციისგან:** ბატონ გრიგოლს მადლობას გადავუხდით გულიანი გამოხმაურებისთვის. წინადადებაც გვეწიშნა. მოდით, ასე შევთანხმდეთ: ვისაც ბავშვთა სპორტზე შესტკივა გული და ნებისმიერი ფორმით მისი მხარდაჭერა სურს, ვიწვევთ "ლელოს" რედაქციაში (მ. კოსტავას ქ. 14, ჭოველიძის ქუჩის მხრიდან) სამშაბათს, 6 მარტს, 14 საათზე. ცხადია, სპეციალისტებსაც. გელით!

## შლაგბაუმი შალკეს

**ლევან კობიაშვილის** "შალკეს" საჩემპიონო ამბიციას სერიოზული დარტყმა მიაყენეს - წუხელ ბუნდესლიგის ლიდერი შინ 0:2 დამარცხდა "ჰამბურგთან", რითაც კონკურენეტებს მიახლოების საშუალება მისცა. ლევანმა მოედანზე 90 წუთი გაატარა, თუმცა კლუბს ვერაფრით დაეხმარა. ჩვენმა ლეგიონერმა ბოლო წუთზე სახიფათო საჯარიმო შეასრულა, მაგრამ ცოცხალმა კედელმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. მიუხედავად ამისა "შალკე" 49 ქულით ერთპიროვნულ ლიდერად რჩება.

მეორე ბუნდესლიგაში იმარჯვა **დავით სირაძის** "აუემ" - მასპინძლებმა მეტად მნიშვნელოვანი თამაში მოუგეს "კაიზერსლაუტერნს", თუმცა ამ გამარჯვებაში ქართველი ფორვარდის წვლილი არაა, სირაძე მხოლოდ 90-ე წუთზე შევიდა მოედანზე **რანგელოვის** ნაცვლად. "აუე" 39 ქულით მეხუთე ადგილზეა. გასავარდნ ზონაშია **გიორგი ლომაიას** და **მიხეილ აშვეთიას** "კარლ ცაისი", რომელიც წუხელ სტუმრად 0:2 დამარცხდა "უნტერჰახინგთან" მატჩში. ქართველებს "შპორტალმა" ცუდი შეფასებები დაუწერა: ლომაიას - 4 ბალი, აშვეთიას - 4,5. "კარლ ცაისს" 25 ქულა აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


გიორგი ლომაიამ უნტერჰახინგის ფორვარდი გლიუკი ვერ შეაჩერა

## უკან დაიხიეს

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ კლუბთა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა. ქართულ კლუბთაგან ყველაზე მაღლა კლასიფიკაციაში თასის მფლობელი თბილისის "ამერია". მას 238-ე პოზიცია უკავია, რაც ერთი თვის წინანდელს 11 ადგილით ჩამორჩება. 297-ე პოზიციაზეა ჩვენი ჩემპიონი ბოლნისის "სიონი" (-16), შემდეგ მოდიან "ზესტაფონი" - 305 (-15) და "ვიტ ჯორჯია" - 323-ე (-9). მსოფლიო კლასიფიკაციას სათავეში ესპანური "სევილია" უდგას.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
მთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერ ალექს ფერგიუსონი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტურის წინ

# დიდი მატჩი ენფილდ როუდზე

## ლარსონი მანჩესტერს ემშვიდობება, ტერი პორტსმუთთანაც არ იქნება, ანრი და როსიცკი არსენალს ეინდჰოვენთანაც ვერ დაეხმარებიან...

**დღეს**

**ლივერპული-მანჩესტერ იუნაიტედი**
**არსენალი-რედინგი**
**ფულჰემი-ასტონ ვილა**
**მანჩესტერ სიტი-ვიგანი**
**ნიუკასლი-მიდლსბრო**
**შეფილდ იუნაიტედი-ევერტონი**
**უოტფორდი-ჩარლტონი**
**პორტსმუთი-ჩელსი**

**ხვალ**

**ბოლტონი-ბლექბერნი**
**ვესტ ჰემი-ტოტენჰემი**

"მანჩესტერ იუნაიტედის" საჩემპიონო ამბიციებს სერიოზული გამოცდა ელის. **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდები "ლივერპულს" სტუმრობენ. მერსისაიდელებს შინ ცხრა მატჩია, გოლი არ გაუშვიათ. "ენფილდზე" მათი დაუმარცხებელი სერია უკვე 30 მატჩს შეადგენს. ვგულისხმობთ დაუმარცხებელ სერიას პრემიერლიგაში, თორემ იანვრის პირველ ნახევარში, ლიგისა და ასოციაციის თასებზე, "ლივერპულმა" ორჯერ უმასპინძლა "არსენალს" და ორი მატჩის ჯამში ცხრა გოლი მიიღო: **რაფა ბენიტესმა** "მეთოფეების" წინააღმდეგ ორჯერვე შესუსტებული შემადგენლობა გაიყვანა.

რა მოხდება დღეს? დიდია ცდუნება, რომ მწვრთნელმა ამჯერადაც ექსპერიმენტს მიმართოს. სამი დღის შემდეგ მას "ბარსელონასთან" საპასუხო მატჩი ელის. ბენიტესს ყველა წამყვანი ფეხბურთელი ჯანმრთელი სჭირდება. სხვათა შორის, ლიგის საპასუხო მატჩი აქვს "მანჩესტერსაც" ("ლილთან").

**პიტერ კრაუჩმა** ცხვირის ოპერაცია გადადო და დღეს აუცილებლად ითამაშებს. ძირითადში დაბრუნდებიან **ხოსე რეინა, კრეიგ ბელამი, დანიელ აგერი, მოჰამედ სისოკო, დირკ კუიტი** და **ჩაბი ალონსო**. გასულ უქმეებზე ამ ფეხბურთელებს სულის მოთქმის საშუალება ჰქონდათ.

დღევანდელი მატჩი განსაკუთრებული იქნება **რაიან გიგზისთვის**. უელსელი ვარსკვლავი "იუნაიტედის" მაისურას მე-700-დ მოირგებს. თავდასხმაში ერთი ადგილი **უეინ რუნის** ეკუთვნის, მეორეზე კი ტრადიციულად **ლუის საა** და **ჰენრიკ ლარსონი** აცხადებენ პრეტენზიას. ცნობისთვის, ეს ლარსონის ბოლო მატჩი იქნება "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში. მომავალი კვირიდან ის "ჰელსინგბორგში" დაბრუნდება. დაშავებულია **დარენ ფლეტჩერი**. **ოლე გუნარ სოლსკიაერმა** მუხლის უმნიშვნელო ოპერაცია გაიკეთა.

საინტერესო სტატისტიკა: 28 ტურის შემდეგ "მანჩესტერმა" შარშანდელზე ცხრა ქულით მეტი, 69 ქულა მოაგროვა. ეს მისი პირადი რეკორდია, რადგან აქამდე 28 თამაშში მისი საუკეთესო შედეგი 67 ქულა იყო. პრემიერლიგის რეკორდი "ჩელსის" ეკუთვნის. ერთი წლის წინ, 28 ტურის შემდეგ, მას 72 ქულა ჰქონდა...

"არისტოკრატებს" "პორტსმუთთან" მატჩში **ჯონ ტერი** არ ეყოლებათ. გასულ უქმეებზე, "არსენალთან" ლიგის თასის ფინალში, კაპიტანმა სერიოზული ტრავმა მიიღო. შუა კვირაში მან შეუძლოდ იგრძნო თავი და განმეორებითი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. შემაშფოთებელი არაფერია, მაგრამ ფეხბურთელს დასვენება სჭირდება. ტერიმ, შეიძლება, "პორტსმუთთან" საპასუხო მატჩიც გამოტოვოს. დაცვის ცენტრში **მიკაელ ესიენს** ვიხილავთ. ტრავმა მოიშუშა **ეშლი კოულმა**. ამიტომ მარცხენა ფლანგზე ის **უეინ ბრიჯის** ადგილს დაიკავებს.

დღეს "პორტსმუთის" თავკაც **ჰარი რედნაპს** 60 წელი უსრულდება. **სერ ალექს ფერგიუსონისა** და ქვედა დივიზიონური "ქრუს" თავკაცის **დარიო გრადის** შემდეგ, რედნაპი ინგლისის საფეხბურთო ლიგის მესამე მწვრთნელი ხდება, რომელმაც 60-ს გადააბიჯა. სხვა სპეციალისტები მათზე გაცილებით ახალგაზრდები არიან. ყველაზე კარგი საჩუქარი, რა თქმა უნდა, სამი ქულა იქნებოდა, მაგრამ ამ წყვილში ფავორიტები ჩემპიონები არიან. თანაც მასპინძლებს ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლებათ, მათ შორის, **პედრო მენდესი, ლორენი** და **შონ დევისი. გლენ ჯონსონი** იმიტომ ვერ ითამაშებს, რომ "ჩელსის" საკუთრებაა და თავისი კლუბის წინააღმდეგ ასპარეზობა ეკრძალება.

"პორტსმუთმა" 2007 წელს მხოლოდ ერთი კალენდარული მატჩი მოიგო. "არისტოკრატებთან" მისი სტატისტიკა კიდევ უფრო სავალალოა: მას "ჩელსი" 1960 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია. მოუგებელი სერია 20 მატჩს მოიცავს. ბურთების ბალანსი ასეთია - 48:14, რა თქმა უნდა, დედაქალაქელების სასარგებლოდ.

მეოთხეადგილოსანი "არსენალი" "რედინგს" მასპინძლობს. "მეთოფეებს" სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი არ ეყოლებათ - **ემანუელ ადებაიორი, კოლო ტურე** და **ემანუელ ებუე** (გუშინ ის სამი მატჩით მოკვეთეს). ძირითადში დაბრუნდებიან **იენს ლემანი** და **სესკ ფაბრეგასი**. ამ უკანასკნელს და კიდევ შვეიცარიელ მცველს, **იოჰან ჯურუს**, მცირე ტრავმები ჰქონდათ, მაგრამ გამოჯანმრთელდნენ. დაშავებულები არიან **ტიერი ანრი, ტომაშ როსიცკი, რობინ ვან პერსი, აბუ დიაბი** (ის, რომელმაც ჯონ ტერი დააშავა), **ჯასტინ ჰოიტი** და **მატიო ფლამინი**. ანრიმ და როსიცკიმ, შეიძლება, "ეინდჰოვენთანაც" ვერ ითამაშონ. სხვადასხვა მიზეზით, **არსენ ვენგერს** ცხრა ფეხბურთელი ვერ დაეხმარება.



რაფა ბენიტესი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 28 | 22 | 3 | 3 | 65-19 | 69 |
| 2. ჩელსი | 27 | 18 | 6 | 3 | 48-19 | 60 |
| 3. ლივერპული | 28 | 16 | 5 | 7 | 44-19 | 53 |
| 4. არსენალი | 26 | 14 | 7 | 5 | 48-22 | 49 |
| 5. ბოლტონი | 28 | 14 | 5 | 9 | 33-32 | 47 |
| 6. რედინგი | 28 | 13 | 4 | 11 | 42-36 | 43 |
| 7. ევერტონი | 28 | 11 | 9 | 8 | 36-25 | 42 |
| 8. პორტსმუთი | 28 | 11 | 8 | 9 | 36-29 | 41 |
| 9. ტოტენჰემი | 28 | 11 | 6 | 11 | 36-40 | 39 |
| 10. ბლექბერნი | 28 | 11 | 4 | 13 | 33-38 | 37 |
| 11. ნიუკასლი | 28 | 10 | 6 | 12 | 34-37 | 36 |
| 12. მიდლსბრო | 28 | 9 | 8 | 11 | 32-34 | 35 |
| 13. ასტონ ვილა | 27 | 7 | 11 | 9 | 28-33 | 32 |
| 14. ფულჰემი | 28 | 7 | 11 | 10 | 30-43 | 32 |
| 15. მანჩ. სიტი | 26 | 8 | 6 | 12 | 20-32 | 30 |
| 16. შეფილდი | 28 | 8 | 6 | 14 | 24-40 | 30 |
| 17. ვიგანი | 28 | 8 | 5 | 15 | 29-44 | 29 |
| 18. ჩარლტონი | 28 | 6 | 5 | 17 | 24-47 | 23 |
| 19. ვესტ ჰემი | 28 | 5 | 5 | 18 | 18-46 | 20 |
| 20. უოტფორდი | 28 | 3 | 10 | 15 | 16-41 | 19 |

იტალია. სერია A. XXVII ტურის წინ

# ...თან მზერა ევროპისკენ

## რომა, ინტერი და მილანი დიდ როტაციებს აპირებენ

**დღეს**

**ასკოლი-რომა**
**ლივორნო-ინტერი**
**მილანი-კიევო**

**ხვალ**

**კალიარი-ატალანტა**
**კატანია-სიენა**
**ლაციო-სამპდორია**
**მესინა-პალერმო**
**პარმა-რეჯინა**
**უდინეზე-ემპოლი**
**ფიორენტინა-ტორინო**

სერია A-ს სამივე ჩემპიონთალიგელი შაბათს თამაშობს და შესაბამისად ტურის მთავარი მოვლენებიც დღეს მოხდება. "ინტერს", "რომასა" და "მილანს" სამშაბათსა და ოთხშაბათს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრები ელით ევროპაში, ამიტომ სამივე გუნდის შემადგენლობაში სადღეისოდ დიდი როტაციებია მოსალოდნელი. "ინტერით, დავიწყოთ, რომელიც ზედიზედ 17 გამარჯვების შემდეგ, წინა ტურში როგორ იქნა გააჩერეს – 1:1, შინ "უდინეზესთან". "ნერაძური" მდევარ "რომას" მთელი 14 ქულით უსწრებს და **მანჩინის** შეუძლია, თავს უფლება მისცეს, რომ "ვალენსიისთვის" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე შემოინახოს. სავარაუდოდ, ლივორნოში შემდეგი ფეხბურთელები დაისვენებენ: **მაიკონი, მატერაცი, ძანეტი, იბრაჰიმოვიჩი** და **კრესპო**. მათ გარდა "ინტერს" ტრავმების გამო არ ეყოლება **ვიეირა, კამბიასო** და **ადრიანო**. **სტანკოვიჩმა** დისკვალიფიკაციის მოხდასთან ერთად მცირე ტრავმაც მოიშუშა და დღეს ძირითადში იქნება. შეტევაში შეიძლება, სეზონში პირველად ვიხილოთ **რეკობა-კრუსის** წყვილი. ერთი სიტყვით, "ინტერი" სერიოზულად იქნება გადახალისებული ლივორნოში, სადაც შარშან 0:0 ითამაშა, პირველ წრეში კი ტოსკანელებს შინ 4:1 მოუგო. "ლივორონომ" ბოლო ორი შეხვედრა ფრედ დაასრულა.

"რომა" ასკოლიში ისევ "ფრთამოტეხილი" ჩავა, იმ თვალსაზრისით, რომ ორივე გარემარბი, **მანსინი** და **ტადეი** ტრავმირებულია. მათი არყოფნა კი რომაელების აწყობილ ანსამბლს მაშინვე მძიმედ ეტყობა ხოლმე. ბრაზილიურმა დუეტმა ვერც წინა ტურში ითამაშა და "ჯალოროსიმ" ძლივს მოახერხა ვერონიდან ქულის წამოღება. **სპალეტის** გუნდი 0:2-ს აგებდა და **ტოტის** დუბლით გაათანაბრა, თუმცა ლიდერთან მიახლოების იშვიათი შანსი ხელიდან გაუშვა. აღსანიშნავია, რომ რაც 2007 წელი დაიწყო, "რომასთვის" სტუმრად გამარჯვება მიუღწეველი გახდა (სამი ფრე და ერთი წაგება). დედაქალაქურ გუნდს იოლი გასეირნება არც დღეს ელის. მართალია, "ასკოლი" უკანასკნელ ადგილზეა, მაგრამ იანვარში ბევრი ახალი ფეხბურთელი დაიმატა და თებერვალში გუნდის თამაშს ეს აშკარად დაეტყო. ბოლო სამ ტურში ასკოლელებმა სამი ფრე ითამაშეს. ასევე ფრედ (2:2) დასრულდა ამ გუნდების დაპირისპირება პირველ წრეში "ოლიმპიკოზე", ასკოლიში კი, შარშან, მასპინძლებმა 3:2 მოიგეს. სპალეტი სადღეისოდ **პეროტასა** და **დე როსის** დასვენებასაც აპირებს.

დღესვე საღამოს "მილანი" "კიევოს" უმასპინძლებს. ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ, "როსონერიმ" ოთხშაბათს პალერმოში 0:0 ითამაშა, არადა, რომ მოეგო, "პალერმოსთან" სხვაობას 5 ქულამდე შეამცირებდა. მაგრამ **კაკამ** პენალტი ვერ გამოიყენა და დისტანცია უცვლელი დარჩა. ამ შეხვედრაში "მილანს" ერთბაშად რვა მცველი არ ჰყავდა, სადღეისოდ კი ორი მათგანი დაუბრუნდება – დისკვალიფიკაციამოხდილი **ოდო** და გამოჯანმრთელებული **იანკულოვსკი**. დაცვის ცენტრში კი ისევ **ბონერა-შიმიჩის** წყვილი ითამაშებს. რაკი **რონალდო** გუნდს ჩემპიონთა ლიგაში ვერ ეხმარება, დღეს ის ძირითადში იქნება. **ჯილარდინოსა** და **ოლივეირას ანჩელოტი** "სელტიკთან" შეხვედრისთვის ასვენებს, **ინძაგის** კი ტრავმა ჯერ ისევ არ მოურჩენია. ამიტომ რონალდო ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი იქნება, მის უკან კი კაკა იმოქმედებს. გადარჩენისთვის მებრძოლი "კიევო" ბოლო დროს თანდათან უმატებს. ბოლო სამ ტურში **დელ ნერის** გუნდმა ერთხელ მოიგო და ორი ფრე ითამაშა. პირველ წრეში ამ გუნდების დაპირისპირება მილანელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

საკვირაო შეხვედრებიდან დიდ დაძაბულობას ელიან სიცილიურ დერბიში "მესინასა" და "პალერმოს" შორის. სიცილიური დერბი (კატანია-პალერმო) იყო ისიც, რომელსაც ერთი თვის წინ პოლიციელის სიცოცხლე ემსხვერპლა. საბოლოო გადაწყვეტილება დღეს უნდა მიიღონ, თუმცა მაყურებლებს, სავარაუდოდ, ძალიან შეზღუდული რაოდენობით დაუშვებენ. "კატანია" კი, დისკვალიფიკაციის გამო, "სიენას" რიმინის ნეიტრალურ მოედანზე, ცარიელი ტრიბუნების წინ უმასპინძლებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 25 | 21 | 4 | 0 | 55-20 | 67 |
| 2. რომა | 25 | 16 | 5 | 4 | 51-20 | 53 |
| 3. პალერმო | 26 | 13 | 6 | 7 | 41-30 | 45 |
| 4. ლაციო | 25 | 12 | 7 | 6 | 40-19 | 40 |
| 5. ემპოლი | 25 | 10 | 8 | 7 | 24-22 | 38 |
| 6. მილანი | 25 | 12 | 9 | 4 | 33-21 | 37 |
| 7. სამპდორია | 25 | 9 | 6 | 10 | 33-32 | 33 |
| 8. ფიორენტინა | 25 | 14 | 5 | 6 | 39-22 | 32 |
| 9. უდინეზე | 25 | 8 | 8 | 9 | 29-33 | 32 |
| 10. ატალანტა | 25 | 7 | 10 | 8 | 39-36 | 31 |
| 11. კატანია | 26 | 8 | 7 | 11 | 34-48 | 31 |
| 12. ლივორნო | 25 | 6 | 10 | 9 | 24-35 | 28 |
| 13. სიენა | 25 | 5 | 12 | 8 | 23-29 | 26 |
| 14. ტორინო | 25 | 6 | 7 | 12 | 19-34 | 25 |
| 15. კიევო | 25 | 5 | 8 | 12 | 27-35 | 23 |
| 16. კალიარი | 25 | 4 | 11 | 10 | 18-29 | 23 |
| 17. რეჯინა | 25 | 8 | 8 | 9 | 30-34 | 21 |
| 18. მესინა | 25 | 4 | 8 | 13 | 25-42 | 20 |
| 19. პარმა | 25 | 3 | 8 | 14 | 20-43 | 17 |
| 20. ასკოლი | 25 | 2 | 8 | 15 | 18-37 | 15 |

### დაპირისპირება ვესტ ჰემში

"ვესტ ჰემში" დაპირისპირებაა. მთავარი მწვრთნელი **ალან კერბიშლი** წამყვან მცველ **ანტონ ფერდინანდს** გუნდიდან გაგდებით დაემუქრა. დაპირისპირება გასულ უქმეებზე, "ჩარლტონთან" უიმედოდ წაგებულ შეხვედრას მოჰყვა. "ჩაქუჩებმა" ოთხი უპასუხო გოლი გაუშვეს. ნამატჩევს განრისხებულმა კერბიშლიმ ფეხბურთელებს განუმარტა, რომ რამდენიმე მათგანს ბარგის ჩალაგება მოუწევს. ფერდინანდმა გვარების დასახელება მოითხოვა. მისტერ ალანმა დაუფიქრებლად უპასუხა: *"ერთ-ერთი შენ იქნები!"* და კარი გაიჯახუნა.

კვირას "ვესტ ჰემი" "ტოტენჰემს" ეთამაშება. მარცხი ფაქტობრივად იმის ნიშანი იქნება, რომ გაისად კლუბი პირველ დივიზიონში ითამაშებს. 28 მატჩში დაგროვებული 20 ქულით "ვესტ ჰემს" ბოლოდან მეორე ადგილი უკავია. ის მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს აუტსაიდერ "უოტფორდს", ხოლო უსაფრთხო ზონაში მყოფ "ვიგანს" ცხრა ქულით ჩამორჩება. ინგლისელი მიმომხილველები არ გამორიცხავენ, სანამ კერბიშლი საკადრო რევოლუციას მოახდენდეს, თვითონ მას მიუთითონ კარისკენ.

### ჟიული იუვენტუსში?

**ლუდოვიკ ჟიული**, შეიძლება, "იუვენტუსში" აღმოჩნდეს. ამ მოსაზრებას ესპანელი მიმომხილველები გამოთქვამენ. "ბებერმა ქალბატონმა" უკვე დაიბევა ბაიერნელი **ჰასან სალიჰამიჯიჩი** და აიაქსელი **ზდენეკ გრიგერა**. ახლა კი ბარსელონელ ვარსკვლავზე ფიქრობს. ტრანსფერი იდეოლოგია **დიდიე დეშამი**. ის ლუდოვიკს "მონაკოში" მოღვაწეობის დროიდან იცნობს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბაიერნი ტონისთვის ბრძოლას იწყებს

## შპორტ აინსის ცნობით, ფიორენტინასთან მოლაპარაკებები დაწყებულია...

"ბაიერნს" მომავალი სეზონისთვის ჯერ მხოლოდ 2 ფეხბურთელი ჰყავს დაბევებული: **ჰამით ალთინთოპი**, რომელიც მიუნხენურ კლუბში "შალკედან" უფასოდ გადადის (კონტრაქტი უმთავრდება) და **იან შლაუდრაფი**, რომლის სანაცვლოდაც აახენის "ალემანია" 1 მილიონ ევროს მიიღებს. თითქმის გადაწყვეტილია არგენტინელი **ხოსე ერნესტო სოსას** ტრანსფერიც. უკანასკნელი ინფორმაციით, "ბაიერნის" ბოსები "ესტუდიანტესის" შეფებს ახალგაზრდა არგენტინელი ფლეიმეიქერის ტრანსფერზე უკვე მოურიგდნენ, სოსა მიუნხენში ორშაბათს ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც კონტრაქტს გააფორმებს.

გუშინ "შპორტ აინსმა" "ბაიერნთან" მიმართებაში კიდევ ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. ხსენებული გამოცემა საიდუმლო და სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ბავარიელთა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** უკვე წამოიწყო მოლაპარაკებები მსოფლიოს ჩემპიონ **ლუკა ტონისთან** და კონტაქტი "ფიორენტინას" ხელმძღვანელებთანაც დაამყარა. შეგახსენებთ, რომ მიუნხენელებს აყლაყუდა იტალიელი გოლეადორის გადაბირება ზაფხულშიც სურდათ. 29 წლის ტონის ფასი დაახლოებით 27 მილიონი ევროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტურის წინ

# რეალამდე ჰერთაა...

## ადლერმა ლევერკუზენის პირველი მეკარის სტატუსი მიიღო

**გუშინ**

შალკე-ჰამბურგი *იხ. მე-15 გვერდზე*

**დღეს**

ჰერთა-ბაიერნი
არმინია-ნიურნბერგი
ლევერკუზენი-შტუტგარტი
ვოლფსბურგი-ბორუსია (მ)
აინტრახტი-ჰანოვერი
ვერდერი-ბოხუმი

**ხვალ**

ალემანია-მაინცი
ბორუსია (დ)-კოტბუსი

"ბაიერნი" ბერლინში ჩადის და ხვდება "ჰერტას", რომელიც ოთხშაბათს გერმანიის თასიდან გავარდა ("შტუტგარტთან" წააგო 0:2). ბერლინელთა მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა და მათ ამ მიზნის მიღწევა ახლა მხოლოდ ბუნდესლიგიდან შეუძლიათ (მე-5 ადგილზე უნდა გავიდნენ), რადგან გერმანიის თასიდან უკვე გავარდნენ. "ჰერტა" სატურნირო ცხრილში მე-6 პოზიციაზეა და ორი ქულით ჩამორჩება "ნიურნბერგს". ამრიგად, **ფალკო გიოტცის** კოლექტივს სასწრაფოდ სამი ქულა სჭირდება. იგივე ითქმის "ბაიერნზეც", რომელსაც მომავალ კვირაში "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განმეორებითი, უდიდესი მნიშვნელობის მატჩი ელის. რეკორდმაისტერის პროგრამა მინიმუმი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა, ბავარიელები მესამეადგილოსან "ვერდერს" 3 ქულით ჩამორჩებიან. ასე რომ, 3 ქულა მათაც ჰაერივით სჭირდებათ.

პირველ წრეში "ბაიერნმა" "ჰერტას" 4:2 მოუგო. ამ ორ გუნდს შორის ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე" ჩატარებულ მატჩებში აბსოლუტური თანაფარდობაა: 6-ჯერ დედაქალაქელებმა იმარჯვეს, 11 შეხვედრა ფრედ დასრულდა, 6-ჯერ კი მიუნხენელებმა წაიღეს 3 ქულა. "ჰერტამ" "ბაიერნის" დამარცხება საკუთარ მოედანზე უკანასკნელად 2001/02 წლებში მოახერხა (2:1). შარშან და შარშანწინ "ოლიმპიაშტადიონზე" ფრეები ფიქსირდებოდა (0:0, 1:1), იმის წინ კი, "ბაიერნმა" ბერლინში 6:3 მოიგო. ბერლინულ კლუბს **ილდირაი ბაშთურქი, აშკან დეიაგა, სოფიან ჩაჰედი** და **კევინ ბოატენგი** აკლია (ყველა ტრავმირებულია). რეკორდმაისტერს კი **ოუენ ჰარგრივსი** არ ეყოლება. ინგლისელი ისევ ლაზარეთშია. დაბოლოს, ეს მატჩი ძმების დუელიცაა - "ჰერტას" მენეჯერი **დიტერ ჰიონესი**, "ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰიონესის** წინააღმდეგ.

"შტუტგარტი" ლევერკუზენში ჩადის და სამი ქულის მოპოვება ძალიან გაუჭირდება. პირველ რიგში იმის გამო, რომ "შალკეს" დამარცხების შემდეგ, "ფარმაცევტები" გაათმაგებული ენერგიითა და მონდომებით ითამაშებენ. ესეც არ იყოს, შვაბებმა "ბაი არენიდან" სამი ქულის წაღება ბოლო 14 ცდიდან, მხოლოდ ერთხელ (!) მოახერხეს. აღსანიშნავია ის, რომ "ლევერკუზენის" კარს ისევ **რენე ადლერი** დაიცავს, მიუხედავად იმისა, რომ **ჰანს-იორგ ბუტი** არც დისკვალიფიცირებულია და არც ტრავმირებული. უბრალოდ, ადლერმა "შალკესთან" იმდენად კარგად ითამაშა, რომ მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** დღესაც მას ენდობა. გამოცდილ ბუტს კი სათადარიგო მეკარის სტატუსის მიღება ემუქრება. "შტუტგარტს" საკადრო პრობლემები აქვს: კითხვის ნიშნის ქვეშაა ფლეიმეიქერ **და სილვასა** და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის, **მარიო გომესის** თამაში.



ლევერკუზენის ახალი მეკარე რენე ადლერი

"ვერდერმა" ოდესმე ხომ უნდა განაახლოს მოგებები? ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია ბრემენული კლუბის დარი ამბიციური გუნდისთვის უკვე ნამეტანია (1 ფრე, 3 წაგება ბოლო 4 თამაშში). ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ "მუსიკოსები" წარუმატებელ სერიას დღეს შეწყვეტენ - "ვერდერი" მე-15 ადგილზე მყოფ "ბოხუმს" მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ "ვეზერშტადიონზე" "ბოხუმს" არასდროს მოუგია (0-7-22). ორივე გუნდს წამყვანი ნახევარმცველი აკლია - "ვერდერს" **ტიმ ბოროვსკი**, რომელმაც დაახლოებით ორთვიანი იძულებითი შვებულება გამოიწერა, "ბოხუმს" კი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი**, რომელსაც დისკვალიფიკაცია აქვს.

"არმინია", რომელსაც 11 მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და გასავარდნ ზონაში ჩაეშვა, იმ "ნიურნბერგს" მასპინძლობს, რომელმაც წინა ტურში მხოლოდ და მხოლოდ მესამე მატჩი წააგო. "აინტრახტი" კი (ფრანკფურტელებს რვამატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ), "ჰანოვერს" მიიღებენ - გუნდს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მეორე წრეში. **კლაუს აუგენტალერის** "მგლები" ბოლოადგილოსან "გლადბახს" მასპინძლობენ.

გერმანიის თასიდან გავარდნილი, თავის დროზე "ბაიერნის" გამგდები "ალემანია" ხვალ "მაინცს" უმასპინძლებს - მეორე წრის საუკეთესო გუნდს. სტუმრებს **ლეონ ანდრეასენი** არ ეყოლებათ (დისკვალიფიკაცია). სამაგიეროდ, ჯანმრთელია **მოჰამედ ზიდანი**, რომლისგანაც მთელი გერმანია კვლავ გოლებს ელის. დორტმუნდის "ბორუსია" კი "კოტბუსს" მასპინძლობს. დორტმუნდელებს გასავარდნ ზონასთან მხოლოდ 5 ქულალა აშორებთ. ასე რომ, BVB-სთვის გამარჯვება აუცილებელზე აუცილებელია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 23 | 15 | 4 | 4 | 40-22 | 49 |
| 2. შტუტგარტი | 23 | 13 | 6 | 4 | 41-26 | 45 |
| 3. ვერდერი | 23 | 13 | 4 | 6 | 55-32 | 43 |
| 4. ბაიერნი | 23 | 12 | 4 | 7 | 35-27 | 40 |
| 5. ნიურნბერგი | 23 | 8 | 12 | 3 | 32-19 | 36 |
| 6. ჰერტა | 23 | 9 | 7 | 7 | 33-35 | 34 |
| 7. ჰანოვერი | 23 | 9 | 6 | 8 | 32-34 | 33 |
| 8. ლევერკუზენი | 23 | 9 | 5 | 9 | 36-34 | 32 |
| 9. ბორუსია (დ) | 23 | 7 | 7 | 9 | 27-32 | 28 |
| 10. მაინცი | 23 | 6 | 9 | 8 | 21-33 | 27 |
| 11. კოტბუსი | 23 | 6 | 7 | 10 | 25-32 | 25 |
| 12. ვოლფსბურგი | 23 | 5 | 10 | 8 | 23-28 | 25 |
| 13. ჰამბურგი | 23 | 4 | 12 | 7 | 27-27 | 24 |
| 14. ალემანია | 23 | 6 | 6 | 11 | 35-44 | 24 |
| 15. ბოხუმი | 23 | 6 | 6 | 11 | 27-36 | 24 |
| 16. არმინია | 23 | 5 | 8 | 10 | 28-31 | 23 |
| 17. აინტრახტი | 23 | 4 | 11 | 8 | 28-42 | 23 |
| 18. ბორუსია (მ) | 23 | 5 | 6 | 12 | 18-29 | 21 |

ინტერვიუ ოტმარ ჰიტცფელდთან

# მჯერა, რომ რეალს მოვუგებთ

## გენერლის დაბრუნებიდან ერთი თვე გავიდა...



მადრიდელებთან მატჩის წინ ჰერ ოტმარი უიმედობას არ უჩივის

**ოტმარ ჰიტცფელდი "ბაიერნში" ერთი თვის წინ, 1 თებერვალს დაბრუნდა. ამ ერთ თვეში რეკორდმაისტერმა 5 თამაში გამართა (4 ბუნდესლიგაში, 1 ჩემპიონთა ლიგაში), საიდანაც 3 წააგო (ნიურნბერგში 0:3, აახენში 0:1, მადრიდში 2:3) და მხოლოდ 2 მოიგო ("არმინიასთან" 1:0, "ვოლფსბურგთან" 2:1), რაც, დაგვეთანხმებით, "ბაიერნის" კვალობაზე მეტად ცუდი მაჩვენებელია. ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰიტცფელდმა რეკორდმაისტერს თავისი ხელი ვერ დაატყო. დღეს ბავარიელები "ჰერტას" სტუმრობენ და საერთოდ, ეს კვირა მიუნხენური გიგანტისთვის, ფაქტობრივად, გადამწყვეტია, რადგან "ჰერტას" შემდეგ ჰიტცფელდის ბიჭები "რეალს" უმასპინძლებენ, მომდევნო უქმეებზე კი "ვერდერს". როგორ აფასებს ჰიტცფელდი განვლილ თვეს და რისი იმედი აქვს მადრიდელებთან განმეორებითი მატჩის წინ? ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე "გენერალმა" ჩვენს გერმანელ კოლეგებს ამომწურავი პასუხები გასცა.**

**- ჰერ ჰიტცფელდ, მას მერე, რაც "ბაიერნში" დაბრუნდით, ზუსტად ერთი თვე გავიდა. საინტერესოა, ამ ერთი თვის თქვენეული შეფასება. კმაყოფილი ხართ?**

- შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კმაყოფილი ვერანაირად ვერ ვიქნები, რადგან რამდენიმე თამაში წავაგეთ. არ მეგონა, თუ ქულებს ასე იოლად დავკარგავდით. სხვა მხრივ კი ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ამ გუნდში და ამ კონტინგენტთან მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ფეხბურთელები დამჯერები და მონდომებულები არიან. ტაქტიკის მხრივ ძალიან ბევრს ვმუშაობთ და უნდა ითქვას, რომ გუნდმა ამ მხრივ პროგრესი განიცადა. სამწუხაროდ, არც ისე დიდი დრო გვაქვს, ამიტომაც, ხშირად იმპროვიზაციას უნდა მივმართოთ. საერთო ჯამში, ამ ერთ თვეს პოზიტიურად შევაფასებდი.

**- შაბათს "ჰერტას" სტუმრობთ, მერე "რეალი" მოდის, ამ უმნიშვნელოვანესი მატჩის შემდეგ კი "ვერდერს" მასპინძლობთ...**

- სამი ძალიან რთული თამაში გველის და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთი კვირა ძალიან ბევრ რამეს წყვეტს. სამივე შეხვედრაში მოგება გვინდა და რაც მთავარია, ჩვენ ამის გაკეთება ნამდვილად შეგვიძლია. ეს სამი შეხვედრა რომ მოვიგოთ, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება.

**- "რეალთან" განმეორებითი მატჩის წინ შანსებს როგორ აფასებთ, რამდენად რეალურია ის, რომ "ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ითამაშოს?**

- მადრიდში სასურველ ანგარიშს მივაღწიეთ. ხომ იცით, ასეთ დაპირისპირებებში სტუმრად გატანილ 2 გოლს ოქროს ფასი აქვს. ახლა ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია და ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისათვის, რომ "რეალი" ჩემპიონთა ლიგის მიღმა დავტოვოთ. ეს სავსებით რეალურია. საკუთარი პუბლიკის წინაშე "ბაიერნი" ყოველთვის კარგად თამაშობს და უმეტესად იგებს ხოლმე. იმედი მაქვს, რომ "ალიანს არენაზე" მოსული თითოეული გულშემატკივარი 100 პროცენტით მოტივირებული იქნება. ჩვენ მათი მხარდაჭერა ძალიან გვჭირდება - ფანების გარეშე არაფერს წარმოვადგენთ. იმედი მაქვს, რომ ჩემს გუნდს "რეალთან" უდიდესი მხარდაჭერა ექნება. მჯერა, რომ მოვიგებთ და მეოთხედფინალში ვითამაშებთ.

**- სამაგიეროდ, გერმანიის ჩემპიონატში ძალიან რთულად გაქვთ საქმე. "ვერცხლის სინზე" ფიქრი უკვე საკმაოდ არარეალურია...**

- ვფიქრობ, ეს არაა საუკეთესო დრო იმისათვის, რომ საჩემპიონო შანსებზე ვისაუბროთ. ჯერ მინიმუმ 3 თამაში უნდა მოვიგოთ ზედიზედ და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება იმის თქმა, არის თუ არა რეალური "ვერცხლის სინის" მიუნხენში დატოვება. თამაშის ხარისხიც უნდა გამოვასწოროთ, 90 წუთის მანძილზე უნდა ვდომინირებდეთ. "ბაიერნმა" უბრალოდ ისევ ისეთი ფეხბურთი უნდა ითამაშოს, როგორც ამ გუნდს შეეფერება.

**- მიმომხილველთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მარკ ვან ბომელი უკვე "ბაიერნის" ლიდერია. თქვენ რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?**

- მარკი უდიდესი გამოცდილების მქონე ფეხბურთელია. ის გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და ლიდერის თვისებებიც აქვს. ვან ბომელის დარი ფეხბურთელები ყველა გუნდს სჭირდება - ისეთები, რომლებიც ორთაბრძოლებს არ მოერიდებიან და საჭიროების შემთხვევაში კბილებსაც გამოაჩენენ. მარკი "ბაიერნის" ერთ-ერთი ლიდერია.

**- და როი მაკაი?**

- მაკაი ულაპარაკოდ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. მისი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ როისგანაც უფრო მეტს ველი. გაცილებით აქტიური უნდა გახდეს, ზუსტად ისე, როგორც ადრე იყო. უფრო მეტი უნდა იმოძრაოს, იმიტომ, რომ მასზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუ თვითონ თამაში არ წაუვა, ის მაინც შეუძლია, რომ მცველების ყურადღება მიიქციოს და თანაგუნდელებს დერეფნები გაუთავისუფლოს. ეს ერთადერთი რამეა, რის გამოც მაკაის ვსაყვედურობ - მეტი მოძრაობა, მხოლოდ ამას ვთხოვ. მის თვალებში ცეცხლს ველარ ვხედავ და ამიტომაც გავაკრიტიკე. თორემ როი რომ ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი იმედია, ვგონებ, ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არც არის.

**- წინა ტურში ანდრეას გიორლიტცი სასტარტო შემადგენლობაში გაამწესეთ. მის თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- ანდის ხანგრძლივი იძულებითი პაუზა ჰქონდა და ძალიან მიხარია, რომ დიდი ხნის შემდეგ ისევ ძირითად შემადგენლობაში იასპარეზა - გიორლიტცი ხომ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია. ძალიან კარგად ითამაშა და მისით კმაყოფილი ვარ. გარდა იმისა, რომ თავს არ ზოგავდა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, პირველი ტაიმის მიწურულს გაშვებული გოლისგანაც გვიხსნა. მარჯვენა ფლანგზე მან და ჰასან სალიჰამიჯიჩმა ერთმანეთი ძალიან კარგად შეავსეს. გიორლიტცს ამის შემდეგ თავის გამოჩენის შანსს უფრო ხშირად მივცემ. ის ჩვენი იარაღია.

**- "ჰერტასთან" გუნდი ძალებს ხომ არ დაზოგავს?**

- არავითარ შემთხვევაში. ახლა ძალების დაზოგვის არც დრო გვაქვს და არც შესაძლებლობა. ბერლინში ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებიც საუკეთესო ფორმაში არიან.

**- ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბასტიან შვაინშტაიგერი სასტარტო შემადგენლობაში არ იქნება?**

- ძირითადი შემადგენლობა ჯერ არ შემირჩევია. გამორიცხული არაფერია.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXV ტურის წინ

# კალდერონმა სამეფო კლუბი დაქოქა

## პრეზიდენტი სიუდად რეალ მადრიდს ეწვია და ბიჭებს თავგანწირვისკენ მოუწოდა

**დღეს**

ვალენსია- სელტა
სევილია-ბარსელონა

**ხვალ**

ესპანიოლი-ვილიარეალი
მალიორკა- ლევანტე
სარაგოსა-სოსიედადი
დეპორტივო-ბეტისი
ბილბაო-ხიმნასტიკი
რასინგი-ოსასუნა
რეალი-ხეტაფე
რეკრეატივო-ატლეტიკო



შეხვედრა მადრიდელთა საწვრთნელ ბაზაზე

"სანტიაგო ბერნაბეუს" "ხეტაფე" ესტუმრება. ეს ის გუნდია, რომელმაც "რეალს" მიმდინარე სეზონში პირველი დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. შეგახსენებთ, "ელ კოლისეუმზე" **ბერნ შუსტერის** შეგირდებმა **ფაბიო კაპელოს** ამბიციურ ბიჭებს ყველა კომპონენტში აჯობეს და მთელი ქვეყნის დასანახად დაჩაგრეს. "რეალში" არსებულ კრიზისზე სპეციალისტები სწორედ იმ თამაშის შემდეგ ალაპარაკდნენ. რა თქმა უნდა, თანაქალაქელებთან განცდილ ფიასკოს კიდევ მრავალი მარცხი მოჰყვა, მაგრამ ეს გარემოება შურისძიების წყურვილს ოდნავადაც არ ამცირებს. მასპინძლები არ მალავენ, რომ არა უბრალოდ, სამი ქულის მოსაპოვებლად, არამედ შთამბეჭდავი გამარჯვებისთვის ემზადებიან. ისინი ძალებს იმის მიუხედავადაც არ დაზოგავენ, რომ მალე მიუნხენში სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის დაპირისპირების გამართვა მოუწევთ. მასპინძლებს დისკვალიფიკაციამოხდილი **დევიდ ბექჰემი** დაუბრუნდებათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ კაპელო ინგლისელ ვარსკვლავს კვლავ ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. მნიშვნელოვანი თამაშის წინ საწვრთნელ ბაზაზე **რამონ კალდერონი** მივიდა. პრეზიდენტმა ფეხბურთელებს ემოციური სიტყვით მიმართა და მათ თავდადებისკენ მოუწოდა. ალსანიშნავია, რომ სენიორ რამონი პირდაპირ მოედანზე შეიჭრა და ვარსკვლავები მის გარშემო შემოიკრიბა. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს მისი ეს ძალისხმევა. "რეალს" ამ დღეებში გასამართი გადამწყვეტი ორთაბრძოლების წინ პრეზიდენტის თანადგომამ წესით კარგი სამსახური უნდა გაუწიოს.

ტურის ცენტრალურ შეხვედრას კი "სანჩეს პისხუანი" უმასპინძლებს. "სევილიისა" და "ბარსელონის"დაპირისპირება სრულიად ბუნებრივად უდიდეს ინტერესს იწვევს. ერთმანეთს ხომ პრიმერა დივიზიონის ლიდერები დაუპირისპირდებიან! გამარჯვების შემთხვევაში კატალონიური გრანდი სერიოზულ უპირატესობას მოიპოვებს. ცხადია, ანდალუსიელები სტუმრებისთვის სამი ქულის გატანებას არ გეგმავენ. **ხუანდე რამოსს** "ბეტისთან" მატჩში ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი თავში მოხვდა. ამის შესახებ ოპერატიულად გამცნეთ. ახლა კი იმასაც გეტყვით, რომ მასპინძელთა დამრიგებელი საავადმყოფოდან გაწერეს. ის "სევილიას" არ მიატოვებს და გახშირებული თავის ტკივილების მიუხედავად, სამწვრთნელო სკამზე მოკალათდება.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **სამუელ ეტოო** კვლავ ვერ ითამაშებს. კამერუნელ ფორვარდს მუხლის მიკროტრავმა აწუხებს. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ **ფრანკ რიიკაარდი** პრიმერა დივიზიონის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირს "ლივერპულთან" მატჩისთვის ინახავს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 14 | 7 | 3 | 49-20 | 49 |
| 2. სევილია | 24 | 14 | 5 | 5 | 44-22 | 47 |
| 3. ვალენსია | 24 | 13 | 4 | 7 | 35-23 | 43 |
| 4. რეალი | 24 | 13 | 4 | 7 | 31-20 | 43 |
| 5. ატლეტიკო | 24 | 11 | 7 | 6 | 30-21 | 40 |
| 6. სარაგოსა | 24 | 11 | 6 | 7 | 35-24 | 39 |
| 7. რეკრეატივო | 24 | 11 | 4 | 9 | 33-30 | 37 |
| 8. ხეტაფე | 24 | 10 | 6 | 8 | 21-16 | 36 |
| 9. ესპანიოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 26-25 | 35 |
| 10. რასინგი | 24 | 8 | 9 | 7 | 26-29 | 33 |
| 11. დეპორტივო | 24 | 8 | 9 | 7 | 19-25 | 33 |
| 12. ვილიარეალი | 24 | 9 | 5 | 10 | 22-30 | 32 |
| 13. ოსასუნა | 24 | 9 | 3 | 12 | 30-31 | 30 |
| 14. ბეტისი | 24 | 6 | 9 | 9 | 23-28 | 27 |
| 15. ლევანტე | 24 | 6 | 9 | 9 | 21-31 | 27 |
| 16. სელტა | 24 | 6 | 8 | 10 | 26-34 | 26 |
| 17. მალიორკა | 24 | 7 | 5 | 12 | 22-35 | 26 |
| 18. ბილბაო | 24 | 6 | 7 | 11 | 26-34 | 25 |
| 19. სოსიედადი | 24 | 2 | 8 | 14 | 13-31 | 14 |
| 20. ხიმნასტიკი | 24 | 3 | 5 | 16 | 25-48 | 14 |

რეალი

# ბერნდ შუსტერი ხალხის ფავორიტია

## სამეფო კლუბის საზოგადოების წევრთა უდიდესი ნაწილი ფაბიო კაპელოს გაშვების შემდეგ გერმანელი სპეციალისტის დანიშვნას მოითხოვს

მადრიდში "რეალის" ყველა გულშემატკივარი ამბობს, რომ **ფაბიო კაპელო** სამეფო კლუბს მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. საზოგადოებას ახლა მხოლოდ ის აინტერესებს, ვინ გახდება მისი მემკვიდრე. მადრიდულ საფეხბურთო წრეებში რამდენიმე კანდიდატურაზე საუბრობენ. აი, მათი სახელებიც, **ჟოზე მოურინიო, რაფა ბენიტესი, ვისენტე დელ ბოსკე, მიჩელი** და **ბერნდ შუსტერი**.

ბოლო წლების წარმატებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ სოსიოებისა და ინჩასების ფავორიტები მოურინიო და ბენიტესი იქნებიან, თუმცა ვინც ასე ფიქრობს, მწარედ ცდება. გუშინ "დიარიო მარკამ" მადრიდის "რეალის" ოფისიდან სოსიოების ათასკაციანი სია გამოითხოვა. პირენეულმა გაზეთმა სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა და ალმოაჩინა, რომ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც სამეფო კლუბის საზოგადოების წევრები არიან და გუნდის ცხოვრებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ (ხელისუფლებას სწორედ სოსიოები ირჩევენ), ყველაზე დიდი რეიტინგით ბერნდ შუსტერი სარგებლობს. გერმანელი სპეციალისტის "სანტიაგო ბერნაბეუზე" ხილვა გამოკითხულთა 43 პროცენტრს სურს. მეორე ადგილზე 25 პროცენტით მოურინიოა. რაფა ბენიტესს კი მხოლოდ 18 პროცენტი უჭერს მხარს. დანარჩენების რეიტინგი იმდენად მოკრძალებულია, რომ საუბარიც არ ღირს.

შუსტერი "დიარიო მარკას" გამოკითხვის შედეგებით ფრიად ნასიამოვნები დარჩა. "ხეტაფეს" დამრიგებელმა გაზეთის კორესპონდენტს ასეთი რამ უთხრა: *"მათ იციან, თუ დამიძახებენ, სამუშაოს აუცილებლად დავთანხმდები. არაერთხელ მითქვამს, რომ "რეალი" ჩემთვის უაღრესად მომხიბვლელი გუნდია. მოკლედ, ყველაფერი მათი გადასაწყვეტია. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. მე "ხეტაფეს" ვავარჯიშებ. "ბერნაბეუზე" კი კაპელო მოღვაწეობს. ასე რომ, ზედმეტი ლაპარაკი არაეთიკური იქნება."*

შუსტერისგან განსხვავებით, "ხეტაფეს" პრეზიდენტი **ანხელ ტორესი** "დიარიო მარკას" პუბლიკაციით აღშფოთებული დარჩა. "რადიო კადენა სერის" ეთერში მან გაზეთის რედაქცია კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა: *"ზღვარი ყველაფერს აქვს. ზედიზედ მეორე დღეა, რაც "რეალისადმი" ყმურ ერთგულებაში შემჩნეული "მარკა" ჩვენს საწინააღმდეგო კამპანიას აწარმოებს. ჯერ იყო და, ალექსის სამეფო კლუბში გადაბარგების შესახებ განაცხადეს. არადა, მიატოვიჩისთვის თანხმობა ჯერ არ განმიცხადებია. ახლა კი შუსტერს მისდგნენ. უდავოა, რომ ამ გაზეთის მთავარი რედაქტორი რამონ კალდერონისა და პრედრაგ მიატოვიჩის სამარცხვინო დაკვეთას ასრულებს. ისინი ცდილობენ საზოგადოებრივი აზრი შუსტერის "რეალში" გადასასვლელად მოამზადონ."*

ალსანიშნავია, რომ სენიორ ანხელ ტორესი 2 ივლისის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას უმიზნებდა, თუმცა მან **რამონ კალდერონთან** ბრძოლაში სრული კრახი განიცადა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ამ ადამიანს პირენეული გიგანტის უმაღლესი ხელისუფალი ჭირივით ეზიზღება. სენიორ ტორესმა აუცილებლად უნდა გააცნობიეროს, რომ ბერნდ შუსტერმა "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგების სურვილი საჯაროდ განაცხადა. კურიოზულია, მაგრამ ხვალ გერმანელი სპეციალისტი სწორედ "რეალს" დაუპირისპირდება.



ბერნდ შუსტერი და კიკე სანჩეს ფლორესი

გარიგება

# მარსელი გაიყიდა

## ახალი ბოსები მთავარ მწვრთნელად ერიქსონს ნიშნავენ?

"მარსელს" ახალი მეპატრონე ჰყავს. კანადელმა **ჯეკ კაჩკარმა** "ოლიმპიკის" უმთავრეს აქციონერ **რობერ ლუი დრეიფუსს** 115 მილიონი ევრო შესთავაზა და მყარი ფინანსური გარანტიები წარუდგინა. ფასიანი ქაღალდების გადაფორმება მომდევნო კვირიდან დაიწყება. გარიგებას რამდენიმე დღეში დაესმება წერტილი.

"მარსელი" საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია. ის ქვეყნის რვაგზის ჩემპიონია, ათჯერ ფლობდა საფრანგეთის თასს, ხოლო 1993 წელს ფრანგული ფეხბურთისათვის ისტორიულ გამარჯვებასაც მიაღწია, დაეუფლა ჩემპიონთა თასს. იმავე წელს "ოლიმპიკის" მაშინდელი ბოსი **ბერნარ ტაპი** უპრეცედენტო სკანდალში გაეხვა. მას უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი კლუბის, "ვალანსიენის" მოსყიდვაში დასდეს ბრალი. "მარსელს" ოქროს მედლები ჩამოართვეს და ქვედა დივიზიონში უკრეს თავი.

1993 წლიდან კლუბი კრიზისმა მოიცვა. 1996 წელს მისი გადარჩენა ლუი დრეიფუსმა ითავა და გასაჭირში ჩავარდნილი გრანდი სიმბოლურ ფასში, 1 ფრანკად შეიძინა. მოსიე რობერმა შემადგენლობის გასაძლიერებლად საკუთარი ჯიბიდან 170 მილიონი ევრო დახარჯა, მაგრამ შედეგი ნულის ტოლი იყო. ოლიმპიკელებმა ბოლო 14 წლის განმავლობაში ერთი უმნიშვნელო ტიტულიც კი ვერ მოიპოვეს. გასულ ზაფხულს დრეიფუსმა "მარსელის" გაყიდვა გადაწყვიტა, რადგან 90-იანი წლების მიწურულს ფინანსურ და სატრანსფერო მაქინაციებში ამხილეს და სამწლიანი პირობითი პატიმრობა შეუფარდეს.

ფრანგული მედია ახალ მეპატრონეს ეჭვით უყურებს. მიმომხილველებს ეჭვი ეპარებათ, რომ ფარმაცევტული კომპანია "ლინექსის" ბოსს იმხელა ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდეს, რომ "მარსელს" მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანოს. ამის მიუხედავად, ჯეკ კაჩკარი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს და ამბობს, რომ მთელი ქალაქის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. სამშაბათს "ოლიმპიკმა" მესამე დივიზიონის კლუბი "ვანი" გაანადგურა (5:0) და საფრანგეთის თასის ნახევარფინალში გავიდა. რაც შეეხება ჩემპიონატს, მარსელელებს 26 ტურის შემდეგ 38 ქულა აქვთ და მოკრძალებული მერვე ადგილი უკავიათ.

აქვე კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია "ველოდრომიდან". დიდი ხანია, საუბრობენ იმის შესახებ, რომ კაჩკარის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მთავარი მწვრთნელის პოსტს **სვენ გორან ერიქსონს** ჩააბარებენო. გუშინდელი გარიგების შემდეგ ეს საკითხი კიდევ ერთხელ ამოტივტივდა. კანადელ საქმოსანსა და მასთან დაახლოებულ პირებს ერიქსონის თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ. ჟურნალისტებმა ვერც შვედი სპეციალისტის ინტერვიუ ჩაიწერეს. შვედური გამოცემა "ექსპრესენი" ამბობს, რომ სვენის დანიშვნა გადაწყვეტილია და კონტრაქტს, სავარაუდოდ, ივლისში მოეწერება ხელი.



მარსელის ახალი ბოსი ჯეკ კაჩკარი

არიგო საკის თვალსაზრისი

# ჭირვეული ათიანები

## სახელოვანი მწვრთნელი ვარსკვლავებთან ურთიერთობას იხსენებს: როცა ბაჯომ თავი მარადონას შეადარა...

ბოლო დღეები ცენტრფორვარდებისა და "10 ნომრების" დღეებად იქცა. სხვადასხვა მიზეზის გამო, საყოველთაო ყურადღების ცენტრში ეს ფეხბურთელები მოექცნენ. **რონალდო** ჩამოვიდა, ითამაშა, გაიტანა, ინვალა და "მილანის" ტიფოზები ახალი ენთუზიაზმით აავსო. **რონალდინიო** დიდი კრიტიკის ობიექტად იქცა (ჩემპიონთალიგური ფიასკოს გამო), თუმცა ამავდროულად აპლოდისმენტებსაც უხვად იღებს. **რობერტო ბაჯოს** 40 წელი შეუსრულდა: და იყო დიდი, სევდანარევი მოგონებები მის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს შორის. განწმენდილი **ბექჰემი** ფეხბურთს გოლით დაუბრუნდა. რომაულმა გაზეთებმა, სპორტულმა თუ არასპორტულმა, **სპალეტის** განკითხვის დღე მოუწყვეს, **ტოტი** როგორ შეცვალაო. "ცოდვილმა" მწვრთნელმა თქვა ("რეჯინასთან" პენალტის გაფუჭებამდე), ამ ფეხბურთელს ერთი-ორი ნაკლი აქვსო. რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მხოლოდ ორი ნაკლი რომ მქონდეს...

მწვრთნელებისა და დიდი ფეხბურთელების ურთიერთობა ყოველთვის ჰარმონიული არ არის. ზედაპირულად მოაზროვნე ხალხი ამბობს, მწვრთნელებს შურთ დიდი ვარსკვლავების და მათზე ეჭვიანობენო. ის კი ავიწდებათ, რომ ამ უდავოდ დიდი ტალანტის მქონე ფეხბურთელებს ზოგჯერ დისციპლინა და თავმდაბლობა აკლიათ. შესაბამისად, ორგანულად ვერ ჯდებიან სამწვრთნელო პროექტში... ზოგჯერ.

ვან ბასტენი მიხვდა. გასულ წელს **მარკო ვან ბასტენმა**, ჰოლანდიის ნაკრების ამჟამინდელმა მწვრთნელმა და უდიდესმა ფეხბურთელმა, ("მილანში" ოთხი სეზონის მანძილზე ვწვრთნიდი) მითხრა: "ახლა, როცა მწვრთნელი გავხდი, ვხვდები, რამდენ პრობლემას გიქმნიდით". ეს ვარსკვლავები ოდითგან საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში იდგნენ. მიზეზი მარტივია: თავიანთი ნიჭის წყალობით, ისეთ თვალისმომჭრელ და ადვილად შესამჩნევ ნომრებს ჩაატარებენ, რომ ფეხბურთში ყველაზე ნაკლებად გათვითცნობიერებულ და დაკვირვებულ მაყურებელსაც აჯადოებენ.

ტალანტების არსებობა აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ თამაშის დონე იყოს მაღალი, რომ ფეხბურთმა არ უნდა დაკარგოს თავისი მთავარი ხიბლი – არაპროგნოზირებადობა. ამასთან, ისინი ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ შედეგის მიღწევის თვალსაზრისთაც. მაგრამ როგორ ავხსნათ მაშინ ის ფაქტი, რომ მწვრთნელები ხშირად არ ენდობოდნენ (და არ ენდობიან) დიდ, ექსტრაკლასის ფეხბურთელებს? მიზეზები შეიძლება, იყოს ტაქტიკური, დისციპლინური და ფსიქოლოგიური ხასიათის. სამივე მათგანი მნიშვნელოვანია. ერთხელ ვან ბასტენმა მკითხა, რატომ მექცევით ისე, როგორც სხვა ფეხბურთელებსო. ვუპასუხე: "თვითონ გაგიჭირდება თანაგუნდელებთან ურთიერთობა, სხვებისგან რომ გამოგარჩიო". და იქვე დამავატე: "მარკო, საკმარისად ჭკვიანი ხარ, იმას რომ ვერ მიხვდე, რომ ამით გუნდის ერთიანობასაც ზიანს მიაყენებდი და, ალბათ, საკუთარ თავსაც".

მარადონა. ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, ერთ-ერთ შეხვედრაში **რობერტო ბაჯო** შევცვალე. მოვიდა და მკითხა, **მარადონა** რომ გყოლოდა, შეცვლიდიო. ვუპასუხე, მარადონას მწვრთნელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ შენამდე ისეთი ვარსკვლავებიც შემიცვლია, როგორებიც გულიტი და ვან ბასტენი (და ბევრი სხვა) არიან-მეთქი. ასე ვიქცეოდი ყოველთვის, როცა ვთვლიდი, რომ ეს გუნდისთვის და პირადად მათთვისაც უკეთესი იქნებოდა. "რეალის" მწვრთნელობისას **ლუქსემბურგოს** ხშირად უწევდა ვარსკვლავების შეცვლა ან სულაც სკამზე დატოვება. მაგრამ მათი რეაქცია ყოველთვის უარყოფითი იყო, რითაც საფრთხეს უქმნიდნენ გუნდის ერთიანობას და მწვრთნელის სამუშაოს. ისეთი პროფესიონალებიც კი, როგორებიც არიან **ფიგუ**, **ზიდანი**, **რაული**, **ბექჰემი**, ვერ ახერხებდნენ მწვრთნელის გადაწყვეტილებების უსიტყვოდ მიღებას.

ორმაგი სტანდარტი. მაგრამ წესი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. ერთადერთი განსხვავება ხელფასში უნდა იყოს. არ შეიძლება ორმაგი სტანდარტებით მიდგომა: ფეხბურთელებს გაუჩნდებათ უსამართლობის განცდა და თავს ყველა იმედგაცრუებულად და უხერხულად იგრძნობს. გასულ წელს "რეალის" პრეზიდენტმა **პერესმა** მითხრა: "ჩვენთან წესები ყველასთვის ერთი იყო, რონალდოს, ბექჰემისა და ზიდანის გარდა". მართვის ასეთმა ფორმამ გუნდის კულისებში უარყოფითი ატმოსფერო წარმოშვა და ვარსკვლავების სიმრავლისა და მაღალი კლასის მიუხედავად, წარმატებები აღარ მოსულა.

კლუბებისთვის ფლეიმეიქერები ყოველთვის მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენდნენ. მაგრამ ზოგჯერ დიდ თავისტკივილადაც იქცეოდნენ ხოლმე. მათ ყოველთვის ხვდებოდათ დიდი სიყვარული და დიდი კრიტიკა. მათ შორის მწვრთნელებისგანაც, რომლებიც ხშირად განსხვავდებოდნენ თავიანთი საფეხბურთო მსოფლმხედველობით. ზოგიერთის მსოფლმხედველობა ითვალისწინებს, რომ ფლეიმეიქერი (ჩვენს შემთხვევაში იგივე ტალანტი) სულ უნდა თამაშობდეს, იმისგან დამოუკიდებლად, როგორ ფორმაშია, როგორ იქცევა და რამდენად მონდომებულია. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მაღალია იმ კლუბებისა თუ მწვრთნელების საფეხბურთო ცოდნა და კულტურა, ვინც, ტიფოზებისა და პრესის მხარდაჭერით, ასე მიჯაჭვულია თავისი "10 ნომრის" ფანტაზიაზე. სწორედ ასეთ დროს ხდება, რომ ყველასგან ნაქებ და განდიდებულ "ათიანს" ფინანსური და კიდევ სხვა სახის მოთხოვნები ეზრდება. მოედანზე შეუძლია, გააკეთოს ყველაფერი, რაც უნდა, მოედნის მიღმა – თითქმის ყველაფერი.

ანიელი და გერმანელები. ერთხელ, იტალიის ნაკრების მწვრთნელობის დროს, რობერტო ბაჯო გამოვიძახე. იმ პერიოდში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა "იუვენტუსსა" და **ტრაპატონისთან**. "იუვენტუსი"-"სამპდორიის" შეხვედრის წინ ტრიბუნაზე **ჯანი ანიელისთან** სალაპარაკოდ შევჩერდი და ვკითხე, როგორ ფორმაში იყვნენ "იუვეს" იტალიელები. მოკლედ მიპასუხა: "იცით, თქვენს ადგილას მე სამ გერმანელს გამოვიძახებდი...". ანიელი **მიოლერს**, **ჰესლერსა** და **კოლერს** გულისხმობდა. მე და ბაჯოს ბრწყინვალე ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, პირველ რიგში ადამიანური და მერე პროფესიული. ვეუბნებოდი: "თუ გუნდზე ითამაშებ და არა საკუთარ თავზე, პარტნიორები მოედანზე უფრო ადვილად გიპოვნიან, დაგეხმარებიან და შენც თავისუფლად ჩაეწერები თამაშში. გახსოვდეს, რომ თამაში და გუნდი აძლიერებს ცალკეულ ფეხბურთელს". და უნდა ვაღიარო, რომ ბაჯოს მიერ გუნდის თამაშში შეტანილი წვლილი განუზომლად დიდი იყო. დღესაც შემონახული მაქვს მისი ერთი წერილი, რომელიც სიყვარულითა და პატივისცემით არის გამსჭვალული. ეს ურთიერთობა მაშინ გაფუჭდა, როცა შევცვალე. იმ დღეს, 1994-ის მუნდიალზე, მის უდიდებულესობას ვაწყენინე. რობერტომ ალბათ გაიფიქრა: "ღალატა". მაგრამ იმ დღეს მგონი მიხვდა, რომ მე ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვიყავი და არა მხოლოდ მისი. ასე იყო თუ ისე, იმ შედეგისთვის, რომელსაც ბაჯომ მაშინდელ გუნდთან ერთად მიაღწია, კარიერაში მეტად აღარ მიუღწევია.

პავაროტი და აიდა. ბევრმა იცის, რომ მე იმ მწვრთნელების კატეგორიას მივეკუთვნები, ვინც თვლის, რომ ტალანტი მნიშვნელოვანია, თუკი ორგანულად არის შერწყმული გუნდის თამაშთან, თუ თამაშობს პარტნიორებისთვის და პარტნიორებთან ერთად – მონდომებით, გატაცებითა და თავდაუზოგავად. ნამდვილი ლიდერი ერთი ფეხბურთელი ვერ იქნება, ის შეიძლება, დაშავდეს ან ფორმიდან ამოვარდეს. ნამდვილი ლიდერი თამაში უნდა იყოს. ნაწარმოების სცენარს მხოლოდ ერთ შემსრულებელს ვერ ანდობ. ეს სპორტის ყველა გუნდურ სახეობას ეხება, და ასევე ყველანაირ სანახაობას (კინო, თეატრი, ოპერა): გამორიცხულია, რომ ტალანტებს შორის ყველაზე ექსტრავაგანტულმაც კი ნაწარმოები იმპროვიზებულად შეასრულოს ან, პავაროტიმ "აიდას" შესრულებისას სიტყვები თვითონ მოიგონოს.

სიმდიდრე და კაპრიზები. ვარსკვლავები დიდ საფეხბურთო და ეკონომიკურ სიმდიდრეს წარმოადგენენ, როცა მათში არ ჭარბობს ქედმაღლობა და ეგოიზმი. ასეთი თვისებებით გუნდებს დიდ ზიანს აყენებენ. თავად კი, ეს "10 ნომრები", ყოველთვის უვნებლად გამოდიან: ერთი ლამაზი ნომრის ჩატარება ნებისმიერ წუთს შეუძლიათ, ხალხის გული რომ მოიგონ, მაგრამ ფეხბურთი გუნდური თამაშია და კარგ კოლექტივს შეუძლია, რომ ამ ტალანტებს თავიანთი ნიჭის ბოლომდე წარმოჩენისთვის გაუხსნას გზა. მაგრამ თუ ვარსკვლავი ჭირვეულობს, მაშინ ყველაფერი კლუბებს ბრალდებათ. არადა, ეს კლუბები არიან, ყოველდღიური ცხოვრებისგან შორს, ფუფუნებაში რომ აცხოვრებენ. ზოგიერთი დირექტორი, მწვრთნელი თუ პრესის ერთი ნაწილი კვლავაც აგრძელებს მათ განდიდებას და ესენიც იჯერებენ, რომ ნამდვილი სუპერმენები არიან მოედანზეც და მის მიღმაც. ცოტა თუ არის, მათ რეალობის დანახვაში და პიროვნულ ზრდაში რომ ეხმარებოდეს. და ბევრია ისეთი, ვინც ცდილობს, რომ ვარსკვლავები მანამდე გამოიყენოს, სანამ ვარსკვლავობენ, მერე კი მათ სამუდამოდ ივიწყებს.

აი, ამიტომაა, რომ მწვრთნელებისთვის "10 ნომრების" გაწვრთნა იოლი არასოდეს იქნება. იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, მწვრთნელს სჭირდება პოზიტიური გარემო და შინაგად გაწონასწორებულ, ზრდასრულ ბიჭებთან მუშაობა – სპორტსმენებთან, რომლებიც საქმეს პატიოსნად და მთელი სერიოზულობით მოეკიდებიან, ღმერთს კი მადლობას ეტყვიან, რომ ფეხბურთის ნიჭი მისცა.

**გოგა ახალაძე**



არიგო საკი






## ლიბერტადორესი 2007

### ჯგუფური ტურნირი

#### I ჯგუფი

**ამერიკა (მექ)–ლიბერტადი (პარ) 1:4**

**ამერიკა:** ნავარეტე, არგელო, სერვანტესი (31. ნელსონ კუევასი/51. იგნასიო ტორესი), დავინო, რიკარდო როხასი, ალვინ მენდოსა, მოსკედა, პენია (46. სარიტამა), ინფანტე, სალვადორ კაბანიასი.

**ლიბერტადი:** ბავა, ბალბუენა, პედრო ბენიტესი, სარაბია, აკინიო (78. ნელსონ რომერო), ბონეტი, გინასუ, მარინი (73. ედგარ მარტინესი), ოსვალდო მარტინესი (76. პიტონი), რივეროსი, ერნან ლოპესი.

**გოლები:** 0:1 აკინო (3), 0:2 ბენიტესი (21), 1:2 კუევასი (41), 1:3 ლოპესი (45), 1:3 ბენიტესი (79)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიბერტადი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ბანფილდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 3. ამერიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 4. ელ ნასიონალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

#### II ჯგუფი

**სან პაულუ (ბრა)–ალიანსა (პერ) 4:0**

**სან პაულუ:** როჟერიუ სენი, ალექს სილვა, ანდრე დიასი, მირანდა, ილსინიო, ხოსუე, სოუზა (89. ფრედსონი), უგო, ჟადილსონი (81. ჟუნიორი), ლეანდრო, ალოიზიო.

**ალიანსა:** ფორსიტი, ჯოელ ერერა, პოროსო, ალვარადო, იგლესიასი, გილერმო სალასი, სიურლისა, სეგარა (60. ლუის ალბერტო ერნანდესი), ლიგერა (81. იოჰან სოტილი), ვისა, რობერტო სილვა (60. მაესტრი).

**გოლები:** 1:0 სილვა (14), 2:0 ლეანდრო (57), 3:0 სილვა (78), 4:0 ჟუნიორი (86)

**ნეკაქსა (მექ)–იტალიანო (ჩილ) 2:0**

**ნეკაქსა:** ალესანდრო ალვარესი, კაბრერა (46. პადილია), სერვანტესი, ომარ ერნანდესი, კლებერი, ლუკასი (56. ოვიედო), ალფრედო მორენო, მარიო პერესი, კუატროკი, ლუისი (82. ფერნანდო მორალესი).

**იტალიანო:** პერიჩი, კარასკო, სერესედა, გარიდო, ხუან გონსალესი, მოია (80. დი სანტო), რიელოფი, მიგელ რომერო, სანტისი (67. ორელანა), სკოტი, ვილანუევა (77. ლეონარდო გუტიერესი).

**გოლები:** 1:0 კლებერი (7), 2:0 პადილა (69)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეკაქსა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. სან პაულუ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 3. იტალიანო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 4. ალიანსა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

#### IV ჯგუფი

**ველესი (არგ)–ნასიონალი (ურუ) 1:1**

**ველესი:** სესა, პელერანო, მაქსიმილიანო პელეგრინო, ბუსტამანტე, სენა (61. ბროგი), მარიო მენდესი, მაქსიმილიანო ბუსტოსი, ივან მორენო, ფაბიანეზი (61. რობლესი), პაპა (46. ბუსტამანტე), ესკუდერო, მაურო სარატე, ბალვორინი.

**ნასიონალი:** ალექსის ვიერა, პაბლო ალვარესი, ხაუმე, გოდინი, ვიანა (62. დიეგო არისმენდი), კარდაჩო, ბროლი (84. მარკო ვანსინი), მარსელო სოსა, ლა ლუსი (78. გონსალო კასტრო), ხორხე მარტინესი, ვერა.

**გოლები:** 1:0 ესკუდერო (45), 1:1 ვიერა (47)

**ინტერნასიონ. (ბრა)–ემელეკი (ეკვ) 3:0**

**ინტერნასიონალი:** კლემერი, სეარა, ინდიო (ვილსონი), რაფაელ სანტოსი, მარტინ იდალგო, ედინიო, პერდიგაო, ალექსი (მაიკონი), ფერნანდაო, იარლეი, ალეშანდრე პატო (ადრიანო).

**ემელეკი:** ელისაგა, კოროსო, მარკო კინიონესი, საისედო (ისრაელ როდრიგესი), კარლოს კინიონესი, ესტასიო, ხოსე ლუის კინიონესი, ლუის რივერა, კასედო, სებასტიან ერნანდესი (აროიო), ჯერონიმო მორალესი.

**გოლები:** 1:0 პერდიგაო (26), 2:0 ალექსი (55), 3:0 ალეშანდრე პატო (66)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნასიონალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 2. ველესი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ინტერნასიონალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 4. ემელეკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

#### VII ჯგუფი

**ბოკა (არგ)–სენსიანო (პერ) 1:0**

**ბოკა:** კარანტა, იბარა, მაიდანა, დანიელ დიასი, კლაუდიო როდრიგესი (86. კლემენტე როდრიგესი), ორტემანი (69. გილერმო მარინო), ბანჟგა, ნერი კარდოსო (90. ლედესმა), რიკელმე, მარიონი, პალერმო.

**სენსიანო:** ხუან ფლორესი, დე ლა ასა, პისანო, ფრანსისკო ერნანდესი, კარლოს ფერნანდესი (46. ვილამარინი), ბასალარი, ხუან მარინო, ურიბე (68. უერტასი), ხულიო გარსია, მიგელ ტორესი (46. მოსტო), სარასი.

**გოლი:** 1:0 იბარა (80)

**გაძევება:** გილერმო მარინო (ბოკა)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლივარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ბოკა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ტოლუკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. სენსიანო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

#### VIII ჯგუფი

**სანტოსი (ბრა)–დეფენსორი (ურუ) 1:0**

**სანტოსი:** ფაბიო კოშტა, დენისი, ანტონიო კარლოსი, ადაილტონი, კლებერი, კლებერ სანტანა (71. ავალოსი), კლაუდიო მალდონადო, როდრიგო სოუტუ, ზე რობერტო, მარკოს აურელიო (87. იონასი), როდრიგო ტიუი (73. პედრინიო).

**დეფენსორი:** მარტინ სილვა, იტურალდე, ვილიამს მარტინესი, მარტინ კასერესი, მაქსიმილიანო პერეირა (65. არიოსა), კარლოს დიასი (77. კარლოს მორალესი), ფადეუილი, ალვარო გონსალესი, პესოლანო (65. დიეგო დე სოუზა), პეინადო, სებასტიან ფერნანდესი.

**გოლი:** 1:0 ზე რობერტო (48)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სანტოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. დეფენსორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 3. დეპ. პასტო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. ხიმნასია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

ინტერვიუ კლაუდიო რანიერისთან

# მწვრთნელის ჯანმრთელობა ტორნადოსთან პირისპირ დარჩენილ სახლს ჰგავს

## იტალიელი სპეციალისტი წელიწადნახევრის განმავლობაში იმ სტრესისაგან ისვენებდა, რომელიც მის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა...


კლაუდიო რანიერი

ცნობილი იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი დიდი ხანია, რაც ესპანეთიდან აიბარგა, თუმცა პირენეელებს ის მეხსიერებიდან არ ამოუშლიათ. ამის დასტური "დიარიო ასის" მიერ მომზადებული ინტერვიუა. მადრიდული გაზეთის კორესპონდენტი რანიერის პარმაში ესტუმრა. მოსაუბრეებმა ის დრო გაიხსენეს, როცა სინიორ კლაუდიო "ვალენსიასა" და "ატლეტიკოში" მოღვაწეობდა. რა თქმა უნდა, მათ "პარმის" საკითხებიც განიხილეს.

**- ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდით. თქვენი პროფესია ძალიან მოგენატრათ?**

- ბუნებრივია. წელიწადნახევრის განმავლობაში "ტორეროებს" ტრიბუნიდან ან ტელევიზიით ვადევნებდი თვალყურს. მართალია, ამ ხნის განმავლობაში ნაყოფიერად დავისვენე და იმ სტრესიდან გავთავისუფლდი, რომელიც უამრავ პრობლემას მიქმნიდა, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ მწვრთნელობა ჩემი მონოდებაა. მუშაობის გარეშე უბრალოდ ვერ გავძლებდი. "პარმის" ხელმძღვანელობამ თანამშრომლობის წინადადებით მომმართა და მეც დავთანხმდი.

**- როგორც ვხვდები, სტრესის გამო, ჯანმრთელობა შეგელახათ. გარეგნულად ამდენად ემოციური ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდით...**

- მწვრთნელის ჯანმრთელობა ტორნადოსთან პირისპირ დარჩენილ სახლს ჰგავს. შენობას თუ საგანგებოდ არ გაამაგრებ, სტიქია მას ნანგრევებად აქცევს. ასე რომ, წელიწადნახევრის განმავლობაში გასამაგრებელი სამუშაოებით ვიყავი დაკავებული (იცინის).

**- თქვენი დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა.**

- "პარმასთან" ერთად სადებიუტო შეხვედრა, ბრაგაში უეფას თასზე ჩავატარე. სამწუხაროდ, პორტუგალიელებმა გვაჯობეს და გათამაშებას გამოვემშვიდობეთ. ამით, რა თქმა უნდა, ყველა გულდაწყვეტილი დარჩა, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ცხოვრება არ დასრულებულა. ახლა მთავარია, იტალიის ჩემპიონატში ვივარგოთ და უძლიერესთა მარაქაში ადგილი შევინარჩუნოთ. საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ, თუმცა გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ "პარმა" ბოლო წამამდე თავგანწირვით იბრძოლებს. იქამდე არ დავყრით ფარ-ხმალს, მანამ თეორიული შანსი მაინც იარსებებს. იმედია, სეზონის ბოლოს ლიგაში დარჩენით გავიხარებთ.

**- სირთულეებთან ბრძოლა ყოველთვის გიყვარდათ. გასაჭირში ჩავარდნილ გუნდში მუშაობის დაწყება მაცდუნებელი პერსპექტივა აღმოჩნდა?**

- მიხარია, რომ ჩემი ხასიათის თვისებები არ დაგვიწყებიათ. დიახ, მიყვარს, როცა სირთულეებთან ბრძოლა მიწევს და დიდი შრომის ფასად დადებით შედეგებს ვაღწევ. ახლაც რთულ სიტუაციაში ვიმყოფები. "პარმას" გავარდნის რეალური საფრთხე ემუქრება, თუმცა პრობლემების არასოდეს შემშინებია. შესაძლოა, ვინმეს მაზოხისტი ვეგონო, მაგრამ სიმართლეს ვერ დავმალავ, სირთულეები მუდამ მიტაცებდა. დამეთანხმებით, "ვალენსიას", "ატლეტიკოსა" და "ჩელსის" იმ პერიოდში მრავალ პრობლემასთან ჭიდილი უხდებოდათ. "პარმა" ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული გუნდია. ამდენი სირთულე არსად მქონია. ვნახოთ როგორ დასრულდება ეს თავგადასავალი. ოპტიმიზმი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დავკარგოთ.

**- თქვენი ყოფილი გუნდების ცხოვრებას თუ ადევნებთ თვალ-ყურს?**

- რა საკვირველია. მიხარია, როცა "ატლეტიკო", "ვალენსია" და "ჩელსი" იგებენ. "როხიბლანკო" ახლა ძველი დიდების დაბრუნებისთვის იღწვის. სასიამოვნოა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სწორი მენეჯმენტის წყალობით გულშემატკივრებს სიხარული მოუტანა. რამდენიმე წლის წინ "ატლეტიკო" პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერად მიიჩნეოდა, მაგრამ ახლა მას საჩემპიონო ამბიციები ამოძრავებს. "ვალენსიამ" კი ფანტასტიკური პროგრესი განიცადა. ჩემი აზრით, ის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივია. კიკე სანჩეს ფლორესი გასაოცარ სამუშაოს ასრულებს. რაც შეეხება "ჩელსის", მასთან დაკავშირებით ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. "არისტოკრატები" პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და მოდურ კლუბად მიიჩნევიან. მათი წარმატებები მართლაც ძალიან მახარებს.

**- როცა "ატლეტიკოში" მუშაობდით, გუნდი გავარდნის პირას იყო. პრეზიდენტ ხესუს ხილს კი სასამართლოდან სასამართლოში სირბილი უწევდა...**

- მართალი ბრძანდებით. ხილების ოჯახი მაშინ უაღრესად არასახარბიელო ვითარებაში იმყოფებოდა. ცხონებულ ხესუსს ყოველი მხრიდან უტევდნენ. მის წინააღმდეგ ათასგვარი შეურაცხმყოფელი სტატია იბეჭდებოდა. საგანგებო სატელევიზიო გადაცემებიც კი მზადდებოდა. პრეზიდენტი იძულებული იყო, შელახული რეპუტაციის აღსადგენად ებრძოლა. ამ ვითარებაში სრულყოფილი მუშაობა შეუძლებელი გახლდათ. შესაბამისად წარმატებაზე ფიქრი უტოპია იყო და სხვა არაფერი.

**- ხესუსს როგორ გაიხსენებთ? როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?**

- დონ ხესუსი უდიდესი ადამიანი და ფანტასტიკური მმართველი იყო. ის "ატლეტიკოზე" ფიქრითა და ზრუნვით არსებობდა. შელახული ჯანმრთელობის მიუხედავად, თავს არასოდეს ზოგავდა. სამსახურში ყველაზე ადრე მოდიოდა და შინ ყველაზე გვიან ბრუნდებოდა. თანამშრომლები ხვდებოდნენ, რომ ასეთი რეჟიმი მისთვის სახიფათო იყო. ამიტომ, სთხოვდნენ, დაესვენა და ძალები აღედგინა, მაგრამ დონ ხესუსი ყოველთვის უარზე იყო. მისი მუშაობის შედეგებს "როხიბლანკო" ახლა იმკის. მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ და ეს ყველაფერი სწორედ ხესუს ხილის დამსახურება იქნება. მართლაც წარმოუდგენლად სასიხარულოა, რომ "ატლეტიკო" იმ პოზიციებს იბრუნებს, რომელიც მას ისტორიულად ეკუთვნის. გუნდში ახლა სრული ჰარმონია და სიმშვიდე სუფევს. ჩვენ ასეთი ფუფუნება არ გვქონია. დარწმუნებული ვარ, რომ მალე "ვისენტე კალდერონზე" უდიდეს ტიტულებს ჩაიტანენ.

**- ამჟამინდელ გუნდში ყველაზე მეტად რა მოგწონთ?**

- უკეთესი იქნებოდა, გეკითხათ, ვინ მოგწონთო (იცინის). ჩემი აზრით, ფერნანდო ტორესი და სერხიო აგუერო "ატლეტიკოს" ფასდაუდებელი მარგალიტები არიან. ახალგაზრდა ფორვარდები საოცრად ავსებენ ერთმანეთს. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ "კუნი" და "ელ ნინიო" "როხიბლანკოს" უამრავ ისტორიულ წარმატებას მოუტანენ. მერწმუნეთ, ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდები უდიდესი იშვიათობაა.

**- კატანიაში განვითარებულმა მოვლენებმა ესპანეთში ნამდვილი შოკი გამოიწვია. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდეს?**

- ის, რაც "კატანიისა" და "პალერმოს" მატჩისას მოხდა, უდიდესი სირცხვილია. ბუნებრივია, ფეხბურთი ძალადობისგან სტერილური უნდა იყოს, მაგრამ საუბედუროდ, ჩვენი სურვილების რეალიზება ყოველთვის ვერ ხერხდება. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მსგავსი საშინელება აღარ განმეორდეს? ვფიქრობ, იტალიის მთავრობა სწორად მუშაობს. მათ სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს. ახლა ამ გადაწყვეტილებების შედეგებს უნდა დაველოდოთ. ჩემი აზრით, ყველა მცდელობა ფუჭი იქნება, თუ პოლიციასა და მთავრობას ხალხი არ დაუდგება მხარში. თუ რიგით გულშემატკივარს, შინაგანი კულტურა არ ექნება და თავს ვანდალიზმის უფლებას მისცემს, ამ ქმედებაში სამარცხვინოს ვერაფერს დაინახავს, მაშინ პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ. ფეხბურთი სახალხო ფიესტაა. დაუშვებელია, რომ ადამიანები სტადიონზე შიშის თანხლებით მიდიოდნენ. ადამიანმა ტრიბუნაზე სიამოვნება უნდა მიიღოს და დაისვენოს. თუ ძალადობა არ მოისპობა, მითხარით, რომელი ნორმალური ადამიანი გაბედავს, რომ სტადიონზე შვილი წაიყვანოს? როგორც იცით, ფედერაციამ გუნდები მაყურებლების გარეშე თამაშით დასაჯა. ერთი შეხედვით, მეტისმეტად მკაცრი გადაწყვეტილებაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძალიან ბევრ არენაზე უსაფრთხოების ნორმები შორსაა საერთაშორისო სტანდარტებისგან. შესაბამისმა ინსტანციებმა კლუბებს მოთხოვნა წაუყენეს. მათ ამ მიმართულებით სერიოზულად უნდა იმუშაონ და მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ. ერთი სიტყვით, საერთო ძალისხმევით, რისკი მინიმუმამდე უნდა დავიდეს.

**- ესპანეთის, ინგლისისა და იტალიის სტადიონებზე ასობით შეხვედრა გაგიმართავთ. როგორ ფიქრობთ, თქვენს სამშობლოში უსაფრთხოების ნორმები ყველაზე ცუდადაა დაცული?**

- იტალიელებისთვის რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, ეს სიმარლე უნდა ვაღიაროთ. ინგლისსა და ესპანეთს მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით. ჩვენთან, ზოგი სტადიონი ძალიან ძველია და არანაირ სტანდარტს არ პასუხობს. მოკლედ, პრობლემა ძალიან ღრმა და მასშტაბურია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

## იბრაჰიმოვიჩი ნაკრებში ბრუნდება

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** შვედეთის ნაკრებში ბრუნდება. მთავარ მწვრთნელ ლარს ლაგერბაკთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მან პროტესტი შეწყვიტა და ყვითელი მაისურის მორგებაზე თანხმობა განაცხადა. იბრას ეროვნულ გუნდში სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია. ერთ-ერთი საკვალიფიკაციო მატჩის წინ, დისციპლინის დარღვევისათვის ის შეკრებიდან დაითხოვეს. "ინტერის" ვარსკვლავმა მწვრთნელების გადაწყვეტილება შეურაცხყოფად მიიღო და გუნდს ზურგი შეაქცია. როგორც ჩანს, ლაგერბაკთან კონფლიქტი ამოწურულია.

## დროგბამ ეტოოს ჰეგემონია დაამხო

**დიდიე დროგბა** აფრიკის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან მხოლოდ ხუთი ხმით გაუსწრო ბარსელონელ **სამუელ ეტოოს**. კოტდივუარელმა ვარსკვლავმა კამერუნელის სამწლიანი ჰეგემონია დაამხო. გამოკითხვაში კონტინენტის ნაკრებთა მწვრთნელები მონაწილეობდნენ. მესამე ადგილზე დროგბას ჩელსელი თანაკლუბელი **მიკაელ ესიენი** გავიდა. წლის ნაკრებში ინგლისურ პრემიერლიგაში მოასპარეზე ხუთი ფეხბურთელი მოხვდა - დროგბასა და ესიენის გარდა, არსენალელები **ემანუელ ებუე** და **კოლო ტურე**, აგრეთვე ტოტენჰემელი **დიდიე ზოკორა**.

## როი კინი, თვის საუკეთესო მწვრთნელი

**როი კინი** პირველი დივიზიონის თებერვლის თვის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ირლანდიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი "სანდერლენდის" დამრიგებელია. მან გუნდი კრიზისში ყოფნისას ჩაიბარა და რადიკალურად გარდაქმნა მისი თამაში. ახალბედა დამრიგებელმა თებერვალში ხუთი თამაში ჩააატარა - ოთხი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა. 35 ტურის შემდეგ "სანდერლენდს" 60 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზე იმყოფება. ის დივიზიონის ლიდერ "დერბის" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

## პარეირამ მაკარტი მოიკითხა

სამხრეთაფრიკელთა თავკაც **კარლოს ალბერტო პარეირას ბენი მაკარტის** დაბრუნება სურს. "ბლექბერნის" 29 წლის თავდამსხმელი ეროვნულ გუნდში 2005 წლიდან აღარ თამაშობს. იმ წელს "ბაფანა ბაფანამ" აფრიკის ერთა თასზე სრული ფიასკო იწვნია. ჟურნალისტებმა კი ეს რატომღაც მაკარტის დააბრალეს. წელს ბენი საუცხოო სეზონს ატარებს. ოთხშაბათს, ასოციაციის თასის მეოთხედფინალში, მან "არსენალს" გამარჯვების გოლი გაუტანა და ყველა ტურნირში 16 ბურთს მოუყარა თავი.

## ჰამბურგის ყოფილმა ფეხბურთელმა 16 ბანკი გაქურდა!

**პეტერ რორშნაიდერი** - ეს სახელი და გვარი ალბათ არაფერს გეუბნებათ. ეს არის კაცი, რომელიც **უვე ზეელერის** დროს, 60-იან წლებში "ჰამბურგში" თამაშობდა, ბუნდესლიგაში ჩატარებული აქვს 27 შეხვედრა, გატანილი აქვს 1 გოლი. ეს არაა შთამბეჭდავი მაჩვენებელი და რომ არა ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაცია, დღეს უკვე 60 წლის რორშნაიდერზე, ალბათ, არც არაფერს დაწერდით. საქმე ის გახლავთ, რომ პეტერი სკანდალში გაეხვა. ის 1991/92 წლებში, ერთბაშად 16 ბანკის გაქურდვაშია ეჭემიტანილი.

ლიუნებურგის მთავარი პროკურორი ამბობს: *"ეს საქმე დღემდე გაუხსნელი იყო და როგორც იქნა, დამნაშავეებს მივაგენით. დავაკავეთ ერთი პირი, რომელიც მაშინ 18 წლის იყო და რომელმაც დანაშაული აღიარა. ეს პიროვნება იმ დაჯგუფების წევრი გახლდათ, რომელიც ბანკებს ქურდავდა. მან დაჯგუფების სხვა წევრების ვინაობაც გაგვიმხილა. მათ შორისაა პეტერ რორშნაიდერიც, წარსულში "ჰამბურგის" ფეხბურთელი."* რორშნაიდერი ოთხშაბათს დააკავეს. ცნობილია, რომ დაჯგუფებამ 16 ბანკის დაყაჩაღებით 430 000 მარკა მოიხვეჭა. აღსანიშნავია ისიც, რომ რორშნაიდერი, რომელიც ბოლოს მე-8 ლიგის ერთ-ერთ გუნდს წვრთნიდა, 1968 წელშიც გაასამართლეს. მაშინ მან 13 წლის გოგონა გააუპატიურა...

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ვერონს ლოკომოტივი შესთავაზეს

სენსაციური ინფორმაცია მოსკოვიდან. რუსული "ლოკომოტივი" არგენტინის ნაკრების ვეტერანი ნახევარმცველით, **ხუან სებასტიან ვერონით** დაინტერესდა. რუსეთში სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა დრო რჩება. მიმომხილველთა ვარაუდით, ვერონთან შეთანხმება აღარ მოესწრება. სამაგიეროდ, ტრანსფერი შეიძლება ზაფხულში შედგეს. რკინიგზელები 31 წლის ვერონს **დმიტრი ლოსკოვის** შემცვლელად მოიაზრებენ. ლოსკოვი 33 წლისაა. მას კარიერის საუკეთესო წლები გავლილი აქვს. თანაც ახალ დამრიგებელ **ანატოლი ბიშოვეცთანაც** დაძაბული ურთიერთობა აქვს.

ვერონი არგენტინულ "ესტუდიანტესში" ასპარეზობს. ის ამ კლუბში გასულ ზაფხულს ჩაირიცხა და პირველივე ცდიდან აპერტურის ჩემპიონობა მოიპოვა. ხუან სებასტიანი პირველი წრის გამორჩეული ფეხბურთელი იყო. შემთხვევითი არ გახლდათ, რომ არგენტინის ნაკრების თავკაცმა **ალფიო ბასილემ** ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ის "ალბისელესტეში" დააბრუნა. "ლოკომოტივის" პრეზიდენტი **იური სიომინი** კიდევ ერთ არგენტინელს აკვირდება. საუბარია "ველეს სარსფილდის" 19 წლის თავდამსხმელ **მაურო სარატეზე**. მას გამოკვეთილ ფორვარდადაც შეუძლია თამაში და თავდამსხმელების უკანაც.

ინტერი. ტრანსფერები

# რიკელმე მანჩინის ფავორიტია

## სავიოლამ მილანი ან ტურინი უნდა აირჩიოს

"ინტერი" **ხუან რომან რიკელმეს** ადვოკატებს შეეხმიანა. არგენტინელ ფლეიმეიქერს ევროპაში დაბრუნებას სთავაზობენ. მოგეხსენებათ, რიკელმე "ვილიარეალის" საკუთრებაა. მას მთავარ მწვრთნელ **მანუელ პელეგრინისთან** უთანხმოება ჰქონდა. ამიტომ ნახევარი წლით "ბოკა ხუნიორსში" გაანათხოვრეს. საიჯარო კონტრაქტი ივნისში იწურება. "ბოკას" კი უკვე მისი გაგრძელება სურს. **რობერტო მანჩინი** რიკელმეს თაყვანისმცემელია და დაბეჯითებით ითხოვს ფლეიმეიქერის შეძენას. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

"ნერაძურიმ" კიდევ ერთ არგენტინელს დაადგა თვალი. საუბარია ბარსელონელ **ხავიერ სავიოლაზე**. ივნისში სავიოლა თავისუფალი აგენტი ხდება. მიმომხილველთა ვარაუდით, ის იტალიაში გაემგზავრება. "ინტერის" გარდა, "ბაჟიას" "იუვენტუსიც" ეპატიჟება. სატრანსფერო დუელში ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელიც უფრო მაღალ ხელფასს ჩამოვა. თუ სავიოლა "ინტერში" ჩაირიცხება, უნდა ვიფიქროთ, რომ მანჩინის ჭირვეული თანამემამულე **ანტონიო კასანო** აღარ დასჭირდება. ამ უკანასკნელს "რეალიდან" აზარგებას უწინასწარმეტყველებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XV ტური

# სხვაობა დიდია



რეზო დიდია

2 მარტი. რუსთავი

**აზოტი-სტუ 81:56**

28:16, 16:10, 15:10, 22:20

**აზოტი:** ბერძენიშვილი (2 ქ. 6 მ), ლიპარტელიანი, მინაშვილი (7 ქ), ბოისა (8 ქ. 3 პ), ცეკვავა (4 ქ), დიდია (16 ქ), ტულუში (9 ქ. 4 პ. 3 ჩ), მარკოიშვილი (7 ქ), უგრეხელიძე (6 ქ), ტუჯანი (10 ქ. 5 ჩ), ქოჭუა (12 ქ)

**სტუ:** სეფისკვერაძე (2 ქ), ბერაია, კოხრეიძე (9 ქ. 7 პ. 6 მ), ლ. ნოზაძე (14 ქ. 6 მ), ფოლადაშვილი, მაისურაძე (10 ქ. 8 მ), დევიძე (7 ქ), ახალკაცი (4 ქ), ბარბაქაძე (10 ქ)

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 15 | 14 | 1 | 29 |
| 2. ავიამშენი | 14 | 12 | 2 | 26 |
| 3. თსუ | 14 | 9 | 5 | 23 |
| 4. დინამო | 14 | 4 | 10 | 18 |
| 5. სტუ | 15 | 2 | 13 | 17 |
| 6. მაკაბი | 14 | 2 | 12 | 16 |

რუსთავის "აზოტმა" სტუ 25-ქულიანი სხვაობით დაამარცხა. მართალია, ეს დიდი უპირატესობაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ "აზოტი"-სტუს წლევანდელ დაპირისპირებებში ეს ყველაზე ნაკლები სხვაობაა: პირველ მატჩში რუსთაველებმა 107:52 იმარჯვეს, ხოლო მეორე ტურში - 97:67.

ტექნიკოსებთან მატჩში "აზოტის" მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებს მისცა. სხვებისგან **რეზო დიდია** გამოირჩა, რომელმაც 6-დან 4 სამქულიანი, 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 16 ქულას 2-2 მოხსნა-პასი-ჩაჭრა მიამატა. შეხვედრის დასრულებისთანავე რეზომ დამსახურებულად მიიღო სუპერმარკეტ "ნუცუბიძის 19-სგან" საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი რამდენიმე DVD დისკი.

სტუ-ს რიგებში ყველაზე შედეგიანი **ლუკა ნოზაძე** იყო - 14 ქულა, თუმცა, ზოგადად რა შედეგიანობაზეა საუბარი, როცა ტექნიკოსებმა მეორე მეოთხედიდან შეხვედრის ბოლომდე 21 საჯარიმო ააცილეს, ხოლო მეორე ათწუთეულში ზედიზედ 12 ვერ ჩააგდეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ძიუდო



ხანჯალიაშვილისა და გუჯეჯიანის კონკურენცია პოლონეთში გადაწყდება

მსოფლიო თასი

# სპალა, ბოლო ტურნირი ბელგრადამდე

ამ უქმეებზე პოლონეთში, ვარშავიდან ორასიოდე კილომეტრით დაშორებულ ქალაქ სპალაში ვაჟ ძიუდოისტთა მსოფლიო თასი ტარდება, რომელშიც ჩვენი ნაკრები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით იჭიდავებს: **ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **მინდია ხომიზური** და **ბექა ბაიდაური** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** და **საბა გავაშელიშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** და **ლევან რაზმაძე** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე).

7-8 აპრილს, ბელგრადში გასამართ კონტინენტის პირველობამდე ევროპაში მეტი ტურნირი უკვე არ ჩატარდება. ეს ფაქტორი სპალას ტურნირის მნიშვნელობას ერთიორად ზრდის - ვისთვის ბოლო მოსამზადებელი შეჯიბრება ხდება, ვისთვის - ბოლო შესარჩევი. ამიტომ, პოლონეთში ძლიერი შემადგენლობის შეკრებაა მოსალოდნელი.

ტურნირი ჩვენი ნაკრებისთვისაც ასევე ორმაგ დატვირთვას იძენს. დასახელებული შემადგენლობიდან კედელაშვილმა, ცირეკიძემ და ჟორჟოლიანმა უკვე გაინაღდეს ადგილი საევროპო ნაკრებში (ასევე 60 კილოში ნესტორ ხერგიანმა, რომელსაც მწვრთნელი ამჯერად ასვენებს) და მათთვის ეს მოსამზადებელი შეჯიბრება იქნება. 81-ში და მძიმეში ჯერ ისე გრძელდება ბრძოლა ბელგრადულ შემადგენლობაში მოსახვედრად და კონკურენცია სწორედ სპალაში გადაწყდება - ევროპაზე ის იჭიდავებს, ვინც პოლონეთში უკეთეს შედეგეს აჩვენებს. ამდენად, მათთვის ეს შესარჩევი შეჯიბრებაა.

ცოტა გაურკვეველია, 73-ში მოასპარეზეთათვის ეს რა დატვირთვის ტურნირია. ამ წონის ლიდერი **დავით ქევხიშვილი** მენისკის ოპერაციის შემდეგ ჯერაც ვერ ვარჯიშობს სრული დატვირთვით, თუმცა მწვრთნელები კვლავაც საევროპო კანდიდატად განიხილავენ. ამის მიუხედავად, ყოველი შემთხვევისთვის, ხომიზურსა და ბაიდაურს მაინც ცდიან. შეგახსენებთ, რომ ხომიზური 66-ში გამოდის და წლეულს ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ჯერ საქართველოს ჩემპიონატში, მერე - თბილისის ტურნირზეც, ბაიდაური კი 73-ში ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონია.

ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელს** პოლონეთში ორი ისეთი ფალავანიც მიჰყავს, რომლებსაც ევროპულ ნაკრებში მოხვედრის შანსი არ გააჩნიათ (თუ ლიდერები არ დაშავდნენ) - **ხოსიტაშვილი** და **რაზმაძე** და მათ გამოცდილების მისალებად აჭიდავებს.

მას შემდეგ, რაც ხაბარელი პოლონეთში საბოლოოდ დააკომპლექტებს საბელგრადე ნაკრებს, სამშობლოში დაბრუნდება და კონტინენტის პირველობისთვის მზადებას აქ გააგრძელებს შეკრებებით. სერბეთში წასვლამდე ჩვენები ორ შეკრებას გაივლიან.

სპალას პარალელურად, ანალოგიური რანგის ტურნირი პრალაშიც ჩატარდება, ოღონდ ქალებში და ჩვენი ნაკრები იქაც იასპარეზებს. სამწუხაროდ, მათ შემადგენლობას დაწვრილბით ვერ მოგახსენებთ, რადგან ჰამბურგის ტურნირის შემდეგ ისინი სამშობლოში არ დაბრუნებულან - პირდაპირ გადაინაცვლეს პრალაში, მათთან დაკავშირება კი ვერ მოვახერხეთ. სავარაუდოდ, ქალთა დამრიგებელი **გოდერძი ველიჯანაშვილი** იქაც იგივე ექვსეულს აჭიდავებს, რომლებმაც ჰამბურგში იასპარეზეს...

**ირაკლი თავაძე**

# თსუ ამოუწურავია, აბა ვნახოთ ავია...

**4 მარტი. ვერის პარკი**

14:00 **დინამო-მაკაბი**

16:00 **ავიამშენი-თსუ**

გუშინ რუსთავში მე-15 ტურის პირველი მატჩი გაიმართა - "აზოტმა" სტუ-ს უმასპინძლა. ტური ხვალ ორი საინტერესო დაპირისპირებით გაგრძელდება - ჯერ "მაკაბი" და "დინამო" "დაეჭიდებიან", შემდეგ "ავიამშენი" და თსუ. გუშინ კაფე მსოფლიო სპორტში ტურის ცენტრალური მატჩის მონაწილე მწვრთნელ-მოთამაშეები შეიკრიბნენ და მომავალ დაპირისპირებაზე ისაუბრეს.

პრესკონფერენცია თსუ-ს თავკაცმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** გახსნა: *- ავიამშენთან" სეზონის პირველ მატჩში დიდი სხვაობით დავმარცხდით, შემდეგ თამაში გამოვასწორეთ და ქორქია-საკანდელიძის თასზე მეტოქეს მოვუგეთ კიდეც. ამით მინდა ვთქვა, რომ თსუ თამაშს ნელ-ნელა აუმჯობესებს. მინდა წინასწარ განვაცხადო, რომ "ავიასთან" ისე არ დავთმობთ, როგორც ეს რუსთავს დაემართა - ვეცდებით გამარჯვება არათუ ბოლო წუთებამდე, საერთოდაც არ დავანებოთ.*

როცა კალათბურთის ფედერაციის პრეს-ატაშე **ზურაბ თალაკვაძემ** თქვა - ახლა **რიჩარდ მათიაშვილს** მოვუსმინოთ და უნივერსიტეტის თემა ამით ამოვწუროთო, ნუგზარ ჭეიშვილისგან სახუმარო პასუხი მიიღო: თსუ ამოუწურავიაო...

რიჩარდს მოვუსმინოთ: *- კვირას ერთმანეთის წინააღმდეგ თანაბარი ძალის გუნდები წარდგებიან და მატჩიც საინტერესო უნდა გამოვიდეს. ძალიან გვინდა "ავიას" დამარცხება და რა გამოგვივა, შეხვედრის დასრულების შემდეგ ვნახავთ.*

"ავიამშენის" მეორე მწვრთნელმა **ვაჟა მხეიძემ** წინა ტურში "აზოტის" დამარცხება გაიხსენა: *- რუსთაველთა ძლევა მაქსიმალური მობილიზების წყალობით მოვახერხეთ. ყველას კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ "აზოტთან" წაგება არ შეიძლებოდა და, ამიტომ, შესაძლებლობები ბოლომდე გამოვავლინეთ. წინა მატჩში სამი ტრავმირებული გვყავდა ირაკლი ხომტარია (რომელმაც ფეხის ტკივილის მიუხედავად მაინც ითამაშა), ირაკლი ბერიშვილი და თორნიკე ნინიაშვილი. ამ სამეულიდან თსუ-სთან მხოლოდ თორნიკე დაგვაკლდება. ხომტარია და ბერიშვილი მწყობრში არიან. თსუ სწორ კალათბურთს თამაშობს და დარწმუნებული ვარ კვირას იოლი გასეირნება არ გველის. საბრძოლველად მზად ვართ.*

პრესკონფერენცია **ზვიად ბაბიაშვილმა** დაასრულა: *- უნივერსიტეტელებს დაცვაში მწყობრად თამაში შეუძლიათ. კარგად გამოიყურებიან პრესინგისას და იერიშებზე ელვის სისწრაფით გადადინა. მათი ძლევა იოლი საქმე არასოდეს ყოფილა, მაგრამ რადგან მეტოქე კარგად გვყავს შესწავლილი გამარჯვების იმედიცა გვაქვს.*



თსუ-ავიამშენი, წინა თამაში

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ჩიხლაძე ნახევარფინალშია

**ჩოგბურთი.** საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** (562) შვეიცარიის ქალაქ ლოიგერნში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ნახევარფინალში გავიდა. მეოთხედფინალში ლადო "უაილდ ქარდით" მიწვეულ შვეიცარიელ **ალექსანდერ სადეცკის** ხვდებოდა. ლადომ ორ სეტში იმარჯვა - პირველში ტაი-ბრეიკში მან მეტოქე გატეხა და მეორე სეტში წინააღმდეგობას აღარ წაწყდომია - 7:6 (2), 6:1. ნახევარფინალში ჩიხლაძის მეტოქეა მე-6 ნომრად განთესილი იტალიელი **ალბერტო ჯირაუდო** (513). ქართველი ლოიგერნის ტურნირში მეშვიდე ნომრად არის განთესილი. მეორე ნახევარფინალურ მატჩში მე-8 ნომრად განთესილი ჩეხი **რომან კუტაცი** შვეიცარიელ **სვენ სვინენს** შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი



# ფიქრები მუხისძირას

## ანრი ბრონკანის ქრონიკა

**განვაგრძობთ ფრანგულ კლუბ "ოშის" მწვრთნელის, ანრი ბრონკანის ჩანაწერების გამოქვეყნებას. ბრონკანი ამას წინათ საქართველოს ნაკრების კონსულტანტად დაინიშნა, მისი დღიური კი ფრანგულ სარაგბო გაზეთ "მიდი ოლიმპიკში" იბეჭდება.**

### 22 თებერვალი, ხუთშაბათი

მაღლობს, სადაც ჩემი მუხა დგას, ზამთრის დიდი, საკმაოდ მცხუნვარე მზე დაჰყურებს. აქაური გლეხები ამბობენ, რომ ხე ასწლოვანია. როცა ის პირველად ვნახე, ორმოცდაათიანი წლები იყო. ერთხელ ჩემმა მორწმუნე ბებიამ წირვაზე წამიყვანა. ეკლესია მუხასთან ახლოს იყო. მთელი პროცესიის მანძილზე ბავშვებთან ერთად მუხის გარშემო დავრბოდი, მერე გოგონებს გზისპირა გაყვანილ თხრილებში ვყრიდით. ერთ მომენტში თავი ვერ შევიკავე და მეც გადავვარდი. ერთი სიტყვით, სასტიკად დავისაჯე და აგერ უკვე 50 წელზე მეტია, მაშინდელი ტრავმის გამო ცოტათი ვკოჭლობ.

ადვილი შესაძლებელია, ჩემი მუხა ვინმე შეძლებულის ავეჯის მასალა გამხდარიყო, თუმცა გაუმართლა და დღესაც ამაყად დგას. საშინელი სიცხეებისას მის ჩრდილში კოტრიალს ქვეყნად არაფერი ჯობია. აქედან უმშვენიერესი პეიზაჟები იშლება, რომელიც სეზონისა და დროის მიხედვით, თითქმის საათობითაც კი იცვლება.

ჩემს ხესთან ყოველთვის ბედნიერი ვიყავი. მე ის არასოდეს არ უნდა მიმეტოვებინა.

### 23 თებერვალი, პარასკევი

დილით ადრე ეკლესიისკენ გავემართე. ჩემთან ერთად გარდაცვლილი მეგობრის შვილია, რომელსაც 2000 წლიდან ვავარჯიშებ. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი საყვარელი მოთამაშეა. ასეთები არც მყავს. ყოველთვის ვამბობდი, რომ არსებობს მოთამაშეთა სამი სახეობა - ისეთები, რომლებსაც ბოლომდე ენდობი, ისეთები, რომლებიც სულ უნდა აკონტროლო და ისეთები, ვისითაც უბრალოდ აღფრთოვანებული ხარ.

საღამოს ვარჯიშზე მეგობრის შვილს გავუჯავრდი. შერკინებაში პასიურობდა. ხმამაღლა ვუყვირე, რა დონდლო ხარ, ცოტა გაბრაზდი, გამოცოცხლდი მეთქი. ალბათ ეწყინა, ადგა და ვარჯიში მიატოვა. არაფერი მითქვამს. მგონი, სავარჯიშოდ აღარასოდეს მოვა.

დავღონდი.

### 24 თებერვალი, შაბათი

ირლანდია-ინგლისის თამაშს კოლომიეში გამგზავრება და უახლოესი მეტოქის, "ლიონის" დაზვერვა ვამჯობინე. მიშელ ბანდიშუს სახელობის სტადიონიდან ქომაგთა ღრიანცელი საკმაოდ შორს ისმოდა. ორივე გუნდს ფანობა თავგამოდებით უჭერდა მხარს. თამაში ხისტი გამოდგა, თუმცა მსაჯი ყურადღებით იყო, უხეშობის საშუალებას არავის აძლევდა. "კოლომიემ" წააგო.

გამახსენდა ჯეელობისას ამ გუნდთან ჩვენი დაპირისპირების ეპიზოდები. "ოში"-"კოლომიე" ყოველთვის იყო უშელავათო დერბი. მაშინ მიშელ ბანდიშუ და მისი მეგობრები აშკარად გვჯობნიდნენ და "კოლომიე" ფრანგული და ევროპული რაგბის ერთერთ უძლიერეს კლუბად აქციეს. ახლა "ცისფერებს" მწვავე კრიზისი აქვთ, თუმცა, ვფიქრობ, ეს დროებითია. ისინი ისევ შეძლებენ აღმასვლას. ბანდიშუს ხსოვნა ამას იმსახურებს.

### 25 თებერვალი, კვირა

"ლა როშელი" დავამარცხეთ. კლუბი, რომელიც ბევრი რამით წააგავს ჩვენსას. კარგი მწვრთნელი ჰყავთ, მუდამ ანთებული, მოგიზგიზე თვალებით. თამაშის დროს წვიმდა. ბევრი ხარვეზი იყო. მოწინააღმდეგემ თითქმის ტაიმნახევარი გაგვიძლო, მაგრამ ჩვენი 9 ნომრის გმორჩეულმა გარჯამ საბოლოოდ გამარჯვება მოგვაპოვებინა.

ძალიან ვინერვიულე. მაგრამ მერე, როცა გადავწყვიტე - მე ჩემს მუხასთან უნდა დავრჩე-მეთქი, შვებით ამოვისუნთქე. "ოშიდან" არსად წავალ. აქ ჩემი სახლია.

### 26 თებერვალი, ორშაბათი

ტელევიზიით ჩვენი კონკურენტების, "ტულონისა" და "ბეზიეს" შეხვედრის ვიდეოჩანაწერი ვნახე. მასპინძლებმა 9, 10 ნომრისა და მესამეხაზელის, რომელიც მატჩის მიწურულს მოედნიდან ჩხუბისთვის გააძევეს (გია ლაბაძე-რედ.) აქტიური თამაშის წყალობით მოიგეს.

მატჩის ყურებას რომ მოვრჩი, შვილიშვილი შემიჩნდა. მოდი, სასკოლო დავალებები მომამზადებინეო. ცხადია, არ დავზარდი. მინდა გითხრათ, რომ ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში მასზე ნიჭიერი მოსწავლე მე არ მყოლია. მინდოდა, დროულად მოვრჩენილიყავით მეცადინეობას - ვაჩქარებდი, მინდოდა სათევზაოდ ან სანადიროდ წამეყვანა, ველარ ვითმენდი. რა ძნელია მასწავლებლობა...

*P.S. ტელევიზორში ისევ სტადიონი გამოჩნდა. "სტად დე ფრანსს" უჩვენებდნენ. სპორტული არენა ბრძოლის ველად პოლიტიკოსებს გაეხადათ. სეგოლენის რეიტინგი ისევ იზრდება. სარკოზის კი სენ დენიზე უსტვენენ.*

ლეგიონერები

# ფედერალები სამ ჯგუფად

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში გასულ უქმეებზე შესვენება იყო. თუმცა, თუ II დივიზიონში ალზევებისთვის მებრძოლთა შორის გამართული პირველი ტურის შედეგებს გადავხედავთ, გარკვეული დასკვნების გამოტანა უკვე შეიძლება.

პროფესიულ, მეორე დივიზიონში ფედერალ 1-დან სამი გუნდი გადადის. აღსანიშნავია, რომ ამ გამსვლელი ადგილების მოპოვების ყველაზე რეალური შანსი ქართველ მორაგბეთა სამ გუნდს "პერიგოს", "ექსს" და "მასის" აქვს.

"ექსი" მეორე დივიზიონის შარშანდელი ხელმოცარულია. **დავით გასვიანის** გუნდმა სეზონის დაწყებისთანავე გააკეთა საკმაოდ საფუძვლიანი განაცხადი და ნელ-ნელა წინ მიიწევს მიზნისკენ.

შარშანდელი ხელმოცარულია **ვანო ნადირაძისა** და **თედო ზიბზიბაძის** "პერიგოც". მართალია რეგულარული გათამაშების მსვლელობისას პერიგოელები დიდად არ ბრწყინავდნენ, მაგრამ, ამ კლუბს საკმაოდ მდიდარი ტრადიციები აქვთ და დასკვნით ეტაპზე სიურპრიზის შემოთავაზება რეალურად ძალუძს.

ზედიზედ მეორე სეზონია, ელიტურ, მეორე დივიზიონში გადასვლისთვის იბრძვის **გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილისა და ვიქტორ დიდებულიძის** "მასი". პარიზელებს შარშან ელიტამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ. წელსაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელ დივიზიონში ყველაზე სოლიდური და რაც მთავარია მაღალი კვალიფიკაციის მქონე მორაგბეებით დაკომპლექტებული გუნდია.

ფლეი ოფში მებრძოლთა შორისაა ასევე **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანი" და **ზურაბ მჭედლიშვილისა და ალექსანდრე მარგველაშვილის** "დომონი". ამ გუნდებს ამბიციები ცოტა ნაკლები აქვთ, რადგან, ზემოთ ნახსენებ სამეულთან შედარებით ფინანსურად ნაკლებად მყარი მდგომარეობა აქვთ.

ფლეი დაუნში ყველაზე ცუდად საქმე **ირაკლი ნინიძის** ახალ გუნდ "მარსელს" აქვს, რომელიც ფედერალ 1-ის დებიუტანტია. ფაქტობრივად, არაფერი ემუქრება **გიორგი კაჭარავას** "ვანს", რომელიც A ჯგუფში პირველ ადგილზეა, თუმცა წინ კიდევ 9 ტურია და შესაძლებელია ყველაფერი მოხდეს.

ფედერალ 1-ში დასარჩენად იბრძვის დივიზიონის კიდევ ერთი დებიუტანტი, **ლევან დათუნაშვილისა და რეზო გიგაურის** "მონლუსონი", რომელიც B ჯგუფში 26 ქულით მეოთხე ადგილზეა. მას თითო ქულით უსწრებენ "პუატიე" **და ირაკლი მოდებაძის** "ლუნელი". შეგახსენებთ, რომ ფლეი დაუნის ჯგუფებში ექვს-ექვსი გუნდია და დივიზიონს ბოლო სამი დატოვებს.

მორიგი მე-17 ტური შეხვედრები გაიმართა ფედერალ 2-ში. შეგახსენებთ, რომ აქ ფედერალ 1-ის საგზურს ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები ავტომატურად იღებენ, დარჩენილ საგზურებს კი მეორე-მეექვსე ადგილზე გასულები ფლეი ოფში გაითამაშებენ.

ზედა დივიზიონში ალზევების ყველაზე რეალური შანსი ჯერჯერობით აქვს **დიმა ხოჭოლავას** "სერჟ პონტუაზის", რომელიც B ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს. რეგულარული გათამაშების დასრულებამდე 5 ტურით ადრე პონტუაზელები უახლოეს მდევარს 6 ქულით უსწრებენ.

A ჯგუფში გათამაშების ლიდერ "ტურს" კვალში უდგანან "ქართული" გუნდები "არასი", "ლილი" და "ნანტი". ლიდერის დაწევისა და გადასწრების რეალური შანსი აქვთ **სერგო გუჯარაიძის, ოთარ ელოშვილისა** და **პალიკო ჯიმშელაძის** "არასს" და **დავით ბოლღაშვილის** "ლილს" - ისინი "ტურს" მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩებიან. **ილია მაისურაძისა** და **ლევან ჯაველიძის** "ნანტის" ჩამორჩენა კი 12 ქულაა.

D ჯგუფში მე-17 ტურის შემდეგ ლიდერის პოზიცია დაკარგა **დიმა პავლოვისა** და **რატი ურუშაძის** "ნიცმა", რომელიც სტუმრად დამარცხდა "შატონუსთან" 13:18. ნიცელები ლიდერს ახლა 2 ქულით ჩამორჩებიან. ხუთი ქულით ნაკლები აქვს **თემურ სოხაძის** "ბასტიას", რომეილც ასევე სტუმრად, პირველადგილოსან "რომანთან" დამარცხდა - 11:22.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ნიცის შეტევა. ბურთიანის უკან - რატი ურუშაძე და დიმიტრი პავლოვი

## ავტოსპორტი. საქართველოს ჩემპიონატი



ჩქაროსნული სამთო რბოლა. II ეტაპი

# კვირას კუს ტბაზე: ნიკლაური-ბეჟაშვილი!

კვირას, 12 საათზე კუს ტბის მიდამოებში სეზონის მეორე ჩქაროსნული სამთო რბოლა გაიმართება. მონაწილეთა რაოდენობა ორიკვირისწინანდელ, პირველ ეტაპთან შედარებით იზრდება და, რაც მთავარია, მცირე ხნის შესვენების შემდეგ, ავტოსპორტში დაბრუნება გადაწყვიტა ცნობილმა მრბოლმა **დავით ნიკლაურმა**.

ნიკლაურმა ავტოსპორტის ისეთ პოპულარულ სახეობებში გამოცადა ბედი, როგორიცაა "ფორმულა 1600", რალი, წრიული რბოლა. ავტოსპორტის მოყვარულებს ალბათ ემახსოვრებათ ნიკლაურის შთამბეჭდავი ავარია - კოჯრის გზიდან ხრამში გადავარდნა "ვაზ 2110" მოდელით.

იმავე გზაზე მან ცოტა ხნის წინათ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა "სუბარუ იმპრეზას" მოდელით და საქართველოს ჩემპიონატში უმთავრესი მეტოქე **ზურაბ ბეჟაშვილი** დაამარცხა. კვირას, ამ ორი სპორტსმენის პაექრობა კვლავ შედგება. საქართველოს ავტოფედერაციის პრეზიდენტის **შალვა ოგბაიძის** თქმით, ბეჟაშვილი და მისი წარმატებული კარიერა ბევრი კოლეგისთვის სამაგალითოა. ყველასთვის დიდი პატივია "ქართული ავტოსპორტის შუმახერის" (ოგბაიძის მიერ შერქმეული სახელია) დამარცხება პატიოსან ბრძოლაში.

**დავით ჩუბინიძე**

## წარმატება თავისუფალში

**ფიგურული ციგურაობა.** ობერსდორფში(გერმანია) დასრულდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. სპორტულ ცეკვებში ქართულმა წყვილმა (**ეკატერინა ზაიკინა-ოთარ ჯაფარიძე**) იასპარეზა. ნუხანდელი თავისუფალი პროგრამის წინ ჩვენები მე-20 ადგილზე იყვნენ. ბოლო დისციპლინაში ზაიკინამ და ჯაფარიძემ კარგად იცეკვეს და მეთხუთმეტე შედეგი აჩვენეს. საბოლოოო ჩათვლაში ქართველებმა 118.43 ქულით საკმაოდ კარგი, მე-16 ადგილი დაიკავეს, რაც მომავლის იმედს გვაძლევს. მსოფლიო ჩემპიონები რუსები გახდნენ, ვერცხლი ესტონურ წყვილს შეხვდა, ხოლო ბრინჯაო - კანადელებს.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჭადრაკი**



მთავარმა მსაჯმა ევგენი მელიქსეთ ბეგმა საათი ჩართო

ნუგზარ სუარიძის ფოტოები



ნინო ბაციაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

## ხუთი მოგება და ერთი ყაიმი

საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველი ტური, როგორც მოსალოდნელი იყო, უკომპრომისოდ და ძალზედ საინტერესოდ დაიწყო - ექვსი პარტიიდან ყაიმით მხოლოდ ერთი დასრულდა - ერთმანეთში ქულა გაიყვეს ფავორიტებად მიჩნეულებმა - **ლელა ჯავახიშვილმა** და **ნინო ხურციძემ**.

გამოსარჩევი, რა თქმა უნდა, **მაია ლომინეიშვილისა** და **ნანა ძაგნიძის** შეხვედრა იყო. ორივენი საქართველოს რამდენიმეგზის ჩემპიონები არიან. ნაკრებშიც სისტემატურად ხვდებიან და დიდი გამოცდილებაც აქვთ. დღეისთვის რეიტინგით ძაგნიძე ბევრად სჯობს ლომინეიშვილს, მაგრამ ამათ დაპირისპირებისას რეიტინგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს - სტატისტიკის მოყვრულთ შევახსენებთ, რომ შარშან შავებით ლომინეიშვილმა აჯობა ძაგნიძეს.

ამჯერადაც მაია დარჩა მოგებული, რაც, უპირველესად, დებიუტის კარგი გათამაშების წყალობით შეძლო, - მცირე უპირატესობა თანმიმდევრულად განავითარა და ჯერ ხარისხი მოინადირა, შემდეგ კი მსუბუქი ფიგურაც და ძაგნიძემ საათი გააჩერა.

უფრო ადრე იზეიმა გამარჯვება **სოფიკო გვეტაძემ**, რომელმაც შესანიშნავ სტილში აჯობა **მირანდა მიქაძეს**: შუა თამაშში ფიგურა შესწირა, შავების მეფე უროქოდ დატოვა და შემდეგ საკუთარი "ჯარის ნაწილებით" ჯიქურ მიუხტა. მიქაძე ძალიან ბევრს ეცადა დაცვას, მაგრამ გვეტაძის ზუსტ თამაშს ვერაფერი მოუხერხა. ეს პარტია ალბათ ყველაზე დრამატული, ლამაზი და საინტერესო გამოდგა.

რთულად წარიმართა **სალომე მელია-ინგა ჭარხალაშვილისა** და **მაკა ფურცელაძე-სოფიკო ხუხაშვილის** პარტიები. ორივეში შავებმა გაიმარჯვეს და თითქმის ერთი და იგივე სცენარი გათამაშდა: მელიას დებიუტში ოდნავი უპირატესობა ჰქონდა და უფრო აქტიურად თამაში მართებდა, ისევე როგორც ფურცელაძეს, თუმცა დააყოვნეს და მეტოქემ კონტრთამაშის საშუალება მიიღო. თეთრებს თავდაცვა არ გამოუვიდათ და სტარტი გვარიანად ჩაუმწარდათ.

**ნინო ბაციაშვილმა თამარ წერეთელს** დებიუტში მცირედით აჯობა - ფიგურები უკეთ განავითარა, თუმც პაიკით კი ჩამორჩა. როგორც აღმოჩნდა, ამ ვარიანტისთვის ბაციაშვილი მზად აღმოჩნდა: ლაზიერი გაცვალა, მეტოქის ფიგურათა არაკოორდინირებული განლაგება სათავისოდ გამოიყენა და როცა ფიგურათა დიდი ნაწილიც გაიცვალა, თეთრებს კუ დარჩათ, ხოლო შავებს მხედარი. აქვე გაირკვა, რომ თეთრებს ორი პაიკის მოსაგებად სულ რამდენიმე სვლა სჭირდებოდათ და წერეთელმა მარცხი აღიარა.

მეორე ტურში ცენტრალურ პარტიად უდავოდ ძაგნიძე-ხურციძის დაპირისპირება მიიჩნევა. მთავარ პარტიას ყოველ ტურში გამოვარჩევთ, რაც ნებისმიერ სპორტულ ღონისძიებაზე ჩვეულებრივი ამბავია. იმავეს გააკეთებენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელები და ტურნირის ორგანიზატორებიც:

დღეიდან ჭადრაკის სასახლის მეორე სართულზე, სათამაშო დარბაზის გვერდით მოეწყობა ორი სადემონსტრაციო დაფა, სადაც რჩეულ შეხვედრებს კომენტარებს გაუკეთებენ ქართული ჭადრაკის ცნობილი სპეციალისტები - საერთაშორისო ოსტატები, დიდოსტატები და დამსახურებული მწვრთნელები. ნოვაცია მოწონებას იმსახურებს, - ქართველ გულშემატკივარს უფრო ახლო, უშუალო და საინტერესო ურთიერთობის საშუალება ეძლევა. არ დაგიმალავთ და დღემდე, იმ ჩემპიონატებში, რომლებიც ჭადრაკის სასახლის 37-ე ოთახში ჩატარებულა, ტურნირისთვის თვალის დევნების საშუალება არ ყოფილა.

იმედია, ამით ჩემპიონატს მაყურებელი მოუმრავლდება, - სპორტული შეჯიბრება ხომ გულშემატკივრის გარეშე არაფრად ვარგა...

**ზვიად შათირიშვილი**

პირველი ტური: მაია ლომინეიშვილი (2399)-ნანა ძაგნიძე (2463) 1:0; ნინო ბაციაშვილი (2370)-თამარ წერეთელი (2368) 1:0; სალომე მელია (2400)-სოფიკო ხუხაშვილი (2320) 0:1; მაკა ფურცელაძე (2308)-ინგა ჭარხალაშვილი (2316) 0:1; სოფიო გვეტაძე (2416)-მირანდა მიქაძე (2248) 1:0; ლელა ჯავახიშვილი (2421)-ნინო ხურციძე (2451) 0.5:0.5

მეორე ტურში: **ლომინეიშვილი-ბაციაშვილი; წერეთელი-მელია; ხუხაშვილი-ფურცელაძე; ჭარხალაშვილი-გვეტაძე; მიქაძე-ჯავახიშვილი; ძაგნიძე-ხურციძე**

**ჭიდაობა**

## ორი მესამე, სამი მეხუთე

გუშინ ტაშკენტში დამთავრდა „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირი ანტიკურ ჭიდაობაში, რომელშიც ჩვენი ნაკრები მეორე შემადგენლობით გამოვიდა. მონაგარიც შედარებით მოკრძალებულია, თუმცა მაინც საყურადღებო - 2 ბრინჯაო და 3 მეხუთე ადგილი. მედლები **რევაზ ლაშხმა** (60) და **შალვა გადაბაძემ** (84) მოიპოვეს, **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლომაძე** (66) და **შმაგი გულიაშვილი** (74), (იგი ადრე სახლთუციშვილის გვარით ჭიდაობდა, მაგრამ ამიერიდან დედის გვარით გადაუწყვეტია ასპარეზობა) კი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში დამარცხდნენ.

ნაკრები სამშობლოში ამ დღეებში დაბრუნდება და დაწვრილებით ცნობებიც მერე გვექნება, ჯერჯერობით კი ის შევიტყვეთ, რომ ძალიან ძლიერი ტურნირი ყოფილა. ეს არც გვიკვირს - ამ რანგის ტურნირებში კარგი საპრიზო ფონდია, შესაბამისად, 5, 4 და 3 ათასი ამერიკული დოლარი, მაგრამ ტაშკენტში ამ საპრიზოების დაწესებამდეც უძლიერესი შეჯიბრება იმართებოდა. ამას მასპინძელთა ხელგაშლილობა და ტურნირის კარგი ორგანიზაცია განაპირობებდა, რასაც ახლა რიგიანი და სავალდებულო საპრიზო ფონდიც დაემატა. საყურადღებოც სწორედ ისაა, ასეთ ტურნირში ჩვენი სათადარიგოებიდან ხუთმა რომ ბრინჯაოსთვის იჭიდავა.

**ირაკლი თავაძე**



რევაზ ლაშხი

**ხელბურთი**

ეროვნული ჩემპიონატი

## იწყება და არც იწყება?

### მამუკა მჟავანაძე: ჩემპიონატი მხოლოდ თბილისს უნდა!



საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის განახლებას კვლავ არ დაადგა საშველი. როგორც იცით, ჩემპიონატი შარშან, დეკემბრის დასაწყისში, სკანდალურ ვითარებაში შეწყდა და მის განახლება-არგანახლებაზე მაშინვე გამოითქვა ეჭვები. მართალია, ხელბურთის ასოციაციის ხელმძღვანელები დაგვპირდნენ, რომ ჩემპიონატს თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში განაახლებდნენ, მაგრამ ფაქტის ის არის, რომ გაზაფხული დაიწყო, ჩემპიონატში კი კვლავ ზამთრის არდადეგები სუფევს.

გუშინ, ხელბურთის ასოციაციას შევეხმიანეთ, საიდანაც გვითხრეს, რომ თუ ყველაფერი კარგად იქნა, ჩემპიონატი დაახლოებით ერთ კვირაში განახლდება. კლუბები ნელ-ნელა აგვარებენ საკუთარ პრობლემებს და ხელბურთის ასოციაცია იმედოვნებს, რომ შეჯიბრება დაგეგმილ ვადას აღარ გადასცილდება. უფრო ვრცლად ფედერაციის გეგმებზე მომდევნო კვირის დასაწყისში გესაუბრებით...

გაცილებით პესიმისტურადაა განწყობილი ამჟამად პირველ ადგილზე მყოფი "თბილისის" თავკაცობა. გუნდის მთავარ მწვრთნელ **მამუკა მჟავანაძეს** გუშინ, ბაქოში გამგზავრების წინ შევეხმიანეთ.

- დღეს საღამოს, ბაქოში მივდივართ, სადაც შეკრებას გავივლით და იქვე ჩავატარებთ რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც. თბილისში ხუთშაბათ საღამოს დავბრუნდებით. ჰო, მართლა, ხელბურთის ასოციაციასთან ხომ არ გისაუბრიათ, საქართველოს ჩემპიონატის განახლებას როდის აპირებენ?

**- როგორც დღეს გვითხრეს, დაახლოებით ერთ კვირაში..**

- ვითომ? სულ ასე ამბობენ, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებას არა და არ დაადგა საშველი. ჩვენი ინფორმაციით, საქმე იქითკენ მიდის, რომ მავანთა პრინციპების გამო, ჩემპიონატს ხელოვნურად ჩაშლის საფრთხე ემუქრება. პირდაპირ ვიტყვი – რასაც ვხედავ, ის არის, რომ საქართველოს ჩემპიონატი "თბილისის" გარდა არავის უნდა. თუკი ხელბურთის ასოციაცია ვერ ახერხებს ჩემპიონატის ჩატარებას და ურჩ კლუბებთან პრობლემების მოგვარებას, მე მომანდონ ეგ საქმე და პირობას გაძლევთ, შეჯიბრებას განვაახლებ.

**კობა ხატისაშვილი**

## ველოსპორტი

პროტური

# კავშირი პროტურს კლავს

ეს სიტყვები ტურ დე ფრანსის ორგანიზატორის, კომპანია "ამორი სპორტ ორგანიზასიონის" (ASO) პრეზიდენტ **პატრიკ კლერკს** ეკუთვნის, რომელმაც, პროტურის პირველი ეტაპის, პარიზი-ნიცის რბოლის დაწყებამდე ათი დღით ადრე, განაცხადა, რომ პროტურის ის გუნდები, რომლებიც პარიზი-ნიცაზე არ იასპარეზებენ, შეიძლება არც ტურ დე ფრანსზე დაუშვან.

კლერკის ასეთი სიმკაცრის მიზეზი დიდი ველომარათონების ორგანიზატორებსა და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირების უკიდურესად გამწვავებაა. ამ გამწვავების პირველი რეალური შედეგი კი ისაა, რომ კავშირი პროტურის ლიცენზიის მქონე გუნდებს პარიზი-ნიცაზე გამოსვლას უკრძალავს.

დაპირისპირების ახალი ტალღა ჯერ კიდევ ახალი სეზონის დაწყებამდე წარმოიქმნა, როცა ფრანგული ტურის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ პარიზი-ნიცის სტარტზე არ დაუშვებენ პროტურის ლიცენზიის მქონე შვედურ გუნდ "იუნიბეტ.კომ-ს".

პრო ტურის წესებით, ამავე სერიის ყველა რბოლაში, მისი ლიცენზიის მქონე ყველა გუნდის დაშვება სავალდებულოა. ASO-ის ხელმძღვანელობამ თავისი რომ არ დაიშალა, კავშირმა პარიზი-ნიცის რბოლა პროტურის კალენდრიდან ამოიღო და გუნდებს მასში მონაწილეობა აუკრძალა.

სხვათა შორის, კავშირის ამ მოთხოვნას იმთავითვე არ დაემორჩილა რამდენიმე გუნდი - ჰოლანდიური "რაბობანკი", გერმანულები "ტე-მობილი" და "გეროლშტაინერი", ასევე ფრანგული გუნდები - "კოფიდისი", "ბუიგ ტელეკომი" და "ფრანსის დე ჟუ", რომლებმაც გამოაცხადეს, რომ კავშირის აკრძალვის მიუხედავად, პარიზი-ნიცაზე იასპარეზებენ.

*"როცა ჩვენგან ტურზე მიწვევა მიიღეს, ყველა გუნდმა განაცხადი გამოგვიგზავნა, მაგრამ ახლა, როცა კავშირი პარიზი-ნიცაზე გამოსვლას უკრძალავს, ზოგიერთი გუნდი მის მოთხოვნას ემორჩილება. ჰოდა, თუ ეს გუნდები პარიზი-ნიცაზე ასპარეზობისგან თავს შეიკავებენ, მაშინ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ისინი ჩვენ მიერ ორგანიზებულ სხვა რბოლებში აღარ მივიწვიოთ. ამ შემთხვევაში, ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც ისინი ტურზე უნდა დავუშვათ. ამ შეხედულებას იმ შემთხვევაში შევიცვლი, თუ მათ საფუძვლიანი მიზეზი ექნებათ იმისათვის, რომ პარიზი-ნიცაზე არ იასპარეზონ"*, - ჰოლანდიურ გაზეთ "დე ტელეგრააფთან" საუბრისას განაცხადა კლერკმა.

კლერკის პოზიციას ამყარებს ის ფაქტი, რომ ტურისა და პარიზი-ნიცის გარდა, მისი ორგანიზაცია პროტურის კიდევ რამდენიმე პოპულარული რბოლის ორგანიზატორიცაა. გარდა ამისა, ASO-ს პოზიციას იზიარებენ სხვა ორი ველომარათონის (ჯიროსა- RCS სპორტი და ვუელტას-უნიპუბლიკი) ორგანიზატორებიც, რომლებიც ასევე პროტურის რამდენიმე (11) რბოლას უწევენ ორგანიზებას.

კლერკი ამბობს, რომ მის კატეგორიულ ტონს ერთი გარემოება განსაზღვრავს: ანალოგიური მიზეზის გამო, კავშირი და პროტური სხვა რბოლებში მონაწილეობასაც აუკრძალავენ გუნდებს. ეს კი, ფაქტობრივად, პროტურის არსებობასაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. აქედან გამომდინარე, ტურის სტარტისთვის, პროტური პირვანდელი სახით აღარ იარსებებს. ჰოდა, გამოვა ისე, რომ გუნდები ყველაზე პოპულარულ რბოლაში მონაწილეობის უფლებას, ფაქტობრივად, არარსებულ სერიაში დარჩენის გამო დაკარგავენ.

მაგრამ კლერკი, თავის მხრივ, არც დათმობის შესაძლებლობას გამორიცხავს: *"თუ გუნდები პარიზი-ნიცაზე თავიანთი ბიუჯეტის გამო არ გამოვლენ ან თუ მათი სპონსორი სტრატეგიას შეცვლის და მათგან ამ რბოლაში არმონაწილეობას მოითხოვს, ჩვენ შეიძლება შევიდეთ მათ მდგომარეობაში და გამონაკლისები დავუშვათ, მაგრამ თუ ისინი კავშირის მიერ წამოწყებულ ბოიკოტს დაუჭერენ მხარს, მაშინ ჩვენ მიერ ორგანიზებულ რბოლებში არაფერი ესაქმებათ".*

პროტურის გუნდები გუშინ ბრიუსელში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და ამ საკითხზე ემსჯელათ. ახლა ბევრი რამ სწორედ მათზეა დამოკიდებული - თუ ისინი ველომარათონების ორგანიზატორთა მხარეს დაიჭერენ, მაშინ კავშირის პოზიციები გამყარდება და, ალბათ, გაურკვევლობაც გაგრძელდება. თუ გუნდები ბოიკოტს არ შეუერთდებიან, მაშინ კავშირს დათმობაზე წასვლა მოუწევს, რათა პროტურის სერია შეინარჩუნოს.

დიდი ტურების ორგანიზატორებთან დაპირისპირებისას გუნდების გადამწყვეტ როლს აცნობიერებს კავშირის ირლანდელი პრეზიდენტი **პეტ მაკქუეიდი**, ვინც გუნდებთან კულუარებში ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებს.

*"ყველაფერი ისევ გუნდებზეა დამოკიდებული. სხვა თუ არაფერი, პროტური მათთვისაა შექმნილი და თუ მათ ორგანიზებულად ასპარეზობა არ სურთ, მათი საქმეა. ჩვენ მათი ინტერესების დაცვას ვცდილობთ, იმ გუნდებისა, რომლებიც საერთო წესებს იცავენ. ჩვენი საქმე ამ წესების მათთან თანამშრომლობით შემოღებაა. ამდენად, სწორედ მათი გადასაწყვეტია, თუ რას მოიმოქმედებენ"*, - ამბობს მაკქუეიდი.

რაც შეეხება კლერკის მუქარას, ამაზე მაკქუეიდი ამბობს, ASO-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არსებული პოზიციის შეცვლას და სპორტში გაბატონებას ცდილობს მხოლოდ იმის გამო, რომ ყველაზე პრესტიჟული რბოლის ორგანიზატორიაო.

*"ASO-მ ისურვა, რომ პარიზი-ნიცა საფრანგეთის ჩემპიონატის კალენდარში შეეტანა. ჩვენი წესები კი გვეუბნება, რომ პროტურისა და კონტინენტალის სერიის გუნდებს ეროვნული ჩემპიონატების რბოლებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ. მათ (ASO-ს) გუნდებისთვის პარიზი-ნიცის რბოლაში გამოსვლის დაძალება სურთ, რითაც ყოველგვარ ნორმას არღვევენ. პირადად მე არ მიკვირს, რომ ისინი ასე იქცევიან"*, - დასძენს მაკქუეიდი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



პატრიკ კლერკი

## სამთო თხილამურები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკოლ ჰოსპი

მსოფლიო თასი

# ჰოსპმა მოიგო, შილდს გლობუსი ერგო

ავსტრიელი **ნიკოლ ჰოსპის** გამარჯვებით დასრულდა მსოფლიოს თასზე სუპერკომბინაციის ბოლო ეტაპი, მისმა თანამემამულე **მარლის შილდმა** კი, რბოლაში დაკავებული მესამე ადგილით, ამ დისციპლინაში მსოფლიოს თასი - ბროლის მცირე გლობუსი დაიმსახურა.

პრამეროს ფერდობზე უამინდობის გამო (წვიმა და ნისლი), დაშვების ტრასა დასამოკლებელი გახდა. სამაგიეროდ, სლალომზე ორგანიზატორებს პრობლემები აღარ შექმნიათ. სლალომზე შესანიშნავი შედეგის წყალობით, ჰოსპმა შეძლო ამერიკელი **ჯულია მანკუზოს** ჯობნა, მეოთხეზე კი ამ დისციპლინაში მსოფლიოს ჩემპიონი, შვედი **ანია პერსონი** გავიდა, ვისაც დაშვებაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა. მაგრამ თბილი ამინდის გამო დარბილებულ ტრასაზე, ლიდერებს (მათ შორის პერსონს) ცუდ პირობებში მოუწიათ ასპარეზობამ, რაც მათზე შედეგებზე უარყოფითად აისახა.

ჰოსპმა სწორედ ამინდის ჭირვეულობით ისარგებლა - პირველი ცდის შემდეგ მან ოცეულშიც კი ძლივს შეაღწია, მაგრამ სლალომზე ფანტასტიკური შედეგი დააფიქსირა.

ეს სუპერკომბინაციის მესამე და ბოლო ეტაპი იყო. შეგახსენებთ, რომ პირველი, რომელიც ავსტრიის რაიტერალმში ჩატარდა, შილდის გამარჯვებით დასრულდა, მეორე კი ავსტრიისვე ალტენმარკში მანკუზომ მოიგო. საბოლოოდ, შილდს 220 ქულა დაუგროვდა და გლობუსსაც ის დაეუფლა. შეგახსენებთ, რომ მანამდე მან სლალომის გლობუსიც გაინაღდა.

სამწუხაროდ, რბოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო ავსტრიელმა **რენატე გიოჩლმა**, ვინც ვარჯიშზე ორივე მუხლის მცირე ტრავმა მიიღო. ტრავმის მიუხედავად, ის დღეს დაშვების რბოლაში მონაწილეობას აპირებს, რომლის შემდეგაც, ამ დისციპლინაში ბროლის გლობუსის განაღდება შეუძლია.

რაც შეეხება აბსოლუტურ კლასიფიკაციას აქ ლიდერობა 1112 ქულით შილდი ლიდერობს, ვისაც 23 ქულით ჩამორჩება ჰოსპი.

**ტარვიზიო (იტალია).**
**ქალები. სუპერკომბინაცია**

**1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 2:10.15; 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 2:10.47; 3. მარლის შილდი (ავსტრია) 2:10.48; 4. ანია პერსონი (შვედეთი) 2:10.55; 5. რეზი შტიგლერი (აშშ) 2:10.65; 6. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 2:11.22; 7. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 2:11.52; 8. პეტრა რონბნიკი (სლოვენია) 2:11.72; 9. იოჰანა შნარფი (იტალია) 2:11.82; 10. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 2:12.15...**

**სუპერკომბინაციის კლასიფიკაცია**

**1. მარლის შილდი (ავსტრია) 220; 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 195; 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 190; 4. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 152; 5. რეზი შტიგლერი (აშშ) 119...**

**აბსოლუტური კლასიფიკაცია**

**1. მარლის შილდი (ავსტრია) 1112; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1089; 3. ჯულია მანკუზო (აშშ) 1039; 4. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1019; 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) 808; 6. ანია პერსონი (შვედეთი) 629; 7. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 568; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 543; 9. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 515; 10. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 456...**

## კრივი

დოპინგი

# ჰოლიფილდი უარყოფს

ზემძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი, ამერიკელი **ევანდერ ჰოლიფილდი** უარყოფს პრესაში გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს, ის თავადაც სტეროიდების აქტიური მომხმარებელია და ინტერნეტით მათ გავრცელებაშიც უდევს წილი.

*"სტეროიდები არასოდეს გამომიყენებია და არც ახლა ვიყენებ. მაგრამ როგორც ვხედავ, არსებობს ადამიანების კატეგორია, რომლებიც სახელის მოხვეჭას რაღაც აბსურდული ისტორიების მოყოლით ცდილობენ. ასეთ ადამიანებს არ აღელვებს ის გარემოება, რომ თავიანთი ბინძური მიზნების მისაღწევად, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს სახელს უტეხენ და ალბათ ცხოვრებასაც უუკუღმართებენ. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი სისულელეები პრესაში გადამოწმების გარეშე იბეჭდება"*, - ამბობს ჰოლიფილდი.

მოკრივის გამოხმაურება მოჰყვა აშშ-ში დაწყებულ ახალ დოპინგსკანდალს, რომელიც რაღაცით ესპანეთში შარშან აგორებულ და შემდეგ ჩაფარცხულ, ცნობილ სკანდალ "ოპერასიონ პუერტოს" მოგვაგონებს.

აშშ-ის ფედერალურმა აგენტებმა ჩხრეკები ჩაატარეს ფლორიდასა და ალაბამაში მდებარე ფარმაცევტულ ლაბორატორიებში, რის შემდეგაც, პრესაში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს, ალაბამაში სტეროიდების ტელეფონით შეკვეთების დროს, ჰოლიფილდი მეტსახელ "ევან ფილდსს" იყენებდა.

ჰოლიფილდის გარდა, ჩხრეკის დროს ნაპოვნ ჩანაწერებში, დოპინგის მომხმარებელთა სიაში აღმოჩენილია კეტბურთის მეიჯერ ლიგისა და ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავების გვარები. "ESPN-ის" კითხვაზე, რას იტყოდა პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე იმის შესახებ, რომ თითქოს, ის ამტანობის გასაუმჯობესებელ წამლებს იყენებდა, ჰოლიფილდმა კითხვითვე მიუგო - რისი გაუმჯობესება მესაჭიროებაო...

ცნობისათვის, ჰოლიფილდს მალე 45 წელი შეუსრულდება, ზუსტად იმდენი, რამდენისაც იყო **ჯორჯ ფორმენი**, როცა მან 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა (**მაიკლ მურერს** მოუგო).

შეგახსენებთ, რომ სამი წლის წინ ჰოლიფილდს ნიუ იორკის ათლეტთა კომისიამ მოკრივის ლიცენზია ჩამოართვა და ამის მიზეზად ის გარემოება დაასახელა, რომ მას შეზღუდული ჰქონდა საკრივო მონაცემები და მისი ფიზიკური კონდიცია აღარ შეეფერებოდა პროფესიული კრივისას. მოგვიანებით, ნიუ იორკელებმა თავიანთი გადაწყვეტილება შეცვალეს. ასე რომ, ჰოლიფილდს ბრძოლებში მონაწილეობის უფლება მიეცა.

ერთ-ერთი იმ შტატთაგანი, რომლებმაც ჰოლიფილდს კრივის ლიცენზია აღუდგინა, ტექსასია. სწორედ ამ შტატში ჩაატარა მან თავისი ბოლო ორი ბრძოლა და იქვე, კორპუს კრისტიში, 17 მარტს დაუპირისპირდება ამერიკელ **ვინი მადალონეს**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## მძლეოსნობა

ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატი

# ჰოლმი ოქროს უმიზნებს

ინგლისის ქალაქ ბირმინგემში სტარტი აიღო მძლეოსანთა ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატმა. ტურნირის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავია შვედი სიმაღლეზე მხტომელი **სტეფან ჰოლმი**, ვინც იმედოვნებს, რომ კარიერის საუკეთესო ნახტომის გაუმჯობესებას შეძლებს, რაც ოქროს მედლის მოპოვებაში დაეხმარება.

30 წლის ჰოლმმა კარიერაში საუკეთესო ნახტომი (2.40 მეტრი) ორი წლის წინ, მადრიდში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე (ჭერქვეშა) დააფიქსირა. მაშინ მან პირველობისთვის ბრძოლაში უკან მოიტოვა რუსი **იაროსლა რიბაკოვი**. ახლა მთავარი მეტოქე კვლავ რუსი, ოღონდ ამჯერად **ანდრეი ტერეშინი** ეყოლება.

*" საერთაშორისო ჩემპიონატები ის ადგილია, სადაც ყოველთვის ცდილობ საუკეთესო შედეგის ჩვენებას. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი მიზანი მაქვს დასახული - 2.40 მეტრი ნებისმიერ შემთხვევაში რთული დასაძლევი სიმაღლეა. ვფიქრობ, სადაღაც 2.35 მეტრზე გადახტომა სერიოზული განაცხადი იქნება. თუმცა, ალბათ, ჩემპიონობას ეს არ ეყოფა. 2.40 მეტრი კი ის დონეა, რაც ჩემპიონობის გარანტიას მოგვცემს"*, - ამბობს ჰოლმი.

სხვათა შორის, ტერეშინმა შარშან, მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატზე, სწორედ 2.35 მეტრზე გადახტომის წყალობით მოიპოვა ვერცხლის მედალი. ჰოლმს ეჭვი არ ეპარება, რომ ამჯერად რუსი უფრო მაღლა გადახტომასაც შეძლებს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ახლახან მან შვედეთის ჩემპიონატი 2.38 მეტრზე გადავლებით მოიგო.

*"ორი წლის წინ, მადრიდში ასპარეზობამდე, თავადაც არ ვიცოდი, რამდენად კარგ ფორმაში ვიმყოფებოდი. ვარჯიშებზე ხან კარგი შედეგები მქონდა, ხანაც ისე საშინლად ვხტებოდი, ისიც ვიფიქრე, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჩემს გამოსვლას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ გამოვედი, კარგადაც გადავხტი და ჩემპიონიც გავხდი. ახლა გაცილებით უკეთ ვარ მომზადებული, თუმცა როცა ნახტომების შესრულების დრო მოვა, ვინ იცის, იქნებ არაფერი გამომივიდეს"*, - ამბობს ჰოლმი, ვინც სიმაღლეზე მხტომელთაგან ყველაზე დაბალია (1.81 მეტრი).

შვედი მხტომელი დასძენს, ამ სეზონისთვის კარგი წინათგრძნობა მაქვსო. *"ალბათ იმიტომ, რომ ძლიერ მეტოქეებთან მომიწევს კონკურენცია. როცა დაძაბული პაექრობა გიწევს, შენი შედეგებიც უმჯობესდება. ჰოდა, ეს გარემოება მაყურებელს საინტერესო ბრძოლებს უმზადებს"*, - დასძენს შვედი.

რაც შეეხება ჭერქვეშა არენებისთვის მსოფლიოს რეკორდს (2.43 მეტრი), რომელიც სახელოვანმა კუბელმა **ხავიერ სოტომაიორმა** ზუსტად 18 წლის წინ დაამყარა, ჰოლმი თვლის, რომ ეს რეკორდი ფანტასტიკურ შედეგთა რანგს განეკუთვნება და თუ არა სასწაული, მის გაუმჯობესებას ვერავინ შეძლებსო.

მსოფლიო ჩემპიონატი

# ნორვეგიელებმა ტიტული შეინარჩუნეს

თავიანთი ქალი კოლეგებისგან განსხვავებით, ნორვეგიელმა კაცებმა ბარის მოთხილამურეებმა მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედლები შეინარჩუნეს - იაპონიის ქალაქ საპოროში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, 4x10 კილომეტრზე ესტაფეტაზე, ვიკინგებმა საფინიშო სპურტში აშკარად დაჯაბნეს თავიანთი მდევრები - რუსი და შვედი მოთხილამურეები და პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი.

სტადიონზე სამი მოთხილამურე - ნორვეგიელი **პეტერ ნორთუგი**, რუსი **ევგენი დემენტიევი** და შვედი **ანდერს სიოდერგრენი** თითქმის ერთდროულად შევიდა. მაგრამ ნორთუგმა ტემპი საგრძნობლად გაზარდა, მეტოქეებისგან კი ამაზე ჯეროვანი პასუხი არ მიუღია. ჰოდა, მანაც ბოლო ორას მეტრზე ისინი სამ წამზე მეტით ჩამოიტოვა თავის გუნდს გამარჯვება მოუპოვა.

მეორე ადგილს დასჯერდნენ რუსები, რომლებმაც ფინიშთან მცირედით მიასწრეს შვედებს და ამგვარად, ორი წლის წინ, ობერსტდორფის მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაო საპოროში ვერცხლზე გადაცვალეს. აღსანიშნავია, რომ სტადიონზე ტრიოს სიოდერგრენი შეუძლვა, მაგრამ ძალაგამოლეულმა, ველარც ნორვეგიელს გაუწია მეტოქეობა და რუსსაც ფინიშამდე რამდენიმე მეტრით ადრე ჩამორჩა.

ნორვეგიული კვარტეტიდან **ლარს ბერგერმა** საპოროში ოქროს მეორე მედალი მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ პირველად მან 15 კილომეტრზე რბოლაში მიაღწია გამარჯვებას. სხვათა შორის, ნორვეგიელებისთვის ეს მსოფლიოს ბოლო ცხრა ჩემპიონატზე, ესტაფეტაში მოპოვებული მერვე ოქროს მედალია.

უნდა ითქვას, რომ პირველი სამი მუხლის შემდეგ, ნორვეგიელთა გამარჯვება ნაკლებად სავარაუდო იყო - შვედები და რუსები ერთმანეთს რამდენჯერმე შეენაცვლნენ ლიდერობაში. თუმცა ძალიან შორს არც ნორვეგიელები ჩამორჩენილან.

ბევრი მოელოდა, რომ მედლებისთვის გერმანელებიც იბრძოლებდნენ, მაგრამ ბოლო სამი ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნებმა მეორე მუხლზე დათმეს პოზიციები - სკანდინაველთა და რუსთა მაღალ ტემპს ვერ გაუძლო **ფრანც გიორინგმა**, ვინც თავისი ათი კილომეტრი რომ დაასრულა, მოწინავეებს 20 წამით ჩამორჩებოდა.

ესტაფეტა რომ **ტობიას ანგერერმა** მიიღო, გერმანია უკვე მეხუთეზე იყო. დიდი მონდომების მიუხედავად, ანგერერმა ჩამორჩენის აღმოფხვრა ვერ შეძლო, თუმცა გერმანელთა მეღუზე **აქსელ ტაიხმანმა** ფრანგ **ალექსანდრ რუსელეს** გაასწრო და თავისი გუნდი მეოთხე ადგილზე გაიყვანა.

ხელმოცარულები დარჩნენ ოლიმპიური ჩემპიონი იტალიელები, რომელთა ლიდერებმა - **როლანდ კლარამ** და **ჯორჯო დი ჩენტამ** ერთად მეწინავეებთან ორ წუთზე მეტი წააგეს, იტალია კი საბოლოოდ მეცხრე ადგილს დასჯერდა.

საპორო (იაპონია).
ვაჟები. ესტაფეტა (4X10 კმ)

1. ნორვეგია (ელდარ როენინგი, ოდ ბიორნ ჰიელმესეტი, ლარს ბერგერი, პეტერ ნორთუგი) 1:30:49.2; 2. რუსეთი (ნიკოლაი პანკრატოვი, ვასილი როჩევი, ალექსანდრ ლეგკოვი, ევგენი დემენტიევი) +3.2 წამი; 3. შვედეთი (მარტინ ლარსონი, მათიას ფრედრიკსონი, მარკუს ჰელნერი, ანდერს სიოდერგრენი) +3.5; 4. გერმანია +50.5; 5. საფრანგეთი +1:25.8; 6. ფინეთი +2:06.3...



ნორვეგიელები გამარჯვებას ზეიმობენ

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ფილადელფია 3:4 (ო)**

2:1, 1:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მაუერსი-3 (ვიდემანი-18), 2:0 მაუერსი-4 (რეიჩი-1), 2:1 პიტკანენი-3 (მ. იორკი-10, მ. რიჩარდსი-16), 2:2 უმბერგერი-15 (დ. ჰეტჩერი-4, სანდერსონი-14), 2:3 მ. რიჩარდსი-5 (ს. კაპანენი-9, გოტიე-3), ხარა-10 (მტურმი-14, სავარი-62), 3:4 აპშოლი-5 (ს. კაპანენი-10).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 3:4 (ბ)**

0:0, 2:0, 1:3, 0:0

**გოლები:** 1:0 იაგრი-24 (ეივერი-23, მალიკი-14), 2:0 ნიულანდერი-20 (მარსელ ჰოსა-7, როჟსივალი-24), 2:1 ჯ. სტაალი-26 (მელოუნი-10, რაიან უიტნი-35), 2:2 კ. არმსტრონგი-8, 3:2 ბეტსი-8 (ეივერი-24, მარსელ ჰოსა-8), 3:3 გონჩარი-11 (ტელბოტი-8, კ. არმსტრონგი-17).

**ბულიტები გაიტანეს:** კროსბი (პიტსბურგი).

**ვანკუვერი-ფინიქსი 4:3**

1:1, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-28 (ჰ. სედინი-52, ლუონგო-2), 1:1 ბ. ტომასი-1 (დოენი-21, როუჩი-12), 2:1 კოუენი-1, 2:2 ბ. ტომასი-2 (ლეუ-1, ტეფი-2), 2:3 დოენი-21 (რაინპრეხტი-14), 3:3 დ. სედინი-29 (ჰ. სედინი-53, ბიეკსა-24), 4:3 ნესლუნდი-21 (სოპელი-20, სმოლინსკი-24).

**ედმონტონი-მინესოტა 0:5**

0:2, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 დემიტრა-20 (სკოულა-12), 0:2 გაბორიკი-21 (დემიტრა-30, როლსტონი-28), 0:3 რადივოევიჩი-8 (პერიში-19, კ. იონსონი-17), 0:4 გაბორიკი-22, 0:5 დემიტრა-21 (ბერნსი-13, გაბორიკი-14).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 4:5 (ბ)**

1:0, 2:2, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 შ. მორისონი-3 (ოურჩინა-3, ფიშმანი-2), 1:1 პროსპალი-10 (ლეკავალიე-44, სენტ ლუისი-48), 2:1 ოვეჩკინი-38 (ნოვოტნი-8, ემინგერი-13), 3:1 პეტინგერი-15 (გორდონი-18, ბრედლი-8), 3:2 ფედოტენკო-12 (ტარნავსკი-2, სერიჩი-12), 3:3 ლეკავალიე-42 (სენტ ლუისი-49), 3:4 სენტ ლუისი-39 (ლეკავალიე-45, ო'ბრაიენი-13), 4:4 სიომინი-33 (ოვეჩკინი-42, ბიჩი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** ტარნავსკი (ტამპა ბეი).

**აილენდერსი-სენტ ლუისი 2:3 (ო)**

1:0, 1:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 სილინჯერი-21 (რ. სმიტი-23, ჰილი-22), 2:0 მ-ა. ბერჟერონი-9 (ჯ. ბლეიკი-25, რ. რობიტაილი-22), 2:1 მაკლემანი-7 (სტემპნიაკი-20, ვოივიტკა-3), 2:2 ჩაიანეკი-9 (უეიტი-35, ვოივიტკა-4), 2:3 სტემპნიაკი-20 (ბროუერი-18, უეიტი-36).

**ფლორიდა-დალასი 2:1 (ო)**

0:0, 1:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 შტუმპელი-17 (ბოუმისტერი-22, ო. იოკინენი-37), 1:1 სიდორი-4 (ზუბოვი-31, ი. ლეჰტინენი-12), 2:1 ო. იოკინენი-29 (უეისი-24, ბელფური-2).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 4:3 (ო)**

1:1, 1:2, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ფროლოვი-33, 1:1 პენერი-22 (ს. ნიდერმაიერი-42, პრონგერი-40), 1:2 ს. ნიდერმაიერი-12 (პრონგერი-41, კუნიტცი-27), 1:3 ე. მაკდონალდი-19 (სელიანე-38), 2:3 ივანანსი-3 (დ. ბრაუნი-18, ო'სალივანი-3), 3:3 ლუნდმარკი-3 (ჰიუვარდი-13, დ. ბრაუნი-19), 4:3 კამალერი-25 (ვიშნოვსკი-34, რ. ბლეიკი-15).

**ჩიკაგო-კოლორადო 1:6**

1:2, 0:0, 0:4

**გოლები:** 1:0 ტ. რუუტუ-14 (ჰავლატი-26, ოკუანი-10), 1:1 რიჩარდსონი-9 (ლაილსი-26, ფინგერი-2), 1:2 მაკლინი-10 (ჰეიდუკი-27, კლი-13), 1:3 არნასონი-14 (რიჩარდსონი-7, ლაპერიერი-17), 1:4 კლი-3 (საკიკი-49, ლაპერიერი-18), 1:5 რაიკროფტი-6 (გიტი-5, ს. პარკერი-1), 1:6 ფინგერი-1 (პ. შრასტნი-38, გიტი-6).

## TV სპორტი

### 3 მარტი. შაბათი

#### I არხი

**01:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა (LIVE).

#### მზე

**16:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-რედინგი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

**08:22** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. სან პაულუ-ალიანსა.
**10:06** სპორტინფორმი.
**10:19** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი.
**12:05** სპორტინფორმი.
**12:18** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**12:45** მძლეოსნობა.
**13:16** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
**16:20** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ოტავა.
**18:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი (LIVE).
**20:23** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**21:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლივორნო-ინტერი.
**23:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სელტა (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა (LIVE).
**02:56** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ეინდჰოვენი-არსენალი.
**04:41** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.

#### EUROSPORT

**07:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია.
**08:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 30 კმ. მას-სტარტი. საპორო. იაპონია (LIVE).
**10:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტრამპლინიდან ხტომა. HS100. გუნდური. საპორო. იაპონია.
**10:30** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. 15 კმ.საპორო. იაპონია (LIVE).
**11:15** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 30 კმ. მას-სტარტი. საპორო. იაპონია.
**12:30** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. 15 კმ.საპორო. იაპონია.
**13:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია (LIVE).
**14:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. ტარვიზიო. იტალია (LIVE).
**16:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
**16:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია.
**17:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**18:45** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი (LIVE).
**20:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია.
**21:00** მულტისპორტი.
**21:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. დოჰა. კატარი.
**22:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები.
**22:45** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი.
**00:45** მულტისპორტი.
**01:30** რესტლინგი.
**03:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**05:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფილიპ აილენდი. ავსტრალია (LIVE).
**06:00** სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფილიპ აილენდი. ავსტრალია (LIVE).

#### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**13:30** საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
**14:00** ფეხბურთი. მერიდიანის თასი. ბარსელონა. ესპანეთი.
**15:00** ახალი ამბები.
**15:15** სნოუბორდი.
**15:45** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. კილი (გერმანია)-ვეჟპრემი (უნგრეთი).
**16:45** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
**17:30** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი. იტალია.
**18:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ფლენსბურგი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
**19:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ბარსელონა (ესპანეთი)-ფლენსბურგი (გერმანია) (LIVE).
**21:00** მულტისპორტი.
**21:30** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. პოლონეთის გრან-პრი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** სნოუბორდი.
**00:00** სუპერკროსი. დორტმუნდი. გერმანია.
**01:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ბარსელონა (ესპანეთი)-ფლენსბურგი (გერმანია).
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** სნოუბორდი.
**03:00** ახალი ამბები.
**04:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ლას ვეგასი. აშშ (LIVE).

### 4 მარტი. კვირა

#### რუსთავი 2

**18:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

#### მზე

**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ტოტენჰემი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

**08:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
**09:55** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**10:26** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
**12:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
**13:50** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**14:17** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**14:45** ფიტნესი.
**15:12** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. ჟუვენტუსი-სან პაულუ.
**17:00** მძლეოსნობა.
**17:32** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ტორინო (LIVE).
**19:45** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-ნეშვილი.
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ატლეტიკო (LIVE).
**01:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მესინა-პალერმო.
**03:42** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
**05:16** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**05:47** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
**07:34** ფიტნესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

#### EUROSPORT

**07:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 30 კმ. მას-სტარტი. საპორო. იაპონია.
**07:30** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
**08:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 50 კმ. მას-სტარტი. საპორო. იაპონია (LIVE).
**11:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
**11:45** მულტისპორტი.
**12:15** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 50 კმ. მას-სტარტი. საპორო. იაპონია.
**13:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. I ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
**13:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერ-გიგანტი. ტარვიზიო. იტალია (LIVE).
**15:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**16:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
**16:45** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი (LIVE).
**17:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**18:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი (LIVE).
**21:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
**21:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
**22:00** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**22:30** ბრძოლა წესების გარეშე.
**00:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი.
**01:30** კრივი. WBC. სუპერმძიმე წონა. ო. მასკაევი (რუსეთი)-პ. ოხელო (უგანდა). მოსკოვი. რუსეთი.
**03:00** სუმო.
**04:00** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**12:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ლას ვეგასი. აშშ.
**13:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
**13:45** სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
**14:15** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
**15:00** სნოუბორდი.
**16:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. კილი (გერმანია)-ვეჟპრემი (უნგრეთი).
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ლას ვეგასი. აშშ.
**18:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ბარსელონა (ესპანეთი)-ფლენსბურგი (გერმანია).
**19:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. კილი (გერმანია)-ვეჟპრემი (უნგრეთი).
**20:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტაუგრესი-უნიკახა.
**21:30** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დალასი (LIVE).
**23:00** ლაკროსი.
**00:30** მულტისპორტი.
**01:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. გუმერსბახი (გერმანია)-ვალიადოლიდი (ესპანეთი).
**02:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლას ვეგასი. აშშ (LIVE).
**04:00** ახალი ამბები.

## სხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი

| | |
|---|---|
| **ჩემპიონატი** | |
| დერბი-კოლჩესტერი | 5:1 |
| **I ლიგა** | |
| ტრანმერი-ჩესტერფილდი | 2:0 |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერი-ტორკი | 1:1 |
| შრუსბერი-როვერსი | 0:0 |
| **კონფერენსი** | |
| ბარტონი-ალტრინჩემი | 2:1 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| შალკე-ჰამბურგი | 0:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-კაიზერი | 1:0 |
| ფიურტი-აუგსბურგი | 2:1 |
| უნტერჰახინგი-კარლ ცაისი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ოსნაბრიუკი-მაგდებურგი | გადაიდო |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ზიგენი-ზაარბრიუკენი | 2:1 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-გრენობლი | 3:1 |
| ამიენი-ისტრი | 2:1 |
| შატორუ-ლიბურნი | 0:1 |
| კრეტეი-ბრესტი | 0:2 |
| დიჟონი-გენიონი | 1:0 |
| გინგამი-რეიმსი | 1:0 |
| მონპელიე-მეცი | 1:1 |
| ნიორი-ბასტია | 0:0 |
| პავრი-სტრასბური | 0:1 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ნიიმეგენი-ტვენტე | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ვეენდამი | 2:1 |
| კამბური-დორდრეხტი | 4:2 |
| გრააფსხაპი-ტოპ ოსი | 2:0 |
| ემენი-ფორტუნა | 0:2 |
| დენ ბოში-ცვოლე | 2:2 |
| ეინდჰოვენი A-ჰაარლემი | 1:1 |
| ომნივორლდი-ჰელმონდი | 1:1 |
| იგლზი-ვოლენდამი | 1:2 |
| მაასტრიხტი-როსენდალი | 2:1 |
| ტელსტარი-ვენლო | 3:1 |

#### ბელგია

| | |
|---|---|
| რუზელარე-ვარეგემი | 3:1 |

#### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ფერეირა-სეტუბალი | 1:0 |

#### ფინეთის ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ჰონკა-ჰიკ | 1:1 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| ბურსა-ანთალია | 0:0 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| შენეცი-ბისტრიცა | 2:1 |

#### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ბელჩატოვი-ლეჩნა | 6:0 |
| კრაკოვია-ლეგია | 0:0 |

#### უნგრეთი

| | |
|---|---|
| მტკ-პეჩი | 0:0 |

### კალათბურთი

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| დიჟონი-გრაველინი | 88:83 |

### ჰოკეი

#### გერმანია

| | | |
|---|---|---|
| აუგსბურგი-კრეფელდი | | 4:7 |
| ჰანოვერი-ჰამბურგი | | 2:4 |
| დუისბურგი-შტრაუბინგი | | 0:2 |
| კიოლნი-დიუსელდორფი | 2:2 ო.ბ. | 2:3 |
| ნიურნბერგი-იისბარენი | | 7:1 |
| ფრანკფურტი-ინგოლშტადტი | | 4:2 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ჰიფკ-საიპა | 1:2 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგსი-იურგორდენი | 4:2 |
| ლულეა-ბრინასი | 4:3 |
| მოდო-მორა | 1:3 |
| ფერიესტადი-მალმიო | 3:1 |
| ფროლუნდა-ტიმრა | 2:1 |
| ჰვ71-ჰიკ | 3:1 |

### ჩოგბურთი

#### ATP. დუბაი

| | |
|---|---|
| იუჟნი-სოდერლინგი | 7:5, 6:2 |
| ფედერერი-ჰაასი | 6:4, 7:5 |

#### WTA. დოჰა

| | |
|---|---|
| ანენი-იანკოვიჩი | 6:7, 6:2, 6:4 |
| კუზნეცოვა-ჰანტუხოვა | 6:4, 6:2 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გმირი და ანტიგმირი

არა მარტო კალათბურთში, არამედ სპორტის ნებისმიერ სახეობაში იოლია მოკლე დროში გმირიდან ანტიგმირად გადაქცევა, თუმცა კალათბურთში ამას მაინც თავისი პენი აქვს. სულ რაღაც 20-25 წამში, აღმატებითი სტატუსის გაქრობა თუნდაც ზეეშელონის ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია. ასე მოხდა "დალასისა" და "კლივლენდის" შეხვედრაშიც. **ლებრონ ჯეიმსმა** მიმდინარე რეგულარულში თავისი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, "კავალიერსის" სუპერვარსკვლავმა ლამის რამდენიმე შეხვედრის სამყოფი შეცდომა დაუშვა.

ძირითადის დასრულებამდე 4 წუთითა და 8 წამით ადრე, "დალასი" 10 ქულას (92:82) იგებდა. აი, აქედან მოყოლებული, 3 წუთის განმავლობაში მასპინძლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ლებრონს.

ჯეიმსმა ჯერ სამქულიანი გამოიყენა, მერე დაცვაში ზედიზედ ორჯერ მაგრად დაუდგა **დირკ ნოვიცკის** და მომდევნო შეტევაში **ჯეისონ ტერის** ბურთი თავზე რომ გადაატენა, ამ უკანასკნელმა თამაშის წესის დარღვევაც მოასწრო. მეოთხე მეოთხედის დასრულებას 42 წამი რომ უკლდა, "მავერიქსის" უპირატესობა მხოლოდ 3 ქულას შეადგენდა.

"დალასის" მხრიდან კვლავ არაზუსტად ისვრის დირკი და რაკილა გერმანელი 6 წამში ლებრონზე ჯარიმდება, ჯეიმსს ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირების შანსი ეძლევა.

აი, აქ კი აუკანკალდა ხელი ლებრონს და "კავალიერსიც" საბოლოოდ, სწორედ მისმა ორმა არაზუსტმა საჯარიმომ დალუპა. ბოლო 7 წამში კი ლებრონს ორჯერ მიეცა მატჩის დამატებით დროში გადაყვანის შანსი, მაგრამ მან მიჯრით ორი შორეული ტყორცნა ვერ გამოიყენა.

*"გუნდმა ჩემ გამო წააგო, თუმცა რეგულარულის ბოლომდე კიდევ ბევრი პრინციპული მატჩი გვაქვს ჩასატარებელი და იმედი მაქვს, ამ დანაშაულს სრულად გამოვისყიდი. "კლივლენდმა" ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს",* - დაასრულა მასმედიელებთან საუბარი ლებრონმა, რომელმაც თამაშიდან 27 სროლიდან 17 ზუსტად შეასრულა.

"კავალიერსი" და ჩემპიონობა? ერთმანეთისგან ორი რადიკალურად განსხვავებული ცნებაა. რომელ ჩემპიონობაზეა საუბარი, როდესაც გუნდის ძირითადი ცენტრი **ჟიდრუნას ილგაუსკასი** შეხვედრას 19 წუთში უქულოდ და 3 პერსონალური შენიშვნით ასრულებს? ან კიდევ სასტარტოს წევრები (ლებრონის გამოკლებით) ჯამში საცოდავ 22 ქულას რომ უყრიან თავს?

"კავალიერსი" ნელ-ნელა დაბლა ეშვება და თუ "პეისერზი" ჯანმრთელობასა და მოტივაციას შეინარჩუნებს, მაშინ ფლეი ოფში **რიკ კარლაილის** გუნდს ლებრონისაზე მაღალი განთესვითი ნომერი ექნება. "დეტროიტსა" და "ჩიკაგოზე" არც კი არის საუბარი.

"დალასისთვის" კი ეს მოგება შინ ზედიზედ 21-ე გახლდათ. 11 დეკემბრის მერე ტეხასელები მხოლოდ ორჯერ დამარცხდნენ.

**ზურაბ თალაკვაძე**


ლებრონ ჯეიმსი

**დალასი-კლივლენდი 95:92**

27:23, 25:19, 22:20, 21:30

**დალასი:** ნოვიცკი (24 ქ. 11 მ. 7 პ), ტერი (20 ქ. 5 მ. 5 პ), ჯოშ ჰოვარდი (17 ქ. 10 მ. 3 პ), დემპიე (10 ქ. 9 მ), სტექჰაუზი (10 ქ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (39 ქ. 5 პ), დ. მარშალი (14 ქ. 6 მ. 2 დ), პავლოვიჩი (11 ქ. 2 ჩ), ვარეჟაო (8 ქ. 12 მ. 2 ჩ).

**პორტლენდი-შარლოტი 127:90**

31:16, 29:24, 43:26, 24:24

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (30 ქ. 6 მ. 2 დ), ზ. რენდოლფი (20 ქ. 6 მ. 6 პ), უებსტერი (20 ქ), როი (14 ქ. 9 პ. 8 მ), ტ. აუთლო (14 ქ. 2 დ), უდოკა (11 ქ. 2 ჩ).

**შარლოტი:** კეროლი (20 ქ. 2 ჩ), ჯ. უოლასი (13 ქ), ა. მორისონი (12 ქ).

**სიეტლი-კლიპერსი 77:75**

26:21, 15:13, 16:23, 20:18

**სიეტლი:** რ. ლიუისი (31 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), უილკოქსი (12 ქ. 13 მ), რიდნური (12 ქ), კოლისონი (11 ქ. 10 მ).

**კლიპერსი:** ბრენდი (22 ქ. 8 მ. 3 პ), მობლი (18 ქ. 6 მ. 3 ჩ. 2 დ), მაგეტი (15 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), კამანი (10 ქ. 9 მ. 3 პ).

## ევროლიგა. TOP 16. II ტური

### D ჯგუფი

**მაკაბი-პო ორტეზი 74:70**

23:20, 15:20, 12:16, 24:14

**მაკაბი:** ელიაჰუ (16 ქ. 5 მ), ვუიჩიჩი (12 ქ. 11 მ. 3 პ), შარპი (11 ქ. 3 პ).

**პო-ორტეზი:** ჯონსენი (20 ქ. 5 მ), ა. მაილზი (15 ქ. 3 მ), კ. ჰარისონი (13 ქ. 4 მ. 4 პ), რ. გრირი (12 ქ. 10 მ. 3 პ).

**ტაუ-რომა 99:56**

26:13, 22:19, 28:8, 23:16

**ტაუ:** ერდოგანი (24 ქ. 4 ჩ), სპლიტერი (18 ქ. 5 მ), არსლანი (14 ქ), სკოლა (13 ქ. 3 პ), ტელეტოვიჩი (10 ქ).

**რომა:** რიგეტი (13 ქ), ბოდიროგა (11 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ტაუ | 3-0 | +64 |
| 2. მაკაბი | 2-1 | -5 |
| 3. რომა | 1-2 | -35 |
| 4. პო ორტეზი | 0-3 | -24 |

### E ჯგუფი

**პარტიზანი-ხუვენტუდი 85:70**

23:17, 19:18, 19:18, 24:17

**პარტიზანი:** პ. დრობნიაკი (16 ქ. 10 მ. 3 პ. 2 დ), ვ. კამინგსი (15 ქ), პეროვიჩი (13 ქ. 10 მ), ტრიპკოვიჩი (13 ქ).

**ხუვენტუდი:** რ. ფერნანდესი (16 ქ. 5 მ. 4 ჩ), ბენეტი (16 ქ), გეინსი (12 ქ. 4 ჩ).

**ოლიმპიაკოსი-ცსკა 64:85**

17:27, 8:20, 25:22, 14:16

**ოლიმპიაკოსი:** შორცანიდისი (13 ქ), ჟიჟიჩი (10 ქ. 7 მ), ვასილოპულოსი (8 ქ).

**ცსკა:** სმოდიში (19 ქ. 6 მ), პაპალუკასი (15 ქ), ჰოლდენი (14 ქ. 6 მ. 5 პ), ტორესი (12 ქ. 5 მ), ლენგდონი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 3-0 | +56 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 1-2 | -15 |
| 3. პარტიზანი | 1-2 | -16 |
| 4. ხუვენტუდი | 1-2 | -25 |

### F ჯგუფი

**ბარსელონა-ეფესი 82:73**

17:20, 20:10, 22:29, 23:14

**ბარსელონა:** ნავარო (24 ქ), ლაკოვიჩი (15 ქ. 6 პ), ტრიასი (10 ქ. 8 მ), ფ. ვასკესი (10 ქ. 2 დ), ბაზილე (9 ქ).

**ეფესი:** ჰეისლიპი (18 ქ. 8 მ), ნიკოლასი (16 ქ. 5 პ. 4 მ), ერდენი (15 ქ), პრკაჩინი (10 ქ. 6 მ).

**პროკომი-პანათინაიკოსი 69:75**

16:17, 20:13, 12:21, 21:24

**პროკომი:** სლანინა (15 ქ. 4 პ), მ. ანდერსენი (12 ქ. 9 მ), რ. ეტკინსი (11 ქ. 5 ჩ. 4 პ).

**პანათინაიკოსი:** ბეჩიროვიჩი (18 ქ. 6 პ), ჰაცივრეტასი (14 ქ), ბატისტე (12 ქ. 13 მ. 2 ჩ), შიშკაუსკასი (11 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 3-0 | +53 |
| 2. ბარსელონა | 2-1 | +8 |
| 3. პროკომი | 1-2 | -21 |
| 4. ეფეს პილზენი | 0-3 | -40 |

### G ჯგუფი

**არისი-ბენეტონი 79:80**

20:27, 18:14, 20:13, 21:26

**არისი:** ილიადისი (23 ქ. 4 პ. 3 ჩ), სკეილსი (18 ქ), კესტლი (11 ქ), სიგალასი (10 ქ. 4 მ. 3 დ. 2 ჩ).

**ბენეტონი:** ლიდეი (19 ქ. 4 მ. 4 ჩ), ზისისი (13 ქ. 5 პ), გორე (9 ქ. 8 მ), ჯილი (9 ქ. 5 მ).

**დინამო-უნიკახა 86:80**

18:14, 28:16, 19:36, 21:14

**დინამო:** ბ. პოპოვიჩი (21 ქ. 4 პ), დინი (16 ქ), პაპადოპულოსი (15 ქ. 9 მ. 3 ჩ. 2 დ), ფოცისი (13 ქ. 8 მ).

**უნიკახა:** ბ. როდრიგესი (22 ქ), ტუშეკი (12 ქ. 2 ჩ), პ. სანჩესი (10 ქ), ველში (9 ქ. 3 მ. 2 პ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. უნიკახა | 2-1 | +10 |
| 2. ბენეტონი | 2-1 | +6 |
| 3. დინამო | 2-1 | -1 |
| 4. არისი | 0-3 | -15 |




რაფაელ ნადალს ტიტულის დაცვის საშუალება არ მიეცა

ტურნირები

# ნადალი ქორის თვალით უკმაყოფილოა

დუბაიში მიმდინარე ტურნირზე, ტოპმეჩოგნეებისთვის რთული გამოცდა გახდა მეოთხედფინალური ეტაპი, რომელიც ვერ გადალახა აწ უკვე ყოფილმა ჩემპიონმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, მსოფლიოს პირველ ჩოგან **როჯერ ფედერერს** კი დიდი გარჯა დასჭირდა ნახევარფინალში გასასვლელად.

ნადალმა ორ სეტში დათმო შეხვედრა რუს **მიხაილ იუჟნისთან**, ფედერერს კი სამი სეტი დასჭირდა სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** დასამარცხებლად. წაგების შემდეგ, ნადალმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა ელექტრონული სისტემა, ეგრეთ წოდებული "ქორის თვალი" და განაცხადა, რომ პირველი სეტის წაგება სწორედ ამ სისტემის ბრალია.

კერძოდ, ესპანელმა განაცხადა, რომ როცა ტაიბრეიკზე ანგარიში იყო 6:5 იუჟნის სასარგებლოდ, რუსის მიერ დარტყმული ბურთი აუტში ჩავარდა, თუმცა სისტემის ამოქმედების შედეგად, ლაინსმენის პირვანდელი გადაწყვეტილება შეიცვალა და სეტი რუსის მოგებით დასრულდა.

*"მეც და მსაჯმაც დავინახეთ, რომ ბურთი გარეთ ჩავარდა, მაგრამ ელექტრონიკამ სხვაგვარად დააფიქსირა. ეს წარმოუდგენელია. მსაჯი დამეთანხმა, რომ ბურთი გარეთ ჩავარდა, მაგრამ მითხრა, იძულებული ვარ, მოთხოვნა შევასრულოო",* - ამბობს ნადალი. სხვათა შორის, იუჟნისაც ჰგონებია, რომ აუტი იყო, მაგრამ გადამწყვეტი მომენტი იყო და შანსი გამოვიყენეო.

*"ჩანაწერის ნახვის შემდეგ, გაოცებული დავრჩი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ტყუილად მოვუხმე ქორის თვალს, მაგრამ გავოცდი, როცა მან ბურთი მოედანზე დააფიქსირა",* - ამბობს იუჟნი, ვინც წინა კვირაში როტერდამის ტურნირი მოიგო.

ყოველივეს მიუხედავად, რუსის გამარჯვება მოულოდნელობა არ ყოფილა - ნადალს ხომ შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ ფინალში არ უთამაშია და საფრანგეთის ღიაზე ტრიუმფის შემდეგ, ერთი ტურნირიც არ აქვს მოგებული. სხვათა შორის, მისი და იუჟნის წინა შეხვედრაც რუსის გამარჯვებით დასრულდა (აშშ-ის შარშანდელი ღიას მეოთხედფინალში).

ასე იყო თუ ისე, პირველი სეტის მოგების შემდეგ, იუჟნიმ მომდევნო სეტის მეექვსე გეიმში ბრეიკს მიაღწია, რის შემდეგაც, მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. თუმცაღა, შვიდი მატჩ პოინტი დასჭირდა იმისათვის, რომ შეხვედრა გამარჯვებით დაესრულებინა.

"ქორის თვალმა" ფედერერიც გაანაწყენა და ელექტრონიკამ ისიც ტაიბრეიკზე აზარალა. ეს მეორე სეტში მოხდა, რომლის ტაიბრეიკსაც შვეიცარიელი მაესტრო 6:5 იგებდა. მომდევნო გათამაშებაზე როჯერმა ქულა აიღო, მაგრამ სერბმა მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა და ვიდეოჩანაწერმაც აჩვენა, რომ ბურთი აუტში ჩავარდა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ჯოკოვიჩმა სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. არადა, ტაიბრეიკზე მან ორი მატჩ პოინტი მოიგერია.

გადამწყვეტ სეტში მსოფლიოს პირველ ჩოგანს საქმე ტაიბრეიკამდე აღარ მიუყვანია - მერვე გეიმში მან ბრეიკს მიაღწია და ეს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.

ყატარის ტურნირზე გავარდნას გადაურჩა ბელგიელი **ჟუსტინ ანენი**, ვინც შვეიცარიელ **პატი შნიდერთან** შეხვედრაში მატჩ პოინტს გადაურჩა. პირველი ორი სეტიდან მეტოქეებმა თითო მოიგეს, მესამეში კი შნიდერმა, 5:4-ს რომ იგებდა, მეათე გეიმში მატჩ პოინტი მიილო. მაგრამ ბურთი ბადეს მოახვედრა და ამის შემდეგ, ჟუსტინმა თამაში შემოაბრუნა. მან ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ორი გეიმის შემდეგ კი თავად მიაღწია ბრეიკს და ამით შეხვედრას წერტილი დაუსვა.

სამაგიეროდ, ტურნირს გამოეთიშა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, რომელმაც სამ სეტში დათმო შეხვედრა სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან**.

### ATP

**დუბაის ჩემპიონატი**

დუბაი (საემიროები). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 401 250 დოლარი

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 7) 6:3, 6:7 (8), 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 7:6 (5), 6:3; **ტომი ჰაასი (გერ, 5)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:0, 6:2; **რობინ სოდერლინგი (შვედ)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:1, 6:7 (2), 6:0.

**აბიერტო მექსიკანო**

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 757 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 1)**-გასტონ გაუდიო (არგ, 5) 6:4, 6:1; **აგუსტინ კალერი (არგ, 2)**-ხოსე აკასუსო (არგ, 7) 6:3, 6:4; **კარლოს მოია (ესპ, 8)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3) 7:6(3), 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 4)**-ნიკოლას მასუ (ჩილ, 6) 6:3, 6:7(6), 7:5.

**ტენის ჩემპიონს ლიგა**

ლას ვეგასი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 416 00 დოლარი

**I ჯგუფი**

**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 1)**-ხუან დელ პოტრო (არგ) 6:1, 3:1 დელ პოტროს უარი.

**სატურნირო მდგომარეობა:** ბლეიკი - 1 მოგება/1 წაგება; კოროლიოვი - 1/1; დელ პოტრო - 1/1.

**II ჯგუფი**

**სემ კერი (აშშ)**-პოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:4, 1:6, 6:4.

**სატურნირო მდგომარეობა:** კერი - 2 მოგება/0 წაგება; ბენეტო - 1/1; გოლდსტეინი - 0/2.

**III ჯგუფი**

**იურგენ მელცერი (ავსტრია, 4)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 6:2, 6:2;

**სატურნირო მდგომარეობა:** მელცერი - 2 მოგება/0 წაგება; კაპდევილე - 1/1; ლოდრა - 0/2.

**IV ჯგუფი**

**იან ჰერნიხი (ჩეხ)**- გუსტავო კუერტენი (ბრა) 6:4, 6:4.

**სატურნირო მდგომარეობა:** ჰერნიხი - 2 მოგება/0 წაგება; ბეკერი - 1/1; კუერტენი - 0/2.

**VI ჯგუფი**

**მარატ საფინი (რუს, 3)**-იგორ კუნიცინი (რუს) 4:6, 7:6(4), 7:5.

**სატურნირო მდგომარეობა:** საფინი - 2 მოგება/0 წაგება; კუნიცინი - 1/1; კუბეკი - 0/2.

**VII ჯგუფი**

**ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ტიმ ჰენმანი (ბრიტ, 7) 6:7(1), 6:3, 6:4.

**სატურნირო მდგომარეობა:** ლოპესი - 2 მოგება/0 წაგება; ჰენმანი - 1/1; მაუ - 0/2.

**VIII ჯგუფი**

**ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 2)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 4:6, 7:5, 6:2.

**სატურნირო მდგომარეობა:** ჰიუიტი - 2 მოგება/0 წაგება; ტ. იოჰანსონი - 1/1; ლუ - 0/2.

### WTA

**კატარის ღია**

დოჰა (კატარი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-პატი შნიდერი (შვეიც, 5) 3:6, 6:4, 7:5; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 8) 6:3, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 6)**-მარტინა ჰინგისი (შვეიც, 3) 1:6, 6:4, 6:4; **იელენა იანკოვიჩი (სერ, 4)**-კატერინა ბონდარენკო (რუს) 6:3, 6:3.

**აბიერტო მექსიკანო**

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 180 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**სარა ერანი (იტა)**-ტატიანა გარბინი (იტა, 2) 5:7, 7:6(3), 6:3; **ფლავია პენეტა (იტა, 5)**-ალიზ კორნე (საფ) 7:5, 6:4; **ემილი ლუა (საფ)**-გიზელა დულკო (არგ, 6) 5:7, 6:4, 6:1; **ჯულია შრუფი (გერ)**-მელისა სანდოვალი (მექ) 6:1, 6:4.


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა